საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№15 (391)
26 აპრილი - 2 მაისი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ამერიკელმა პროფესორმა გაასამტვერა მოხსენება სირიაში ქიმიური შეტევის შესახებ 15



## პრემიერ კვირიკაშვილს ანკარაში ოფიციალურ შეხვედრაზე საქართველოს დროშით აღარ ხვდებიან 4



## «ძლევაი საკვირველიდან» საკვირველ დაბეჩავებამდე 4

## «ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არასოდეს დასწრებია აჭარის გათავისუფლების დღესასწაულს» 3

## «საქართველოს არაფერი ეშველება, თუ მკვეთრად არ შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური კურსი» 2




«ამერიკის ინტერესი მხოლოდ ის არის, რომ დაინახოს, რაზეა წამსვლელი და რისი გამბედავია რუსეთი. ამ «ღია დაზვერვის» მსხვერპლი კი ყოველთვის საქართველოა»

## სირია და საქართველო: ორი ქვეყანა — ერთი განსაცდელი, ერთი გამარჯვება 5

## კანდელაკის საფერფლე და საქართველოს კონსტიტუცია 6

## მასხრად აგდებული დამოუკიდებლობა



16

## თანამშრომლობდა თუ არა გიგა ბოკერია აშშ-ის სპეცსამსახურებთან 10



ბრუს ჯექსონმა 20 წელზე მეტ ხანს იმსახურა სამხედრო დაზვერვის ოფიცრად აშშ-ის სახმელეთო ჯარებში, არის პროფესიონალი მზვერავების ოჯახის წარმომადგენელი. მისი მამა — უილიამ ჰარდინგ ჯექსონი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი დამფუძნებელია.

9

## ქალაქის «ჰარლი-დევიდსონები» და ქუმსიშვილის «ბლუჯა-ბლუჯა» ლარები

რა ქონებას ფლობენ ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრები



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქვეყანა, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს ერთ საგარეო სტრატეგიულ მიმართულებას, ხოლო მეორე მიმართულებას კონსტიტუციურ ნორმადაც კი აქცევს, — თუნდაც მსოფლიო დაიქცეს, მე მაინც ამ საგარეო კურსს უნდა გავყვეო, ქვეყანა, რომელიც საგარეო პოლიტიკაში არ იტოვებს ლავირების საშუალებას, განწირულია საბოლოო განადგურებისთვის! სულაც კვირაში სამჯერ რომ შევიკრიბოთ ყველანი, გამოვვარდეთ ქუჩაში და გადმოვაგდოთ მთავრობები, მაინც არაფერი გვეშველება, ვიდრე მთავრობების გადმოგდების ჩვეულებას სწორი აზროვნების ჩვეულებით არ შევცვლით.**

# საქართველოს არაფერი ეშველება, თუ მკვეთრად არ შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური კურსი

## ამერიკის ინტერესი მხოლოდ ის არის, რომ დაინახოს, რაზეა წამსვლელი და რისი გამბედავია რუსეთი. ამ «ღია დაზვერვის» მსხვერპლი კი ყოველთვის საქართველოა

**არსებობს ასეთი ჰოლივიდური ფილმი „ქორწინების ჩვეულება“. ამ ფილმის მთავარი გმირია მამაკაცი, რომელიც მეოთხედ ქორწინდება ერთსა და იმავე ქალზე. ყოველი ქორწინების შემდეგ მათ შორის არის სერიოზული კონფლიქტი, მძიმე კამათი, ხასიათების შეუთავსებლობა, ათასი უბედურება და წყვილი ერთმანეთს შორდება, თუმცა გარკვეული ხნის შემდეგ ისინი კვლავ ქორწინდებიან. ბოლოს, როდესაც ფილმის მთავარ გმირ მამაკაცს მეგობრები ეკითხებიან, რატომ ქორწინდება მეოთხედაც იმავე ქალზე, სიძე უკეთეს პასუხს ვერ მოიგონებს და გულახდილად ამბობს, — ასეთი ჩვევა მაქვსო.**

ამ ფილმს მახსენებს ბოლო 27 წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოებისა და საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება. ზუსტად ასე — ქართველმა ხალხმა უკვე მეოთხედ აირჩია მთავრობა და ოთხივე შემთხვევაში — ერთი და იგივე.

ზოგი იტყვის, — არ არის სწორი, ქართველმა ხალხმა სხვადასხვა მთავრობა აირჩია და არა ერთი და იგივეო, მაგრამ შემიძლია დაგიმტკიცოთ, რომ სწორედ ერსა და იმავე მთავრობას ირჩევს ქართველი ხალხი უკვე მეოთხედ და ერთ მანკიერ წრეზე ვტრიალებთ.

არ სჭირდება დიდი დაკვირვება და ფილოსოფია იმას, რომ **„დამოუკიდებელი საქართველოს“ ოთხივე მთავრობა ერთმანეთისგან ამოიზარდა. ეს შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი რევოლუციები, „ხავერდოვანი“ გადატრიალებები თუ ხელისუფლების არჩევენებით გადაბარების პროცესი, მხოლოდ და მხოლოდ შიგა სამთავრობო განხეთქილებები იყო და მეტი არაფერი.**

ასე რომ, თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეს მთავრობები ერთი და იმავე „ცოლის“ სახესხვაობებად და გავავლოთ პარალელი, რომ ყოველი „ურთიერთობის გაცივების“ შემდეგ ქართველი ხალხი „შორდება“ მთავრობას და ცოტა ხნის შემდეგ ცოტა სახეცვლილ იმავე მთავრობაზე „ქორწინდება“, ანუ დიდი ზარ-ზეიმითა და უდიდესი პროცენტული ნდობით ირჩევს მას.

მთავრობის მიმართ ასეთი უცნაური დამოკიდებულება უბრალო ადამიანებთან საუბარშიც ჩანს, როდესაც ისინი ისეთ აზრებს ამბობენ ან წერენ სოციალურ ქსელებში, რომლებიდანაც იოლი ამოსაკითხია, რომ თავადაც ვერ ათვითცნობიერებენ, როგორი ფატალური დამოკიდებულება აქვთ „მთავარობათა“ მიმართ.

ნებისმიერ თემას, რომლის შესახებაც უნდა გამოაქვეყნო საკუთარი თვალსაზრისი, თუნდაც ისაუბრო დამოკიდებულებაზე რუსეთისა და თურქეთის მიმართ, აუცილებლად მოჰყვება საზოგადოების მხრიდან ასეთი ტიპის კომენტარები: **„მერე რას ველოდებით? გამოვიდეთ ყველანი ქუჩაში და ჩამოვაგდოთ ეს არაფრის მაქნისი და გამყიდველი მოღალატე მთავრობა!“**

კი მაგრამ, **უკვე მერამდენე „მოღალატე და გამყიდველი მთავრობა“ ჩამოვაგდეთ? დაფიქრდით, შეიცვალა ამით რამე?**

მაგალითად, ავიღოთ ამ დღეებში ყველაზე უფრო გახმაურებული თემა: თურქეთის ელჩის საშინლად უკულტურო და თავხედური პოზიცია დიდგორობის დღესასწაულის მიმართ.

**ამ თემაზე სოციალურ ქსელში უამრავი „პოსტი“ დაიწერა და თითქმის ყველა კომენტარში აუცილებლად იყო მოწოდებები იმის შესახებ, რომ გამოვიდეთ ყველა ერთად ქუჩაში და დავასრულოთ ეს ხელისუფლება. ჯერ ერთი, ძალიან დიდი გულუბრყვილობაა, იფიქრო, რომ ოდესმე გინდ შეიარაღებული, გინდ ვარდებიანი და გინდ საარჩევნო გადატრიალებებისას ხელისუფლება მართლა ხალხის გამოსვლამ დაამხო და, ამ ყოველივეს უკან დიდი ფული და გარკვეული გავლენიანი ძალები რომ არ მდგარიყო, ვინმე ვინმეს დამხობას შეძლებდა.**

მაგრამ, მთავარი მაინც ეს არის: **დავუშვათ, გამოვედით და დავამხეთ, მერე?**

რა გგონიათ, მოვა ხელისუფლებაში ისეთი ძალა, რომელიც თურქეთის ელჩს პირდაპირ ეტყვის, შენი კომპეტენციის ფარგლები იცოდე, ბატონო პარტნიორო, ჩვენ, ქართველები, როდის ვიდღესასწაულებთ და როდის ვიგლოვებთ, შენ არავინ გეკითხებაო?!

აბა, დაუკვირდით, **რომელიმე მთავრობა ვინმეს „ებლატავა“, რუსეთის გარდა?**

**საქართველოს ყველა მთავრობას ყოველთვის იმას ალაპარაკებდა ჩვენი „სტრატეგიული დასავლელი პარტნიორი“, რაც რუსეთის ძლიერ გაღიზიანებას და შემდგომ მისი საპასუხო (დიახ, აგრესიულ და მტრულ, მაგრამ — საპასუხო) რეაქციის შედეგად საქართველოსთვის მძიმე ზარალის მოტანას იწვევდა.**




**საქართველოს ყველა მთავრობას ყოველთვის იმას ალაპარაკებდა ჩვენი «სტრატეგიული დასავლელი პარტნიორი», რაც რუსეთის ძლიერ გაღიზიანებას და შემდგომ მისი საპასუხო (დიახ, აგრესიულ და მტრულ, მაგრამ — საპასუხო) რეაქციის შედეგად საქართველოსთვის მძიმე ზარალის მოტანას იწვევდა**

ნუთუ არ არის დრო, შევიგნოთ — ეს მთავრობათა ცვლა მხოლოდ ორთქლის გამოშვებაა და არავითარი შედეგი და ცვლილება არ მოაქვს. აქ საქმე ძალიან მარტივადაა: **დაინახავენ ჩვენი ბატონი ამერიკელები, რომ ქართველებს უკვე „ოჯახური კონფლიქტი“ აქვთ საკუთარ მთავრობასთან, უკვე ხვდება ხალხი, რომ მომდევნო ჯერზეც „იგივე ცოლი“ მოუყვანია და მასთან ისევ გაშორება გვსურს და მაშინვე „დაგვაშორებენ“ მთავრობასთან, თანაც ისე, რომ დაგვრჩეს შთაბეჭდილება, თითქოს ეს მთავრობა მართლა ჩვენ შევცვალეთ. მერე იმავე „ცოლს“ გადაღებავენ სხვა ფერად და დაგვისვამენ ისევ მთავრობაში. ეს მხოლოდ და მხოლოდ ორთქლის გამოშვებაა.**

პირდაპირ უნდა ითქვას და უკვე დროცაა და ძალიან დაგვიანებულიც კი ამის თქმა: **უნდა შეიცვალოს არა „ცოლი“, ანუ მთავრობა, არამედ ხალხის, საზოგადოების შეგნება, მსოფლმხედველობა და აზროვნება უნდა მივიდეს იქამდე, რომ ამ ქვეყანას არაფერი ეშველება, თუკი მკვეთრად არ შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური კურსი.**

**სრული სისულელეა „არგუმენტი“, რომ თითქოს საქართველომ ბევრჯერ სცადა რუსეთთან მოლაპარაკება, დავუთმეთ კიდეც, მაგრამ სანაცვლოდ მათგან მაინც აგრესია და ოკუპაცია მივიღეთ.**

სინამდვილეში, საქართველოს ყველა ხელისუფლებამ, უბრალოდ, სცადა რუსეთის მოტყუება და „გადაგდება“. რატომღაც თავიანთი თავი ძალიან ჭკვიანებად, ხოლო რუსი პოლიტიკოსები ძალიან დებილებად მიიჩნიეს და იფიქრეს, „დაეგოიმებინათ“. თქმა არ უნდა, რომ **ესეც არ მოხდებოდა ჩვენი „ძმებისა და მეგობრების“ ამერიკელი ინსტრუქტორების გარეშე.**

**ამერიკის ინტერესი მხოლოდ ის არის, რომ დაინახოს, რაზეა წამსვლელი და რისი გამბედავია რუსეთი. ამ „ღია დაზვერვის“ მსხვერპლი კი ყოველთვის საქართველოა.**

დასკვნის გამოსატანად, ერთი ნათელი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როგორ აზროვნებს საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი საქართველოში.

**ტელეკომპანია „კავკასიის“** ეთერში **ნინო ბურჯანაძის** სტუმრობისას ასეთი საუბარი გაიმართა:

**ნინო ბურჯანაძე:** — როგორ შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ **პუტინი** არ მოდის დიალოგზე? როდესაც ამ ადამიანმა პირველად ახსენა დიალოგი საქართველოსთან, აქედან ესენი გაუბრაზდნენ, საერთოდ, რატომ გვახსენებსო! მეორედ დაძრა სიტყვა პუტინმა დიალოგზე და პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** საჯაროდ განაცხადა, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს უნდა ვკითხოთ, მოგვცემენ თუ არა პუტინთან ლაპარაკის უფლებასო. მესამედ თქვა პუტინმა, — საქართველოს პირველ პირს დაველაპარაკებიო და აქ ერთმანეთი დახოცეს პრეზიდენტმა და პრემიერმინისტრმა იმის გარკვევაში, ვინ არის საქართველოს პირველი პირი. გადაირია პუტინი, ველარ მიხვდა, ვის უნდა დაელაპარაკოს...

**დავით აქუბარდია:** — ხალხს დაელაპარაკოს, ქალბატონო ნინო, ქართველ ხალხს!..

აღარაფერს ვიტყვი აქ ნინო ბურჯანაძის უკიდურესად გაოცებული სახის შესახებ, უბრალოდ, თქვენს ყურადღებას ერთ გარემოებას მივაქცევ — **როდესაც ცნობილი ჟურნალისტი, ანალიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანი ასე გამაოგნებლად აზროვნებს, როგორ ფიქრობთ, უბრალო მასაში რამდენი იქნება ანალოგიურად და კიდევ უფრო უარესად მოაზროვნე?**

სხვათა შორის, სიმართლე უნდა ითქვას და, სწორედ დავით აქუბარდია ამბობდა თავისივე გადაცემაში 2008 წლის 8 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე: **რუსებს ჟანგიანი ტანკები ჰყავთ და, თუ გაბედეს როკის გვირაბს აქეთ გადმოსვლა, ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ჩვენი ბიჭები კუდით ქვას ასროლინებენო. მოგვიანებით „აქუ“ გაიტრუნა, ეს ფარაზა კი მიშას მიეწერა.**

აი „აქუს“ ახალი შედევრი: **თურმე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც საქართველოს არც პრეზიდენტი მიაქცევს ყურადღებას და არც პრემიერმინისტრი ათხოვებს ყურს, უნდა ადგეს და ქართველ ხალხს დაელაპარაკოს პირდაპირ და უშუალოდ, სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურებისა და შესაბამისი სახელმწიფო ჩინოსნების გვერდის ავლით!**

რა თქმა უნდა, რუსეთის, კრემლისა და პუტინის ბრალია ყველაფერი! **ხომ შეეძლო პუტინს, ჩამოსულიყო საქართველოში, დამდგარიყო შუა რუსთაველზე და ეთხოვა ჩვენთვის, — ქართველო ხალხო, დამელაპარაკეთო?**

**ხომ შეეძლო, საერთოდ ფეხებზე დაეკიდებინა გუდაუთაში, ასევე, როკის გვირაბთან ახლოს განლაგებული სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო ობიექტები, ეთქვა რუსეთისთვის, — მოიცა რა, რა დროს რუსეთის უსაფრთხოებაა, აგერ ჩვენს ძმებს, ქართველებს, ამერიკელებთან ერთად ჩვენი ინტერსების საზიანოდ მოქმედება მოსურვებიათ და ხომ ვერ ვაწყენინებთ, მოდი, ქართველების ხათრით მოვუშვათ ჩვენს საზღვრებთან ნატოც, ამერიკაც და ყველა, ვისაც არ დაეზარებაო?**

ბოლოს და ბოლოს, **ხომ შეეძლო გადაეცვა ღატაკის სამოსი ვლადიმერ პუტინს, ღამღამობით ევლო თბილისის ღარიბ უბნებში და გასცნობოდა ქართველი ხალხის განწყობას? რა, განა რუსეთის პრეზიდენტმა ამდენი არ უნდა გააკეთოს ქართველი ხალხისთვის?**

მესმის, რომ ყოველივე ეს ზედმეტად გროტესკულად გეჩვენებათ, მაგრამ, სამწუხაროდ, რაც აი, ამ გროტესკიდან ჩანს, ამაზე გაცილებით კიდევ უარესად არის საქმე სინამდვილეში.

ჰოდა, გეკითხებით — ამას ვითომ უშველის ქუჩაში გავარდნა და მთავრობის კიდევ ერთხელ ჩამოგდება, მერე ამ ჩამოგდებული მთავრობის ადგილას ისევ იმავე, ოღონდ გადაღებილი, მთავრობის დასმა?

მგონია, რომ ქვეყანა, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს ერთ საგარეო სტრატეგიულ მიმართულებას, ხოლო მეორე მიმართულებას კონსტიტუციურ ნორმადაც კი აქცევს, — თუნდაც მსოფლიო დაიქცეს, მე მაინც ამ საგარეო კურსს უნდა გავყვეო, ქვეყანა, რომელიც საგარეო პოლიტიკაში არ იტოვებს ლავირების საშუალებას, განწირულია საბოლოო განადგურებისთვის. სულაც კვირაში სამჯერ რომ შევიკრიბოთ ყველანი, გამოვვარდეთ ქუჩაში და გადმოვაგდოთ მთავრობები, მაინც არაფერი გვეშველება, ვიდრე მთავრობების გადმოგდების ჩვეულებას სწორი აზროვნების ჩვეულებით არ შევცვლით!

**„ხელისუფლება დიდგორის ომს, აჭარის გათავისუფლების დღეს არ აღიარებს, მაგრამ ხომ არ შეიძლება მუდმივად ასეთ პოლიტიკას განაგრძობდეს? ნატო-ნატოს უსაფუძვლო ძახილმა სამაჩაბლოც დაგვაკარგვინა. კონსტიტუციაში კი ის უნდა ჩაიწეროს, რაც ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების წინა პლანზე წამოწევას შეუწყობს ხელს“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიაზ ბოლქვაძე: ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არასოდეს დასწრებია აჭარის გათავისუფლების დღესასწაულს

**ახლახან დაიბეჭდა „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ ხელმძღვანელის, ფილოსოფოსის, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, რუსეთის ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრ ნიაზ ბოლქვაძის წიგნი „აზროვნების ეკოლოგია — კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“. წიგნი რელიგიათა შორის დაპირისპირებასა და იმ მოსალოდნელ საფრთხეებზეა, რომლებიც მომავალში კაცობრიობას ემუქრება. საყურადღებოა, რომ ავტორი მკითხველს პრობლემების გადაჭრის გზებს სთავაზობს.**
**წიგნის გამოცემის მიზანზე, პრობლემების გადაჭრის გზებსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ნიაზ ბოლქვაძე ესაუბრება.**

**— ბატონო ნიაზ, მოგეხსენებათ, პარლამენტმა შეაჩერა კანონპროექტის განხილვა, რომელიც 12 აგვისტოს დიდი გამარჯვების დღედ გამოცხადებას ისახავდა მიზნად. როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია თურქეთის საელჩოს თხოვნას. ნიშნავს თუ არა ეს საქართველოს საქმეებში ჩარევას და ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესების დაკნინებას?**

— რა თქმა უნდა, ნიშნავს. ამაზე მეტად ქვეყნის დაკნინება რაღა უნდა იყოს?! დიდგორის ბრძოლა ჩვენი ისტორიის სახელოვანი ფურცელია და როგორ შეიძლება მისი დავიწყება და უგულებელყოფა?! ჩვენ არავის ვებრძვით და არც ვინმეს წყენინება გვინდა, მაგრამ თურქებს თუ სხვა ინტერესი არ ამოძრავებთ ჩვენ მიმართ, რატომ უნდა ეწყინოთ, თუ ჩვენს ისტორიულ თარიღს ვიზეიმებთ?!

**რამდენი ხანია, ვითხოვთ ბათუმში ოსმალეთისგან აჭარის გათავისუფლების მემორიალის აღმართვას და ნებას არ გვრთავენ. 30 ათასზე მეტი ხელმოწერაც შევაგროვეთ, მივმართეთ ხელისუფლებას, საპატრიარქოს, მაგრამ ამაოდ. ჩვენი ქვეყანა გამუდმებით კარგავს ტერიტორიებს, ამიტომ ეს მემორიალი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის წინაშე მდგომ ქართველ ხალხს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება.** ბევრი არაკეთილმოსურნისგან მსმენია, როგორ ვერ შევეგუეთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას, ამდენი წელი გავიდაო. ამ მემორიალით ჩვენ ყველას პასუხს გავცემთ, რომ ვერასოდეს შევეგუებით ჩვენი ტერიტორიების დაკარგვას. შევახსენებთ, რომ აჭარა და მესხეთი სამასი წლის შემდეგაც კი დაუბრუნდა დედასაქართველოს.

25 აგვისტოს, უკვე მეხუთე წელია, აღვნიშნავთ ამ დღესასწაულს. პარლამენტს, საქართველოს საპატრიარქოს მივმართეთ თხოვნით, რათა ეს დღე გამოეცხადებინათ აჭარის გათავისუფლებისა და დედასამშობლოში დაბრუნების დღედ, მაგრამ პასუხი არც ამ საკითხზე მიგვიღია. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოვიწვიეთ, **ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არასოდეს დასწრებია აჭარის გათავისუფლების დღესასწაულს. ეს ყველაფერი შემთხვევით არ ხდება. ეს არის ხელისუფლების არასწორი პოლიტიკა და არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს.**

**— თქვენი აზრით, ხელისუფლება რატომ გეუბნებათ უარს გამარჯვების მემორიალის აღმართვაზე: იმავე მიზეზით ხომ არა, რა მიზეზითაც 12 აგვისტოს გამარჯვების დღედ გამოცხადებისგან იკავებს თავს? ვისი ეშინია თუ ერიდება ამ შემთხვევაში ხელისუფლებას?**

— დიდმა მოქანდაკემ, **მერაბ ბერძენიშვილმა,** თავის დროზე მოიწონა იდეა და თქვა, მხდალი ხალხი ვართ, ალბათ, თორემ ასეთი მემორიალი აქამდეც უნდა გვქონოდაო. მნიშვნელოვანია, რომ ეს არის არა მხოლოდ გამარჯვების მემორიალი, არამედ მასზე ასახულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია. თურქეთის ბევრ ქალაქში ვიყავი, ვნახე მათი ისტორიული ძეგლები და ისიც, როგორ ამაყობენ საკუთარი გამარჯვებებით... სერიალიც გადაიღეს — „დიდებული საუკუნე“. **ჩვენგან კი ჩვენი გამარჯვების უგულებელყოფას მოითხოვენ.**

**— თქვენი აზრით, რატომ ითხოვენ ამის გაკეთებას?**

— გასდით და იმიტომ. სიმხდალის გამოვლინებაა ეს ჩვენი მხრიდან და მეტი არაფერი.

იყიდება ჩვენი მიწები, მოქალაქეობას იოლად ანიჭებენ უცხოელებს. მე შევხვდი ნიგერიელ სტუდენტებს, რომლებმაც ქართული ერთი სიტყვაც არ იციან და საქართველოს მოქალაქეობა აქვთ.

ამაზე მეტი უთავმოყვარეობა გაგონილა?! მე რომ ახლა რომელიმე ქვეყანაში ჩავიდე, ასე ადვილად მომცემენ მოქალაქეობას?

**— საკონსტიტუციო კომისიის გადაწყვეტილებით, კონსტიტუციის 79-ე მუხლში ჩაიწერება, რომ საქართველოს უმთავრეს პრიორიტეტს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. მართებულად მიგაჩნიათ კონსტიტუციაში ამგვარი ჩანაწერის გაკეთება?**

— ხელისუფლება დიდგორის ომს, აჭარის გათავისუფლების დღეს არ აღიარებს, მაგრამ ხომ არ შეიძლება მუდმივად ასეთ პოლიტიკას განაგრძობდეს? ნატო-ნატოს უსაფუძვლო ძახილმა სამაჩაბლოც დაგვაკარგვინა. კონსტიტუციაში კი ის უნდა ჩაიწეროს, რაც ჩვენი სახელმწიფოს ინტერესების წინა პლანზე წამოწევას შეუწყობს ხელს. საქართველოს უმთავრეს პრიორიტეტს ეროვნული ინტერესების დაცვა უნდა წარმოადგენდეს.



**— ბატონო ნიაზ, გამოვიდა თქვენი წიგნი „აზროვნების ეკოლოგია — კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“. რა იყო წიგნის გამოცემის მიზანი, კონკრეტულად რა პრობლემებს ეხება ის?**

— ამ პატარა ნაშრომზე 12 წელი ვიმუშავე. ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი, როდესაც ფილოსოფიით, რელიგიითა და მსოფლიოს მოაზროვნე ადამიანების ცხოვრების შესწავლით დავინტერესდი. წლების შემდეგ ერთ დასკვნამდე მივედი: **ყველა ტრადიციული რელიგია ემსახურება ერთ ჭეშმარიტებას — უმაღლეს გონს, ერთი ღმერთის იდეას.** ნებისმიერი მათგანი ერთსა და იმავე პრინციპს ეფუძნება — „რაც არ გინდა შენთვის, ნუ უსურვებ სხვას“. მიხედავად ამისა, არც ერთი რელიგია სხვა რელიგიას არ აღიარებს და მხოლოდ თავის ქადაგებას მიიჩნევს ჭეშმარიტებად. კაცობრიობას კი სხვადასხვა მიმართულების რელიგიურ კონფესიათა შორის კონფლიქტების გამო აუნაზღაურებელი მორალური და ფიზიკური ზიანი ადგება.

მრავალწლიანი კვლევა-ძიებისას შევხვდი სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებს, რელიგიურ ლიდერებს, მათ შორის — **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს,** რუსეთის მუსლიმანთა საზოგადოების თავმჯდომარე **ტალგატ ტაჯუდინს,** ბუდიზმის ერთ-ერთ გამოჩენილ ლიდერს, ტიბეტელ ბერ **გეშე ლამა ჯამპა ტინლეიას,** ბაშკირეთის **მეუფე ნიკონს,** ბათუმისა და ლაზეთის **მიტროპოლიტ დიმიტრის.** უნდა შევხვედროდი რუსეთის პატრიარქ **კირილსა** და რომის პაპს, მაგრამ ეს შეხვედრები ჩაიშალა, თუმცა იმედი მაქვს, ამის საშუალება მომავალში მაინც მომეცემა.

**უპირველესად, საინტერესოა, რომელ საფრთხეებს მიჰყავს კაცობრიობა კატასტროფისკენ. ერთ-ერთი საფრთხე რელიგიური დაპირისპირება, რელიგიურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერორიზმია, ხოლო ყველა არსებული პრობლემის — ტერორიზმის, ბირთვული კატასტროფების — თავიდათავი არის ადამიანი, ამიტომ კარგი იქნებოდა ტრადიციული რელიგიების ერთ მსოფლიო რელიგიად გაერთიანება. ამით თავიდან ავიცილებდით რელიგიურ ომებს, კონფესიათა შორის კონფლიქტებს, მაგრამ ამ იდეას თანამედროვე სამყაროში განხორციელება არ უწერია.**

დედამიწაზე ადამიანთა დაყოფა, როგორც ენის, ისე რელიგიის მიხედვით, უფლის ნებით მოხდა, მაგრამ ყველას ხომ საერთო პრინციპი და მიზანი აქვს?! ამ სიმართლის აღიარება წერტილს დაუსვამს რელიგიათა შორის დაპირისპირებას, ამის მიღწევა კი მხოლოდ აზროვნების ეკოლოგიითაა შესაძლებელი.

2004 წელს გაეროს გენერალური მდივნის — **კოფი ანანის** — ინიციატივით სამყაროში შექმნილი ურთულესი მდგომარეობისა და თანამედროვე გამოწვევების შესაფასებლად მსოფლიოს გამოჩენილი მოღვაწეები შეიკრიბნენ, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს პრობლემების გადასაჭრელად. პრობლემათა შორის ეკონომიური და სოციალური საფრთხეების პარალელურად დაასახელეს ეკოლოგიური დეგრადაცია, ტერორიზმი და ერებს შორის დაპირისპირება, რომლებიც, ძირითადად, რელიგიური ფანატიზმითაა განპირობებული. **ბოლო წლებში რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილმა კონფლიქტებმა კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშეც დააყენა და, გაეროს მცდელობის მიუხედავად, მდგომარეობა კვლავ დაძაბულია, ამიტომ ვფიქრობ, ამ საკითხისადმი ახლებური მიდგომაა საჭირო, მით უფრო — დღეს, როდესაც დედამიწას ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება.** ჯერ კიდევ არ არის გვიან, ადამიანმა დაიწყოს ზრუნვა მისივე დაუდევრობით, რელიგიური დაპირისპირებებითა და არაეკოლოგიური ჩარევით დარღვეული ბუნებრივი კანონზომიერების აღდგენაზე.

**— წიგნში არის პასუხი იმაზე, როგორ დავიცვათ თავი მოსალოდნელი კატასტროფისგან?**

— რა თქმა უნდა. წიგნში კონკრეტულად არის მითითებული, როგორ უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა. სხვათა შორის, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურიდან გამოგვეხმაურნენ, დაინტერესდნენ და ნაშრომი ინგლისურ ენაზეც უნდა ითარგმნოს.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

**«რამდენი ხანია, ვითხოვთ ბათუმში ოსმალეთისგან აჭარის გათავისუფლების მემორიალის აღმართვას და ნებას არ გვრთავენ. 30 ათასზე მეტი ხელმოწერაც შევაგროვეთ, მივმართეთ ხელისუფლებას, საპატრიარქოს, მაგრამ ამაოდ. ჩვენი ქვეყანა გამუდმებით კარგავს ტერიტორიებს, ამიტომ ეს მემორიალი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის წინაშე მდგომ ქართველ ხალხს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება»**

## ნიგერიელ სტუდენტებს, რომლებმაც ქართული ერთი სიტყვაც კი არ იციან, საქართველოს მოქალაქეობა აქვთ



ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გახსოვთ კადრები ფილმ „ტიტანიკიდან“, გემი რომ იძირება და ორკესტრი უკრავს? ზუსტად ასეა ჩვენი საქმეც, ქვეყანა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ ამას ხელისუფლება ვერ აცნობიერებს. როგორ უნდა გაგიბედოს ვილაც ელჩმა, — შენი ქვეყნის უდიდესი ისტორიული გამარჯვება არ აღნიშნოო?! რა ჰქვია ამას?! ასეთი სახელმწიფო შეიძლება იყოს შენი მეგობარი და პარტნიორი?!**

# პრემიერ კვირიკაშვილს ანკარაში ოფიციალურ შეხვედრებზე საქართველოს დროშით აღარ ხვდებიან

**მას შემდეგ, რაც „მეგობარმა“ თურქეთმა საქართველოს პარლამენტს თითი დაუქნია და დაბლოკა საკანონდებლო ინიციატივა, რომელიც დიდგორის ბრძოლის დღის უქმედ გამოცხადებას ითვალისწინებდა, ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში ვიზიტად მყოფ თურქ მაღალჩინოსნებს ლამის ფეხქვეშ გაეფინონ.**



## მამა დავითი (ქვლივიძე): ასიოდე წლის წინათ თურქებმა საზღვარი ოზურგეთამდე გადმოწიეს, ახლაც იგივე მეორდება



პრემიერ კვირიკაშვილს ანკარაში ოფიციალურ შეხვედრებზე საქართველოს დროშით უკვე აღარ ხვდებიან. აქეთ ჩამოსულ თურქ დიპლომატებს კი პრეზიდენტიც, პრემიერიცა და პარლამენტის თავმჯდომარეც თვალებში შესციცინებენ. ამჯერად თბილისს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი **სეიფულა ჰაჩიმუთოღლუ** ეწვია. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს და თანამშრომლობის გაღრმავება-განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს. მოგვიანებით სეიფულა ჰაჩიმუფთოღლუ საქართველოს პრეზიდენტსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანსაც შეხვდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი მედიისთვის განცხადებებიც გაკეთდა...

არის თუ არა თურქეთი საქართველოს მეგობარი და პარტნიორი სახელმწიფო, რა ინტერესი აქვს მას რეგიონში და რატომ დაბლოკა ოფიციალურმა ანკარამ საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმადაც დიდგორის ბრძოლის დღე უქმედ უნდა გამოცხადებულიყო? „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის თბილისის ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის მღვდელმსახურს, **დეკანოზ დავითს (ქვლივიძეს)** დაუკავშირდა.

**მამა დავითი (ქვლივიძე):** — ცოტა შორიდან დავიწყებ. გაიხსენეთ კვირიკაშვილის ვიზიტი თურქეთში, ერდოღანთან ოფიციალურ შეხვედრაზე ორივე მხარეს თურქული დროშა იყო გამოფენილი, ქართული ხუთჯვრიანი დროშა აღარ დაკიდეს. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ თურქები საქართველოს აღარ აღიქვამენ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ, საქართველო მათთვის არის ვასალური ქვეყანა. ახლა ვილაც ლაპარაკობს, რომ რუსები ჩვენი მტრები არიან, მაგრამ რუსებს ასეთი რამ გონებაშიც არ გაუვლიათ. დიდგორის მემორიალი მათი აშენებულია...

რაც შეეხება თურქეთ-საქართველოს „ისტორიულ მეგობრობას“, ერდოღანმა ადრე პირდაპირ განაცხადა, თურქეთს საფრთხე ემუქრება რამდენიმე წერტილიდან: ბალკანეთიდან, დამასკოდან, იემენიდან და ბათუმიდანო. შემდეგ ხაზი გაუსვა, — ყარსიდან და ართვინიდან კი არა, ბათუმიდანო. აი, ასეთი დამოკიდებულება აქვთ თურქებს საქართველოს მიმართ და ამას არც მალავენ. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ, **თუ ასე გაგრძელდა, რაც სერბეთს გაუკეთეს, იგივე ბედი ელის საქართველოსაც...**

**— რას გულისხმობთ?**

— სერბეთი ჩვენ თვალწინ დაშალეს და იმავეს ცდილობენ აქაც. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და ჩვენი ამპარტავნება მას აჩქარებს. **გახსოვთ კადრები ფილმ „ტიტანიკიდან“, გემი რომ იძირება და ორკესტრი უკრავს? ზუსტად ასეა ჩვენი საქმეც, ქვეყანა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ ამას ხელისუფლება ვერ აცნობიერებს. როგორ უნდა გაგიბედოს ვილაც ელჩმა, — შენი ქვეყნის უდიდესი ისტორიული გამარჯვება არ აღნიშნოო?! რა ჰქვია ამას?! ასეთი სახელმწიფო შეიძლება იყოს შენი მეგობარი და პარტნიორი?!**

**— ოფიაციალურ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ თურქეთის საელჩომ, უბრალოდ, სთხოვა პარლამენტს, არ დაამტკიცოს ეს საკანონმდებლო ინიციატივა.**

— რა მნიშვნელობა აქვს, თხოვნა იყო თუ ბრძანება, ხომ დაიბლოკა ეს ინიციატივა?! ახლა **შეკითხვა მაქვს ბატონ თურქეთის ელჩთან: ჩვენ დავით აღმაშენებლის სახელი ტროპარებში გვიწერია, რა ვქნათ, ამოვშალოთ? ფრესკებიდანაც წავშალოთ?** რა არის თხოვნა, ამას შეიძლება, თხოვნა დავარქვათ?! საქართველო სულ ხუთჯერ იყო გაერთიანებული: **ფარნავაზის** მეფობის პერიოდში; **ვახტანგ გორგასლის** დროს; აშოტ კურაპალატის დროს დაიწყო და დავითის მეფობის პერიოდით გაგრძელდა; გიორგი ბრწყინვალის პერიოდში და, როცა რუსეთის იმპერიაში ვიყავით. 1917 წელს რუსეთის იმპერიის ჯარები ერზრუმამდე მივიდნენ და იმხანად ქართველი სასულიერო პირები მართლმადიდებლურ წირვას ოშკსა და იშხანში ატარებდნენ. მერე კი, როცა რევოლუცია მოხდა, სულ რაღაც ასიოდე წლის წინათ, თურქებმა საზღვარი ოზურგეთამდე გადმოწიეს, ახლაც ანალოგიური რამ მეორდება. არადა, დღეს ვილაც გაიძახის, თურქები ჩვენი ისტორიული მეგობრები და მოკავშირეები არიანო. ჩვენი სისხლით იკვებებოდნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რომელ მეგობრობაზე საუბრობენ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს სამარცხვინო ლაპარაკი?!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# «ძლევაი საკვირველიდან» საკვირველ დაბეჩავებამდე

**საქართველოს ბოლო მოწვევის პარლამენტი, წინა მოწვევის პარლამენტისგან განსხვავებით, ბუსუსიან პრეზერვატივებს ჯერჯერობით არ ერჩის, მაგრამ კონსტიტუციას ექცევა ზუსტად ისე, როგორც ბუსუსიან თუ უბუსუსო პრეზერვატივს იყენებენ ხოლმე.**

ამას წინათ ერთმა მეგობარმა თქვა, საქართველოს კონსტიტუცია სადმე თვალსაჩინო ადგილზე რომ დავდოთ და ყველამ, რაც უნდა, ის ჩაწეროს, ცუდი არ იქნებაო. სწორედ ასეა ახლა — კონსტიტუცია დევს და, ვისაც რა უნდა, იმას წერს. ყველაზე საინტერესო მაინც ის მგონია, რომ კონსტიტუციაში სურთ, საქართველოს საგარეო კურსი დაგვიკანონონ, ანუ ევროპისა და ნატოსკენ სწრაფვა. ისე არ გაიგოთ, თითქოს ან ერთს ვერჩოდეთ რამეს, ან მეორეს, მაგრამ კონსტიტუციაში, ქვეყნის უზენაეს კანონში, საგარეო კურსის ჩაწერა არასწორია და ახლავე აგიხსნით რატომ.

მარტივად რომ ვთქვათ, საქართველო ევროპა-აზიის გზაგასაყარზეა, აზიაში კი ჩინეთი და ინდოეთი ისეთი ტემპით ვითარდება, დიდი ალბათობით, რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს ყველა ქვეყანას უკან ჩამოიტოვებენ და, არ არის გამორიცხული, ჩვენი მიზანი, ევროკავშირი კი არა, აზიური კავშირი შეიქნეს, სასურველი იყოს ისეთ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობა, როგორიც სწორედ ინდოეთი და ჩინეთია. რა გამოდის? ამას ქვეყანა, უბრალოდ, ვერ მოახერხებს, თუ კონსტიტუციას არ შეცვლის, რადგან იქ ჩაწერილი იქნება, რომ ჩვენ ევროპა გვინდა და არა — აზია. ამასობაში კი **საქართველო მართლა ემსგავსება იმ პროდუქციას, რომელსაც აზიელები განვითარებადი ქვეყნებისთვის აკეთებენ და რომელსაც MADE IN CHINA აწერია. ჰო, სწორედ MADE IN CHINA გახდა ქვეყანა და ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ, პრაქტიკულად, ყველა მეზობელს აქვს.**

**რუსეთით** დავიწყოთ. **სერგეი ლავროვი** აფხაზეთში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა, იქ რუსეთის საელჩოც გახსნა და ჩვენმა ხელისუფლებამ, — ნახეთ, ეს რა იკადრაო. აქეთ **ზურაბ აბაშიძემ** შეყარა კოპები, — **კარასინს** რომ შევხვდები, ამ ამბავს გავუპროტესტებო, მაგრამ ის აღარ უთქვამს, კარასინიც რომ ახლდა ლავროვს აფხაზეთში. ანუ, აბაშიძე გაუპროტესტებს ლავროვის ვიზიტს და არ გაუპროტესტებს მისსავე ვიზიტს. მეორე მხრივ, ხელისუფლება ამბობს, რუსეთი თავის საქმეს საქართველოს ხარჯზე იკეთებსო. დიდი ბოდიში, მაგრამ ყველა ვილაცის ხარჯზე იკეთებს რაღაცას, ამ რაღაცას თავისი ქვეყნისთვის აკეთებს და ხომ ვერ მეტყვით, ჩვენ რას ვაკეთებთ, ვინმეს კი არა, საკუთარი თავის ხარჯზე ქვეყნისთვის? მე გეტყვით — არაფერს!

საქართველოს პარლამენტში კანონპროექტი განიხილეს, რომლის მიხედვითაც, 12 აგვისტო, საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი გამარჯვების დღე, დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა ჯარზე მოპოვებული „ძლევაი საკვირველი“ უქმე დღედ გამოცხადებულიყო, მაგრამ თურქეთის ელჩმა გააპროტესტა, — იქნებ ეგ დღე არ იზეიმოთ, მაგ დღეს ჩვენ დავმარცხდით და, რაც უნდა იყოს, მეზობლები ვართო. **იმის ნაცვლად, რომ ამ თავხედობის გამო თურქეთის ელჩისთვის ყური აეწიათ, დიპლომატიური ჭიტლაყი ამოერტყათ და თავის ქვეყანაში გაეძევებინათ, კანონპროექტზე მუშაობა შეჩერდა. მიზეზი საინტერესოა — თურქეთი ჩვენი დიდი მეზობელია, სტრატეგიული პარტნიორია და არ ვაწყენინოთ, ემანდ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი არ გვილიაროსო. სავარაუდოდ, თურქეთის ელჩმა არ იცის, რომ „ძლევაი საკვირველის“ შემოქმედი დავით აღმაშენებელი წმინდანად ვაღიარეთ, თორემ მოგვთხოვდა, ეგეც გააუქმეთ, გვეწყინებაო.** სავარაუდოდ, თურქეთის ელჩმა არც ის იცის, რომ აღდგომის დღესასწაული ჩვენთან უქმეა, თორემ საპროტესტო ნოტას აფრენდა, ჩვენს რელიგიას არ შეესაბამება და ეგებ არ იზეიმოთო და საბოლოო ჯამში, ბუსუსებიანი პრეზერვატივის გამოსაყენებელ ადგილსაც წაგვაჭრიან და... არაა თურქული ენა ძნელი სასწავლი, ხომ იცით?!

ამ ყველაფრის ფონზე, **მთავარ აგრესორად რუსეთის გამოცხადება უკვე სასაცილოა. რუსეთმა წასაღები წაიღო და ლანძღვაგინებით წაღებულს უკან არ დააბრუნებს. აი, თურქეთი კი იმას გვართმევს, რასაც ჯერ კიდევ ჩვენი ჰქვია და, აბა, როგორ არ გავიხსენოთ, ცოტა ხნის წინათ თურქეთის პრემიერის სიტყვები, აჭარა ჩვენი ტერიტორიააო.**

ისევ კონსტიტუციას დავუბრუნდეთ. კონსტიტუციით, ადამიანი მთავარი ღირებულებაა და ამ ღირებულების მთავარი მონაპოვარი — თავისუფლება, თავისუფალი არჩევანის უფლება. ჰოდა, ჩვენი შვილები, შვილიშვილები, რომ დაიბადებიან, რომ გაიზრდებიან და კონსტიტუციას ჩახედავენ, იქ ეწერება, რომ არჩევანის უფლება აღარ აქვთ, არჩევანი უკვე გაკეთებული იქნება და, გვინდა თუ არა, ევროკავშირისკენ უნდა იარონ, იმ ევროკავშირისკენ, რომლიდანაც ინგლისი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, საფრანგეთი აპირებს გაქცევას, საბერძნეთი და იტალია გარბიან და ბოლოს ისე გამოვა, ევროკავშირის კარს რომ გაგვიღებენ, სახლში არავინ დაგვხვდება და იქ დადგმულ მაგიდაზე მტვერიც ჩვენი გადასაწმენდი იქნება.

**სამაგიეროდ, თურქეთთან გვექნება კარგი ურთიერთობა, დასვენების დღეებს ხომ შევუთანხმებთ და დღესასწაულებსაც მათი კალენდრის მიხედვით ვიზეიმებთ. ამის გარდა, მალე მიგვანიშნებენ, რომ არ არის საჭირო წელიწადში ორჯერ ვიზეიმოთ გიორგობა, ახალი წლის შემდეგ შობა და ნათლისღებაც არ არის აუცილებელი და, საბოლოო ჯამში, ის, რაც დიდგორის ველზე ვერ მოახერხეს, დახურულ კარს მიღმა მოახერხებენ, თანაც ისე, არც გაწითლდებიან.**

მათ ლოგიკას რომ მივყვეთ, დიდგორის ველზე ხმლები უნდა ავიღოთ და მემორიალური დაფა გავხსნათ, რომელზეც დავწერთ, რომ მეზობელ თურქეთს მტრულად დავხვდით საუკუნეების წინათ, არ მივეცით უფლება, ქვეყანა დაემონებინა და დიდგორზე იმდენი მტერი გავჟლიტეთ, ლამის გენოციდად ჩაგვითვალეს. დიდგორობას სახელმწიფო დროშებიც დავუშვათ, **ჩამოვიყვანოთ ერდოღანი (ან სხვა ლანი) და დიდგორის ველი გვირგვინით შევამკოთ შემთხვევითი გამარჯვების ნიშნად...**

ასე თუ გაგრძელდა, ბატონებო, რატომღაც მგონია, რომ გამოჩნდება ორასიოდე თავზეხელაღებული ადამიანი, რომლებიც მოგაკითხავენ, თავდახრილი შემოვლენ თქვენს რიგებში, მერე კი, როცა შუაგულში მოექცევიან, ხმლებს იშიშვლებენ და ისედაც უთავო სხეულებს მართლა უთავოდ დატოვებენ. დიდგორიც ასე დაიწყო — „ძლევაი საკვირველი“...

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. რამდენიმე დღის წინათ ქართული ენის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე გახლდით ერთ-ერთ სკოლაში. იქ პლაკატი იყო გაკრული, რომელზეც ქართული ენის ისტორია ეწერა, ბოლოში კი აღნიშნული იყო, რომ ქართულ ენაზე მსოფლიოში დღეს ხუთ მილიონ ადამიანზე მეტი ლაპარაკობს. ზუსტი რაოდენობა — რამდენი საუბრობს ქართულად, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ, რომ არა დიდგორი, მეეჭვება, ეს წარწერა და, საზოგადოდ, ქართული სკოლა მენახა.**

**რუსეთი ყოველდღიურად უფრო მეტად იზიდავს საქართველოსა და სირიის მოსახლეობის დიდ ნაწილს არა მხოლოდ იქ, სადაც რუსული ბაზები დგას, არამედ ამერიკელების მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიებზეც. ამიტომ კოლექტიურ დასავლეთს, აშშ-ის მეთაურობით, გამუდმებით უწევს ამ ორ ქვეყანაში კონტროლს დაქვემდებარებული მედიისა და ე.წ. სამოქალაქო სექტორის მეშვეობით ჰიბრიდული ომების და ტყუილსა და ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული პროპაგანდის წარმოება.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სირია და საქართველო: ორი ქვეყანა — ერთი განსაცდელი, ერთი გამარჯვება

**რა შეიძლება ჰქონდეს საერთო სირიასა და საქართველოს? — გაიფიქრებს მკითხველი, ამ მასალის სათაურს რომ წაიკითხავს. ალბათ, მხოლოდ ის, რომ ორივე აღმოსავლეთის უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. და მართალი მხოლოდ ნაწილობრივ იქნება, ვინაიდან, სირიასა და საქართველოს შორის არსებული ყველა გეოპოლიტიკური, რასობრივი და კულტურული განსხვავების მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიოში ორივეს ერთნაირი მწარე ბედი აქვს.**



ბუნებრივი სიმდიდრეებისა (სირიაში ნავთობი, საქართველოში წყალი) და გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო სირია და საქართველო კოლექტიური დასავლეთის (აშშ-ის მეთაურობით) სანატრელ ობიექტად იქცა.

მაგრამ აშშ-ის, რომელმაც ამ „გემრიელი ლუკმებისგან“ ევროკავშირის ქვეყნებიც კი განზე გააჩოჩა, სტრატეგიული ინტერესები სირიასა და საქართველოში ოდითგანვე მყოფი რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს შეეჯახა.

„ფერადი რევოლუციებისა“ და „არაბული გაზაფხულის“ მოწყობის ნაცადი მეთოდებით აშშ-მა სირიიდან და საქართველოდან რუსეთის სრულად განდევნა ვერ შეძლო, მაგრამ ამ ქვეყნების დაშლა ერთმანეთზე გადამტერებულ ნაწილებად კი მშვენივრად მოახერხა. სირიამაც და საქართველომაც დღეს სახელმწიფო სუვერენიტეტი დაკარგა, მათი ტერიტორიის ნაწილს აშშ აკონტროლებს, ნაწილს — რუსეთი, რომელმაც იქ თავისი სამხედრო ბაზები განალაგა (სირიაში — ტარტუსსა და ლატაკიაში, ხოლო საქართველოში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში).

მაგრამ **რუსეთი ყოველდღიურად უფრო მეტად იზიდავს საქართველოსა და სირიის მოსახლეობის დიდ ნაწილს არა მხოლოდ იქ, სადაც რუსული ბაზები დგას, არამედ ამერიკელების მიერ გაკონტროლებულ ტერიტორიებზეც. ამიტომ კოლექტიურ დასავლეთს, აშშ-ის მეთაურობით, გამუდმებით უწევს ამ ორ ქვეყანაში კონტროლს დაქვემდებარებული მედიისა და ე.წ. სამოქალაქო სექტორის მეშვეობით ჰიბრიდული ომების და ტყუილსა და ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული პროპაგანდის წარმოება.** სირიელმა და ქართველმა ხალხმა ხომ თვალის ახელა თავისი გუშინდელი დასავლელი „მეგობრების“ შეძულებით დაიწყო, რომლებიც ტანკებითა და რაკეტებით თავს ახვევდნენ „დემოკრატიას“, რუსეთის მზარდი პოპულარობისა და ანტიდასავლური განწყობის დაშვება სირიასა და საქართველოში კი არაფრით შეიძლება!

მაგალითებისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, მათ ნებისმიერი დიასახლისი ჩამოგითვლით, მხოლოდ ბოლო ორს მოგიყვანთ:

**სირია** — პენტაგონისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შემუშავებული და პრეზიდენტ ტრამპის მიერ მოწონებული ლეგენდის თანახმად, სირიის პრეზიდენტ **ასადის** კანონიერმა მთავრობამ, რომელსაც რუსეთი უჭერს მხარს, იდლიბში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა, ამიტომ „მშვიდობისა და დემოკრატიის საყრდენი“ აშშ იძულებული შეიქნა, რაკეტები დაერტყა აშ-შაირათის სამხედრო ავიაბაზისთვის;

**საქართველო** — უზენაესი სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილება — საქართველოს წინააღმდეგ დასავლეთის ჰიბრიდული ომის პროპაგანდისტული იარაღი, ტელეკომპანია „რუსთავი 2,“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს, დასავლეთმა შეაფასა, როგორც „სიტყვის თავისუფლებისა და მედიაპლურალიზმის უხეშად ფეხქვეშ გათელვა“, რასაც გასულ კვირას ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა **ტურბიორნ იაგლანდმაც** კი აღშფოთებით გაუსვა ხაზი თავის ყოველწლიურ ანგარიშში.

ამასთანავე, გასულ კვირას დასავლეთის აგენტებმა „სამოქალაქო სექტორის“ სახით (სოროსის, მარშალის ფონდებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ფონდ CSSF-ის, აგრეთვე, USAID, IRI და NDI-ს მიერ შექმნილი ადგილობრივი არასამთავრობოები) საქართველოს პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი „ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ქვეყანაში ზემოაღნიშნული „სამოქალაქო სექტორის“ მიერ „რუსულ ნარატივში მხილებული“ მედიასაშუალებების, ანუ „კრემლის რბილი ძალის“ დახურვას.

**არსებობს თუ არა ხსნა იმ განსაცდელისგან, რომელშიც ქართველი და სირიელი ხალხები აღმოჩნდნენ? — არსებობს და, როგორც ჩანს, 6 წლის განმავლობაში სისხლისგან დაცლილი სირია დღეს ამ გზას ადგება.**

**ამ გზით, რომელზეც ქვემოთ ვილაპარაკებთ, უნდა წავიდეს გათითოკაცებული და დანაწევრებული საქართველოც, რომელიც, როგორც სირია 2011 წელს, ახლა სამოქალაქო ომის ზღურბლზე დგას ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „უალტერნატივო ევროატლანტიკური ორიენტაციის“ წყალობით.** სირიისა და საქართველოსთვის საერთო პარადიგმა — „სოციალური გამოუვალობა-მთავრობის შეცდომები-სამოქალაქო პროტესტი-ძალადობრივი აქციები-დამნაშავეობის თარეში-უკანონო შეიარაღებული ფორმირებები-ომი“ — საქართველოში ხომ ჯერაც გვახსოვს და, სამწუხაროდ, კვლავ აქტუალურია...

**ქართველი საზოგადოების შიგნით, აგრეთვე, აფხაზებთან და ოსებთან სამოქალაქო შერიგების პროცესი რომ დაიწყოს, დღეს ევროპის კოლონიად და ამერიკის პროტექტორატად გადაქცეული ქვეყნის შემდგომი ძარცვა და დანაწევრება რომ შეჩერდეს, აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა «საქართველოს სახალხო ფრონტი»**

## „სირიის სახალხო ფრონტი“

საზოგადოებრივი თანხმობა — აი, რა არ არის დღეს სირიასა და საქართველოში; აი, რას უნდა მიაღწიონ ამ ორი ქვეყნის ხალხებმა, რათა გადარჩნენ და კოლექტიური დასავლეთისგან დამოუკიდებლები გახდნენ.

**სირია** — ძმათამკვლელი ომის 6 წელი, 220 ათასზე მეტი დაღუპული, 2 მილიონზე მეტი ლტოლვილი, რომლებიც ასობით დაიხრჩვნენ ხმელთაშუა ზღვაში, დანგრეული ქალაქები და მსოფლიო კულტურის ძეგლები. ამ ყველაფრის დაბრუნება შეუძლებელია...

**საქართველო** — ძმათამკვლელი ომები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, დაახლოებით 400 ათასი დევნილი და ათასობით დაღუპული, მათ შორის — სვანეთის მთებში საკენიჭუბერის უღელტეხილზე გაყინულები, 20 % დაკარგული ტერიტორია...

მერე კი დაპირისპირებულმა მხარეებმა (სირიიდან და საქართველოდან) ჟენევაში შეხვედრებზე დაიწყეს სიარული, რათა პრობლემები მოლაპარაკების მაგიდასთან მოეგვარებინათ, მაგრამ **ჟენევის ფორმატმა**, მისი პოზიტიურობის მიუხედავად, სირიასა და საქართველოში შერიგება ვერ მოიტანა ორივე მხარის გამუდმებული პროვოკაციების, ამბიციებისა და რეალური კონსენსუსის მიღწევის სურვილის უქონლობის გამო, აგრეთვე, არასაკმარისად აქტიური მედიატორობის გამოც (გაეროსი — ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებაზე სირიის საკითხზე — ე.წ. „ჟენევა-3“; გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, აშშ-ის და რუსეთის — ჟენევის მოლაპარაკებაზე კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებზე).

გაცილებით შედეგიანი აღმოჩნდა რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული მოლაპარაკება სირიის საკითხზე ასტანაში რუსეთის, ირანისა და თურქეთის შუამავლობით.

და **ომისა და დაპირისპირებისგან საშინლად დაქანცული უბრალო სირიელები მიხვდნენ, რომ საქმეს თვითონ უნდა მიხედონ — სირიელმა ხალხმა, ყველა მისმა არაფორმალურმა ლიდერმა და არა მხოლოდ ხელისუფლებამ! ამისთვის, სირიელი ხალხის ინიციატივით, დღეს სირიაში ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „სირიის სახალხო ფრონტი“ შეიქმნა.**

„ფრონტმა“ თავის მიზნად გამოაცხადა ქვეყანაში მშვიდობის დამყარება სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ფართო საზოგადოებრივი დიალოგის საფუძველზე.

**აუცილებელ პირობად** დასახელებულია ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება არსებულ საზღვრებში, სირიის ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინება და, რა თქმა უნდა, ტერორიზმის ლიკვიდაცია, რაც მთლიანად ემთხვევა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას №2254.

ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური **მოძრაობის შემადგენლობაში** შესვლისთვის მზადყოფნა უკვე გამოთქვეს „სირიის თავისუფალმა არმიამ“, შეიარაღებულმა ოპოზიციამ „ჯეიშ ალ-ისლამმა“, საპარლამენტო ოპოზიციამ, მმართველი წრეების წარმომადგენლებმა, სირიის სოციალ-დემოკრატიულმა და ახალგაზრდულმა პარტიებმა, ძირითადი ქრისტიანული და მუსლიმანური თემების წარმომადგენლებმა, სხვადასხვა საექსპერტო საზოგადოებამ და ბედუინთა ტომების ბელადებმა. „სირიის სახალხო ფრონტთან“ გაერთიანების სურვილი გამოთქვა სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმაც.

და, **თუკი სირიის საზოგადოებრივი, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ძალების გაერთიანება „სირიის სახალხო ფრონტის“ ეგიდით მართლა მოხდება, ეს, 2011 წლიდან მოყოლებული, ყველაზე დიდი საფრთხე იქნება „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებისთვის — უფრო საშინელი, ვიდრე ამერიკისა და რუსეთის სამხედრო ძალები, ერთად აღებული.**

## „საქართველოს სახალხო ფრონტი“

**რაც უფრო ადრე მიხვდება და გააკეთებს ქართველი ხალხი იმას, რასაც დღეს სირიელი ხალხი აკეთებს, მით უკეთესი საქართველოსთვის. ქართველი საზოგადოების შიგნით, აგრეთვე, აფხაზებთან და ოსებთან სამოქალაქო შერიგების პროცესი რომ დაიწყოს, დღეს ევროპის კოლონიად და ამერიკის პროტექტორატად გადაქცეული ქვეყნის შემდგომი ძარცვა და დანაწევრება რომ შეჩერდეს, აუცილებელია, საქართველოში შეიქმნას ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „საქართველოს სახალხო ფრონტი“.**

„საქართველოს სახალხო ფრონტმა“ თავის მიზნად უნდა გამოაცხადოს ქვეყანაში მშვიდობის დამყარება სხვადასხვა პოლიტიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ფართო საზოგადოებრივი დიალოგის საფუძველზე, ბუნებრივია, „ქართული ისლამური სახელმწიფოს“ — საakaშვილის ტერორისტული დაჯგუფების გარეშე.

აუცილებელ პირობად უნდა გამოცხადდეს საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება მისი ნებისმიერი ეროვნების ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით და, რა თქმა უნდა, სააკაშვილის ტერორისტული დაჯგუფების ლიკვიდაცია.

ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური **მოძრაობის შემადგენლობაში** უნდა შევიდნენ რეალური ლიდერები — ქართველ ხალხში ავტორიტეტის მქონე პატრიოტები: მმართველი წრეების ცალკეული წარმომადგენლები საპარლამენტო უმრავლესობიდან და მთავრობიდან, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციიდან, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, ცალკეული ქართველი პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და საზოგადოებრივი ლიდერები, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმის, უზადო რეპუტაციისა და სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის დიდი პატივისცემით სარგებლობენ, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

**„საქართველოს სახალხო ფრონტის“ შემადგენლობაში სასურველია აფხაზებისა და ოსების მოწვევა** — არაფორმალური ლიდერების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეების, უხუცესებისა და ახალგაზრდების. თუ მათთან **თანხმობა და დიალოგი გვსურს, მრავალეროვან საქართველოში რუსული აუცილებლად უნდა გამოცხადდეს მეორე სახელმწიფო ენად,** როგორც გასულ კვირას სირიაში გააკეთა პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა.

**„საქართველოს სახალხო ფრონტი“ უნდა გახდეს ზესამთავრობო ძალა, რომელსაც განსაკუთრებული, ქართველი ხალხისგან მიღებული ლეგიტიმაცია, მაშასადამე, ძალაუფლების ბერკეტები ექნება, ამიტომ ის უფლებამოსილი იქნება, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან დიალოგი დაიწყოს. ასეთ შემთხვევაში რუსეთი ქართულ-აფხაზურ-ოსურ მოლაპარაკებას მოაწყობს, როგორც სირიელებისთვის გააკეთა ასტანაში.**

და, თუკი ქართული პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეთნიკური და რელიგიური ძალების კონსენსუსი „საქართველოს სახალხო ფრონტის“ ეგიდით მართლაც მოხდება, საქართველოში ის ყველაზე დიდ საფრთხედ იქცევა კოლექტიური დასავლეთისთვის აშშ-ის ხელმძღვანელობით, რომლის მცდელობები, აქ თავისი დასავლური ლგბტ-ფასეულობები, „დემოკრატია“ და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები დაამკვიდროს, სრულ და საბოლოო ფიასკოს განიცდის.

**საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მთავარი პრობლემა არის ის, რომ მმართველ პარტიას არ შეუძლია, საკუთარ თავს შეზღუდვა დაუწესოს, თუნდაც ნაწილობრივ დაუქვემდებაროს კონტროლს ემოციები თუ მადა და ასეთ მომენტში ნამდვილად ემსგავსება ჰალსტუხიან ნეანდერტალელს საფერფლით ხელში.**

# კანდელაკის საფერფლე და საქართველოს კონსტიტუცია

**პარლამენტარებმა გასული კვირა საკმაოდ პათეტიკურ ნოტაზე, საფერფლის სროლით დაიწყეს. აჟიოტაჟმა ამ და სხვა უმნიშვნელო ინციდენტების გარშემო ხელი შეუშალა საზოგადოებას, კონცენტრირება საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე მოეხდინა, რომელიც ცალსახად ცხადყოფს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძირითადი კანონი საკუთარ ინტერესებს მოარგო.**

ნაციონალი, შემდგომ კი „ევროქართველი“ (პრინციპში, რამ გაყო, მაგრამ მაინც) **გიორგი კანდელაკი** მაღალი საბრძოლო თვისებებით არასოდეს გამოირჩეოდა. 2008 წლის 22 დეკემბერს ის ტელეკომპანია „კავკასიის“ სტუდიაში **კოკა გუნცაძემ** ისე გატყეპა, რომ ხელის განძრევა ვერ მოახერხა (უფრო სწორად, სცადა ჭიქის აღება, მაგრამ არ დასცალდა). მიუხედავად ამისა, კანდელაკმა არ გაითვალისწინა საბრძოლო ხელოვნება **აიკიდოს** ლეგენდარული ფუძემდებლის, **მორიჰეი უეშიბას,** შეგონება: „პროგრესი მოდის მათთან, ვინც ყოველდღე ვარჯიშობს. საიდუმლო ტექნიკაზე იმედის დამყარება კარგს არაფერს მოიტანს“ და იმედი ქართველი პოლიტიკოსების ვიწრო წრეში გავრცელებულ საიდუმლო ტექნიკას — საფერფლის ტყორცნას დაუკავშირა.

ქართული დემოკრატიის ისტორიაში საფერფლის გამოყენების ერთ-ერთი პირველი შემთხვევა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, მეხუთე მოწვევის პარლამენტში მოხდა. „ახალგაზრდა რეფორმატორები“ მაშინ პარლამენტის შენობაში თავს ახლახან გარდაცვლილ **ვახტანგ რჩეულიშვილს** დაესხნენ („ცისფრები“ უწოდა და იმიტომ). ისინი ბევრნი იყვნენ, რჩეულიშვილი კი — მარტო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია; მიხეილ მაჭავარიანმა საფერფლე ესროლა და თავი გაუტეხა. ამ ნივთის სროლა, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ძლიერ უყვარდა **მიხეილ სააკაშვილს,** თავის დროზე ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ მან **ზურაბ ჟვანია** სწორედ საფერფლით მოკლა, შემდეგ კი — იმაზე, რომ საფერფლე კიდევ ერთ პრემიერმინისტრს, **გრიგოლ მგალობლიშვილს,** ესროლა (და მოარტყა). საფერფლეს არაერთ სხვა ინციდენტთან დაკავშირებითაც ახსენებდნენ და, შესაძლოა, ამიტომ **გიორგი კანდელაკმა** ჩათვალა, რომ მის გამოყენებას იოლად მოახერხებს. თუმცა სამგზის დეპუტატმა აშკარად არ გაითვალისწინა ჯერ კიდევ **მუსასი მიამოტოს** (1584-1645) მიერ ჩამოყალიბებული წესი: „ყველა ნივთის უკან აღმასვლისა და დაცემის რიტმი დგას. ამას ნათლად უნდა ხედავდე“. სწორედ ამ დროს ჩამოკრა უბედურების ზარმა.

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, დაპირისპირება დეპუტატებს — **ვანო ზარდიაშვილსა** და **გიორგი კანდელაკს** შორის დეპუტატთა ე.წ. სათათბირო ოთახში მოხდა: კანდელაკმა ზარდიაშვილს საფერფლე ესროლა და ის შემთხვევით **ოთარ კახიძეს** მოხვდა. დასისხლიანებული კახიძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ასე დასრულდა გიორგი კანდელაკის მიერ საფერფლის სროლის საიდუმლო ტექნიკის პრაქტიკული გამოყენების მცდელობა. შაოლინის მონასტერში იტყვიან, „ვეფხვის სტილი აგრესიულია, გველის სტილი — ნატიფი, ვირის სტილი კი — იოლად ამოსაცნობი“.

ინციდენტი ამით თითქოს ამოიწურა, მაგრამ აქ შეიძლება დაისვას სავსებით ლოგიკური კითხვა: რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ **ადეიშვილის** ყოფილ მოადგილეს, ოთარ კახიძეს, ჩვეულებრივი მოქალაქე გაუხეთქავდა თავს? — მას, დიდი ალბათობით, დააკავებდნენ და დასჯიდნენ: სააკაშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, ციხეში ჩასვამდა; დღევანდელი, ალბათ, დააჯარიმებდა, თუმცა ეს ფაქტი სამართლებრივი რეაგირების გარეშე ნებისმიერ შემთხვევაში არ დარჩებოდა. ახლა კი არავის დასჯიან. როგორც ჩანს, ხელისუფლება გვთავაზობს, დაველოდოთ მომენტს, როდესაც ფსიქოპათი საფერფლით ვინმეს სიცოცხლეს გამოასალმებს.

დამატებითი პიკანტურობა ამ ისტორიას იმან შესძინა, რომ კანდელაკმა ზიანი თანაგუნდელს მიაყენა. პრინციპში, „სამიზნე №1“ — ვანო ზარდიაშვილი შეიძლება მათ თანაგუნდელად ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს. ის სააკაშვილის მმართველობის წლებში ადეიშვილის ხელქვეითი იყო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თბილისის მერიაში მუშაობდა, თუმცა ყველაზე სკანდალური 2010—12 წლების პერიოდი გამოდგა, როდესაც ზარდიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის უფროსი გახლდათ. მას ყოფილმა თანამშრომლებმა ბრალი დასდეს, რომ 2012 წლის არჩევნების წინ ორგანიზებას უწევდა მანდატურების მომზადებას პოსტსაარჩევნო მიტინგების დასარბევად (იხ. „ახალი თაობა“, 08.11.2012), უზრუნველყოფდა მათ მობილიზებას „ნაცმოძრაობის“ აქციებზე დასასწრებად და „ოცნების“ აქციებზე მისვლას უკრძალავდა („ტვ 9“, 27.10.12), მონაწილეობდა სასამართლოს შენობაში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებაში და ა.შ. როგორ მოხვდა ეს ადამიანი „ქართული ოცნების“ სიაში, დღემდე ამოუხსნელია. მართალია, ნაციონალების ციტირება ძალიან ცუდ ტონად ითვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მიზანშეწონილია. **ირმა ნადირაშვილმა** ზარდიაშვილს შეახსენა, რომ ის ადეიშვილის მდივან-რეფერენტი იყო: „შემდეგ **გიგი უგულავას** კანცელარიის გამგე იყავით, შემდეგ იუსტიციის ყოფილი მინისტრის — **ზურაბ ადეიშვილის** რეკომენდაციით, საქალაქო სასამართლოს აპარატის უფროსად დაგნიშნეს. შემდეგ **ბიძინა ივანიშვილის** „მეცხრე არხი“ გვიყვებოდა, როგორ აგზავნიდით ძალით „ნაციონალური მოძრაობის“ მიტინგებზე ადამიანებს და, ვინც არ მიდიოდა, სამსახურიდან აგდებდით. მინდა, გულწრფელად გკითხოთ: რა



**დასისხლიანებული კახიძე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ასე დასრულდა გიორგი კანდელაკის მიერ საფერფლის სროლის საიდუმლო ტექნიკის პრაქტიკული გამოყენების მცდელობა. შაოლინის მონასტერში იტყვიან, «ვეფხვის სტილი აგრესიულია, გველის სტილი — ნატიფი, ვირის სტილი კი — იოლად ამოსაცნობი»**

უფრო სასაცილოა — მე საკუთარ წარსულს რომ არ ვემიჯნები და ვამაყობ, თუ თქვენ, „ქართული ოცნების“ პირველ მოწინავე რიგებში ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს რომ იცავთ და დამოუკიდებელ სასამართლოზე გველაპარაკებით?!“ („ინფო 9“).

მოკლედ, **ამ თვითგამოცხადებულმა ვილჰელმ ტელმა საფერფლე ადეიშვილის მდივან-რეფერენტს სტყორცნა და მოადგილეს მოარტყა.**

საბედნიეროდ, ამ ადამიანებს უკვე აღარ შეუძლიათ რეპრესიული აპარატი გამოიყენონ, თუმცა იმის თქმა, რომ ახალი ხელისუფლება ძალადობაზე უარს ამბობს, არ შეიძლება. საქმე ის კი არ არის, რომ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, ყოველ შემთხვევაში მათ დიდ ნაწილს, შეუძლიათ მოყვასს აგრესიულად და დაუნდობლად მოექცნენ (ნამდვილად შეუძლიათ), არამედ ის, რომ ძალმომრეობა, როგორც მმართველი პარტიის პოლიტიკის ქვაკუთხედი, არსად გამქრალა.

„ქართულ ოცნებას“ ჰქონდა შესაძლებლობა, გაეტანა ის საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც სურდა, და მან ეს გააკეთა ისე, რომ პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის წესის შესახებ დებატების გამართვაზე პრაქტიკულად უარი თქვა (განხილვა აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებდა). გაუნაწილებელი მანდატების გადაცემა პირველ ადგილზე გასული პარტიისთვის შესაძლებელს ხდის „ქართული ოცნების“ მიერ პარლამენტზე კონტროლის შენარჩუნებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მხარს (მაგალითად) ამომრჩეველთა მხოლოდ მესამედი დაუჭერს. „ეს არის ის მცირე ბონუსი, რომელიც უზრუნველყოფს შედარებით მაღალი ხარისხის სტაბილურობას პოლიტიკურ სისტემაში, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** და ოდნავ მოგვიანებით დასძინა, — ეს სისტემა უზრუნველყოფს საუკეთესო ბალანსს, ერთი მხრივ, პლურალიზმსა და, მეორე მხრივ, სისტემის სტაბილურობის ინტერესებს შორის“. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა ირაკლიმ ფრიად ოსტატურად გამოიყენა სიტყვა „სისტემა“, ამ განცხადებაში მეტი ცინიზმია, ვიდრე პესტიციდი თურქულ ბოსტნეულში.

ეს მხოლოდ ერთი (თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი) საკითხია, მთლიანობაში კი, საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პერიოდში მმართველმა პარტიამ აჩვენა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში გაიტანს ყველა იმ მუხლს, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ისეთი რედაქციით, როგორიც სურს, ხოლო პროცესის სხვა მონაწილეებს, ფაქტობრივად, „შირმის“ როლის შესრულება და მეორეხარისხოვან საკითხებზე დისკუსიების გამართვა შესთავაზა.

**ის, რომ დასკვნით ეტაპზე „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო კომისიაში, ფაქტობრივად, მარტო დარჩა, ერთი მხრივ, ცუდია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს პროცესის ლოგიკური დასასრული და დიქტატის ბუნებრივი შედეგია. უმჯობესია, ყველამ იცოდეს, რომ ამიერიდან საქმე „ქართული ოცნების“ ინტერესებზე მორგებულ ძირითად კანონთან გვექნება და არა კონსენსუსის შედეგად მიღებულ, მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ დოკუმენტთან.**

მთავარი პრობლემა არის ის, რომ ყველაზე კარგად ამ დღეებში **გიორგი მარგველაშვილის** გარემოცვის, „ნაცმოძრაობის“, „ევროპული საქართველოსა“ და მათთან აფილირებული არასამთავრობოების ხმა ისმის. ეს საზოგადოებას აბნევს და მის დიდ ნაწილს პასიური პოზიციის დაკავებისკენ უბიძგებს, რადგან არ სურს, ჩამოთვლილ ძალებთან, თუნდაც ირიბად, ასოცირებული იყოს. ივანიშვილის „გენიალური მიგნება“ სწორედ ეს არის. მან ამ ჯგუფებს ტრიბუნა იმისთვის დაუთმო, რომ ხელისუფლების კრიტიკა მათი პათოლოგიური ამბიციების მხარდაჭერად წარმოჩენილიყო.

„საბოლოო გადაწყვეტილება კონსტიტუციური მოწყობის თაობაზე მიღებული იქნება ფართო სამოქალაქო შეთანხმების საფუძველზე“, — ნათქვამი იყო „ქართული ოცნების“ 2012 წლის საარჩევნო პროგრამაში. დღეს ეს პარტია საკონსტიტუციო ცვლილებებს პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში ამტკიცებს.

როდესაც გიორგი კანდელაკი კოლეგას საფერფლეს ესროდა, სავარაუდოდ, არ ფიქრობდა იმაზე, რომ შეიძლებოდა ადამიანი მოეკლა, ძალზე პრიმიტიული ინსტინქტებით ხელმძღვანელობდა და სავარაუდო შედეგები გააზრებული არ ჰქონდა, მაგრამ **მთავარი პრობლემა არის ის, რომ მმართველ პარტიას არ შეუძლია, საკუთარ თავს შეზღუდვა დაუწესოს, თუნდაც ნაწილობრივ დაუქვემდებაროს კონტროლს ემოციები თუ მადა და ასეთ მომენტში ნამდვილად ემსგავსება ჰალსტუხიან ნეანდერტალელს საფერფლით ხელში.** ასეა თუ ისე, კონსტიტუციის გაუპატიურებით სააკაშვილის სტილში „ქართულმა ოცნებამ“ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერთპარტიული რეჟიმის ჩამოყალიბებისა და, შესაბამისად, გარდაუვალი კრახის მიმართულებით.

**მმართველ პარტიას არ შეუძლია საკუთარ თავს შეზღუდვა დაუწესოს, თუნდაც ნაწილობრივ დაუქვემდებაროს კონტროლს ემოციები თუ მადა და ასეთ მომენტში ნამდვილად ემსგავსება ჰალსტუხიან ნეანდერტალელს საფერფლით ხელში. ასეა თუ ისე, კონსტიტუციის გაუპატიურებით სააკაშვილის სტილში «ქართულმა ოცნებამ» გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერთპარტიული რეჟიმის ჩამოყალიბებისა და, შესაბამისად, გარდაუვალი კრახის მიმართულებით**

**საააკაშვილის რეჟიმის, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში არათუ ისეთი მძიმე დანაშაულისთვის, როგორიც არის თავის გატეხვა, არამედ წვრილმანი ხულიგნობისთვისაც კი რიგით მოქალაქეებს ციხეში სვამდნენ. ახლაც სვამენ. და, საინტერესოა, რატომ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საფერფლის მსროლელი დეპუტატის მიმართ?!**

ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვის თავზე ტყდებოდა ქართულ პოლიტიკაში «მფრინავი» საფერფლე

**საქართველოს პარლამენტის წევრების, „ხალხის რჩეულების“ უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში შესვლაზე მხოლოდ პენსიონერის პენსიაზე 30-ჯერ მეტი ხელფასის მისაღებად, უცხოეთში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე სამოგზაუროდ, ბიზნესის „დასაკრიშად“ და გავლენის მოსაპოვებლად, ანუ ცხოვრების კომფორტულად მოსაწყობად რომ ცდილობს, ხალხის ბედი რომ არ ანაღვლებს და არც მათ მიერვე მიღებული კანონების დაცვით იკლავს თავს, ეს საქართველოს პარლამენტში 19 აპრილს მომხდარმა ინციდენტმაც დაადასტურა.**



19 აპრილს საქართველოს პარლამენტში კიდევ ერთხელ გამოიყენეს საფერფლე, როგორც იარაღი. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის სხდომათა დარბაზის გვერდით, დეპუტატთა ოთახში, რამდენიმე პარლამენტარს, კერძოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრს, ამჟამად „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელ **გიორგი კანდელაკსა** და „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრ **ვანო ზარდიაშვილს** შორის ჩხუბი ატყდა.

კანდელაკმა ზარდიაშვილს საფერფლე ესროლა, მაგრამ ააცილა და თანაგუნდელ **ოთარ კახიძეს** მოარტყა თავში. თავგატეხილი და გასისხლიანებული კახიძე პარლამენტის შენობიდან რამდენიმე დეპუტატმა გაიყვანა. ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ოთარ კახიძეს ექიმებმა 15 ნაკერი დაადეს. ამ ამბავში აღსანიშნავი და აღმაშფოთებელი ორი რამ არის:

**1.** სააკაშვილის რეჟიმის, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში არათუ ისეთი მძიმე დანაშაულისთვის, როგორიც არის თავის გატეხვა, არამედ წვრილმანი ხულიგნობისთვისაც კი რიგით მოქალაქეებს ციხეში სვამდნენ. ახლაც სვამენ. და, საინტერესოა, **რატომ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საფერფლის მსროლელი დეპუტატის მიმართ?**

**2.** პარლამენტმა ახლახან მიიღო კანონი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევის აკრძალვის შესახებ, რომელიც 20 აპრილიდან ამოქმედდა და ქუჩაში სიგარეტის ნამწვის დაგდებისთვის უკვე რამდენიმე ადამიანი დააჯარიმეს. **ზემოაღნიშნული კანონმდებლები კი ჩხუბის დაწყებამდე, ალბათ, უდარდელად ეწეოდნენ სიგარეტს საკანონმდებლო ორგანოში. გამოდის, თვითონ დეპუტატები არღვევდნენ მათ მიერვე დამტკიცებულ კანონს.**

საქართველოს პარლამენტში საფერფლის სასროლ იარაღად გამოყენებას კარგა ხნის ისტორია აქვს. „მფრინავი“ საფერფლით ორჯერ დაზარალდა ვახტანგ რჩეულიშვილი, ხოლო სხვადასხვა დროს სააკაშვილის მიერ „გასროლილით“ — 2 ადამიანი.

## ვახტანგ რჩეულიშვილი და ზაზა შერაზადაშვილი

პოლიტიკოსებმა საფერფლე, როგორც იარაღი, პირველად 2003 წელს გამოიყენეს: საქართველოს პარლამენტის წევრს, იმხანად სოციალისტური პარტიის ლიდერ **ვახტანგ რჩეულიშვილს** მეორე პარლამენტარმა, „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრმა **ზაზა შერაზადაშვილმა** საფერფლით თავი გაუტეხა.

## ვახტანგ რჩეულიშვილი და მიხეილ მაჭავარიანი

1999-2003 წლების მოწვევის პარლამენტში კიდევ ერთი სისხლიანი ინციდენტი მოხდა საფერფლის გამოყენებით. „მფრინავი“ საფერფლის მსხვერპლი ამჯერადაც **ვახტანგ რჩეულიშვილი** შეიქნა. ეს შემთხვევა კარგად ასახავს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ბუნებას.

იმხანად ახალი გამოჩეკილი იყო მოძრაობა „კმარა“. ამ ორგანიზაციის წევრები თბილისის სხვადასხვა უბანში სახლების კედლებზე წერდნენ: „კმარა შევარდნაძე!“. ვახტანგ რჩეულიშვილის ორგანიზებით კი, რომელიც შევარდნაძეს უჭერდა მხარს, ასეთი ლოზუნგი გაკეთდა: „კმარა ცისფერობა“. ამის გამო დიდი ამბავი ატყდა ჟვანია-სააკაშვილის გუნდში, — პირობა დადეს, არ შევარჩენთო. როდესაც ვახტანგ რჩეულიშვილი პარლამენტში ბიუროს სხდომაზე მივიდა, **გია ბარამიძემ** და **მიხეილ მაჭავარიანმა** სთხოვეს, საქმე გვაქვს და გვერდით ოთახში დავილაპარაკოთო. იქ რჩეულიშვილს საქმის გასარჩევად კიდევ 6 კაცი ელოდა; 8 ნაციონალმა მარტო მყოფ ვახტანგ რჩეულიშვილს დაუწყო ცემა, მაგრამ ბოდიში მაინც ვერ მოახდევინეს. ბოლოს **მიხეილ მაჭავარიანმა რჩეულიშვილს საფერფლე თავზე გადაამტვრია.**

## მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ჟვანია

საფერფლის „გამოყენების“ ყველაზე გახმაურებული შემთხვევა კი მიხეილ სააკაშვილთან არის დაკავშირებული.

აი რას ამბობდა 2013 წლის ოქტომბერში საინფორმაციო სააგენტო „რეპორტიორთან“ ინტერვიუში ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** 2005 წლის თებერვალში პრემიერმინისტრ **ზურაბ ჟვანიას** გარდაცვალებაზე:

„მე ვიყავი **ბადრი პატარკაციშვილის** საარჩევნო შტაბის წევრი და, ბუნებრივია, მასთან კონტაქტი მქონდა. ამბავი, რომელსაც ვყვები, ვიცი ბადრი პატარკაციშვილისგან, რომელთანაც მქონდა სატელეფონო საუბარი ამ თემაზე. ეს ამბავი პატარკაციშვილმა იცოდა „ნაციონალების“ ერთ-ერთი მაღალჩინოსნისგან. ჟვანიასა და პატარკაციშვილს ჰქონდათ მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც სააკაშვილსა და მის გუნდს არ გამორჩენია მხედველობიდან. როგორც ვიცი, ჟვანია ცდილობდა ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოშორებას. ერთ საღამოს პატარკაციშვილმა აღუთქვა ფინანსური დახმარება იმისთვის, რომ ჟვანიას დაეწყო ტირანი სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოსაშორებლად ბრძოლა. იმავე საღამოს შეიქნა ეს ყველაფერი სააკაშვილისთვის ცნობილი. ჟვანია დაიბარეს შეხვედრაზე. იქ იყო **სააკაშვილი, დათა ახალაია,** თუ არ ვცდები, **კეზერაშვილი** და კიდევ ორი პიროვნება, რომელთა ვინაობაც არ ვიცი. დაიწყო საუბარი, რომლის შემდეგაც **სააკაშვილმა აიღო საფერფლე და ესროლა ჟვანიას,** რომელსაც თავში მოხვდა და ამის გამო გარდაიცვალა. შემდეგ ჟვანია გადაიყვანეს პლასტიკურ ქირურგთან... გაუკეთდა გარდაცვლილს პლასტიკური ოპერაცია თავის არეში და შემდეგ გადაიყვანეს სახლში, სადაც დაიდგა იმიტაცია, როგორ მოხდა ეს ამბავი. 2008 წლის ეს სატელეფონო საუბარი შეუძლიათ ამოიღონ ჩემი ტელეფონიდან“.

## მიხეილ სააკაშვილი და კოტე კემულარია

აი **მიხეილ სააკაშვილის** მიერ საფერფლის „გამოყენების“ კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც გაზეთ „ყველა სიახლეს“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის — **კოტე კემულარიას** ოჯახთან დაახლოებულმა პირმა 2013 წელს უამბო:

„ყველას გვახსოვს ავადმოსაგონარი 2006 წელი, **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობა, საპროტესტო აქციები, რომლებიც ტრაგედიას მოჰყვა. საზოგადოება და პოლიტიკური პარტიები გირგვლიანის მკვლელობაში მონაწილე მაღალჩინოსნების, აგრეთვე, **ვანო მერაბიშვილის** მეუღლის — **თაკო სალაყაიას** დასჯას მოითხოვდნენ. იმხანად უშიშროების საბჭოს მდივანი იყო კოტე კემულარია. საპროტესტო მუხტი ისეთი დიდი იყო, შეიძლებოდა პროცესები უმართავი გამხდარიყო. ერთ დღესაც, ეს იყო 2006 წლის თებერვალში, კოტე კემულარია სააკაშვილს შეხვდა და განუცხადა, პროცესები უმართავი ხდება და ერთადერთი, რაც საპროტესტო აქციებს შეაჩერებს, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის გადადგომააო. **რას ჰქვია მერაბიშვილი გადადგესო, — გაგიჟებულა მიშა. თურმე ხელი დასტაცა საფერფლეს და კოტე კემულარიას ესროლა,** ბედად, კემულარიას საფერფლე ასცდა. პრეზიდენტისგან შეურაცხყოფილი კემულარია ცუდად შეიქნა. პრეზიდენტის დაცვამ გამოიძახა სასწრაფო დახმარება და კემულარია, ინფარქტის დიაგნოზით, კლინიკა „გულში“ რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობდა.

ამის შემდეგ დაწერა განცხადება და თანამდებობიდან გადადგა. მიზეზად კი ჯანმრთელობის გაუარესება დასახელდა.

## მიხეილ სააკაშვილი და გეგა მგალობლიშვილი

2008 წელს კი მიხეილ სააკაშვილმა საფერფლე (სხვა ვერსიით — ტელეფონი) ესროლა საქართველოს იმჟამინდელ პრემიერმინისტრ **გეგა მგალობლიშვილს**, რომელიც ამის შემდეგ უცხოეთში გაემგზავრა სამკურნალოდ და ორთვიანი „მოღვაწეობის“ შემდეგ პოსტიდან გადადგა.

აი ასეთია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მფრინავი საფერფლის თავში მოხვედრის შედეგები, თუმცა არც ქართული ე.წ. შოუბიზნესის წარმომადგენლები ერიდებიან საფერფლის სროლას.

## ეკა კვალიაშვილი და მარინე ბერიძე

გახსოვთ, ალბათ, 2013 წლის შემთხვევა მუსიკალურ კომპანია „არტიმედში“, როცა მომღერალმა **ეკა კვალიაშვილმა** მუსიკისმცოდნე **მარინა ბერიძეს**, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, ვის, სად და როდის უნდა ემღერა, საფერფლე უთავაზა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# «პრეზიდენტის ოჯახი კრიმინალებით რომ იქნება გატენილი, ეს მთელი ქვეყნის სირცხვილი და თავის მოჭრაა»

**საქართველოს პირველი ლედის — მაკა ჩიჩუას ძმას, მიხეილ მგალობლიშვილს, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს გადაწყვეტილება ორიოდე დღის წინათ მოსამართლე გიორგი არევაძემ გამოაცხადა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მიხეილ მგალობლიშვილი მიმდინარე წლის იანვარში დააკავეს. მართლმსაჯულება მას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა. შეგახსენებთ, რომ მგალობლიშვილი წარსულში სამჯერ ნასამართლევია. ბოლოს მან საპყრობილე, სამწლიანი პატიმრობის შემდეგ, პრეზიდენტის შეწყალებით დატოვა. ამ ფაქტს თავის დროზე გარკვეულ წრეებში ხმაური და მითქმა-მოთქმა მოჰყვა, მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი სკანდალი, რომელშიც პრეზიდენტი თავისი ოჯახის წევრების დანაშაულებრივი მოქმედების გამო გაეხვია.**

2013 წლის მიწურულს სამართალდამცველებმა პრეზიდენტის სიძე **მინდია გოგოჭური** (მაკა ჩიჩუას ქალიშვილის, მაშო ჩიჩუას, ქმარი) დააკავეს. მას ბრალად ედებოდა მოქალაქის დაჭრა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაზარალებული მოქალაქე, **ბაჩო სირაძე**, პრეზიდენტის ქალიშვილის, **ანა მარგველაშვილის**, შეყვარებული იყო. ბოლო პერიოდში მათ ურთიერთობა დაეძაბათ, გოგოჭური კი ვითარების გარკვევას შეეცადა და შელაპარაკებისას სირაძე დაჭრა.

პრეზიდენტის ოჯახის გარშემო ატეხილ სკანდალს უკავშირდება კიდევ ერთი ხმაურიანი დაკავება, რომელიც თავის დროზე პოლიტიკური სპეკულაციების მიზეზიც გახდა. დაახლოებით ერთი თვის წინათ სამართალდამცველებმა ანა მარგველაშვილის უახლოესი მეგობარი, **მიხეილ თათარიშვილი**, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. კერძოდ, საუბარი იყო 18 აბ სუბოტექსზე, რომელიც მას ჩხრეკისას უპოვეს. მოგვიანებით პირველმა პირმაც ერთ-ერთ გამოსვლაში აღნიშნა, რომ მსგავსი დაკავებებით მასზე და მის ოჯახზე პოლიტიკურ ზეწოლას ცდილობენ.

რა გარემოცვა ჰყავს საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, რატომ ეხვევა მისი ოჯახი ასე ხშირად სკანდალში და უნდა ჰქონდეს თუ არა მას ამ ყველაფრის გათვალისწინებით შეწყალების უფლება, „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის პუბლიცისტსა და მეცნიერს, აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძეს** დაუკავშირდა.

**ელიზბარ ჯაველიძე:**

— პრეზიდენტის ცოლისძმა, რომელსაც ახლა 4 წელი მიუსაჯეს, ჯერ კიდევ მარგველაშვილის გაპრეზიდენტებამდე იჯდა ციხეში გაცილებით მძიმე სასჯელით, ლაპარაკია 17 თუ 18 წლით თავისუფლების აღკვეთაზე, მაგრამ, როგორც კი მარგველაშვილი პრეზიდენტის სავარძელში ჩაჯდა, მაშინვე შეიწყალა. რატომ, რის საფუძველზე, გაუგებარია.

რაც შეეხება განცხადებას, რომ პრეზიდენტს ებრძვიან და მასზე პოლიტიკურ ზემოქმედებას ცდილობენ, აბსურდია. **მარგველაშვილზე არავინ ზემოქმედებს, პირიქით, ის თვითონ ებრძვის საქართველოს კონსტიტუციას. როცა პარლამენტი ამა თუ იმ საჭირო კანონპროექტის განხილვას იწყებს, რომელიც სახელმწიფოს წაადგება, მყისვე ვეტოს ადებს.** აი, ამ ვეტოს უფლების შეზღუდვაზე რომ იყო ლაპარაკი, ეს აღიზიანებს მას. ეს ზეწოლის ამბავიც... ჩვეულებრივი პოლიტიკური სპეკულაციაა, რომელიც მარგველაშვილს არ ესწავლება. სხვა დანარჩენზე, უნდა შეეზღუდოს თუ არა მას შეწყალების უფლება, კონსტიტუციონალისტებმა უნდა იმსჯელონ. ერთი კი ცხადია, **პრეზიდენტი ამა თუ იმ კონსტიტუციურ უფლებას თავისი ოჯახისა და ნათესავების სასარგებლოდ არ უნდა იყენებდეს.**



პირველი პირი ყველანაირად სამაგალითო უნდა იყოს და წამოსაძახებელიც არაფერი არ უნდა ჰქონდეს. პრეზიდენტის ოჯახი კრიმინალებით რომ იქნება გატენილი, ეს, მხოლოდ მისი კი არა, მთელი ქვეყნის სირცხვილი და თავის მოჭრაა....

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმედის“ დარბევის შემდეგ ერთ-ერთი გახმაურებული იყო ფოტოგრაფების საქმე. მსოფლიოში მსგავსი პრეცენდენტი არ არსებობდა, რომ ფოტოგრაფები დაეკავებინათ ჯაშუშობის მუხლით. რომ არა საზოგადოებისა და ჟურნალისტების მხარდაჭერა, ჩვენი ისტორია სულ სხვაგვარად დამთავრდებოდა. როგორც აწამეს პოლკოვნიკი თეთრაძე, ზუსტად იმავეს გვიპირებდნენ ჩვენც.



გიორგი აბდალაძე:

# მერაბიშვილი ქვეყნისთვის იყო ცუდი, თორემ ხელქვეითებს შეკვეთილი გვამებისთვის პრემიებსაც აძლევდა და ქორწილებსაც უხდიდა

**2011 წლის 7 ივლისს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯაშუშობის ბრალდებით საკუთარ სახლში დააკავეს გაზეთი „ალიასა“ და საგარეო საქმეთა სამინისტროს ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე. მისი ბედი გაიზიარა, აგრეთვე, ოთხმა ფოტოგრაფმა: ევროპის პრესფოტო სააგენტოს ფოტორეპორტიორმა ზურაბ ქურციკიძემ, პრეზიდენტის პირადმა ფოტოგრაფმა ირაკლი გედენიძემ, მისმა მეუღლემ, „პრაიმ ტაიმის“ ფოტორეპორტიორმა ნათია გედენიძემ და „ასოშეიტედ პრესის“ ფოტორეპორტიორმა შაჰ აივაზოვმა. აივაზოვი დაკავებიდან რამდენიმე საათში გაათავისუფლეს, დანარჩენებს კი პროკურატურამ ბრალი ჯაშუშობის მუხლით წაუყენა. ნათია გედენიძე წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, დანარჩენი სამი ფოტოგრაფი კი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს დარბაზიდან პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს 22 ივლისს. მიმდინარეობს საქმის ხელმეორედ განხილვა.**
**გთავაზობთ ინტერვიუს წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ დაკავებულ ერთ-ერთ ფოტოგრაფ გიორგი აბდალაძესთან, რომელიც ხელისუფლებამ იმ პერიოდში ჯაშუშად გამოაცხადა 26 მაისის დარბევის ამსახველი კადრების გადაღებისთვის.**

**— თქვენს საქმეს ედო გრიფი „საიდუმლო“ და დიდხანს იბრძოდით სიმართლის დასამტკიცებლად, როგორ ფიქრობთ, აღდგა სამართლიანობა?**

— სამართლიანობა აღდგება მაშინ, როდესაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ჩვენ ვიყავით უდანაშაულონი და წინა ხელისუფლების პირადი პატიმრები. მე მქონდა პირობითი მსჯავრი — 4 წელი, გედენიძეს მისჯილი ჰქონდა 4 წელი, **ქურციკიძეს** — 3 წელი, **ნათია გედენიძემ** კი მოიხადა სრულად წელიწად-ნახევარი. სამართლიანობა აღდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო გამოასწორებს დაშვებულ შეცდომას. ჩვენ საპროცესო შეთანხმებით მოგვისაჯეს 4 წელი, თორემ მუხლის მიხედვით 20-წლიანი იყო ჩვენი სასჯელი. ჩვენ ხელი არ მიგვიწვდებოდა იმ მასალებზე, რომლებიც ჩაგვიდეს საქმეში. საქმეს ედო გრიფი „საიდუმლო“. პროკურატურას მოვთხოვეთ, აეხსნა გრიფი და დღეს ახსნილი აქვს, მაგრამ არ ვართ საქმის კურსში, რა ხდება. რა დოკუმენტები არის ჩვენს საქმეში, სასამართლოზე გამომზეურდება.

**— გავრცელდა ვიდეო, სადაც აღიარებთ ბრალს. შედეგად საზოგადოების ნაწილს, შესაძლოა, გასჩენოდა აზრი, რომ თქვენ მართლაც ჯაშუში იყავით, რას განიცდიდით ამ მომენტში?**

— ყველაზე მძიმე მუხლი გვქონდა წაყენებული — სამშობლოს ღალატი. ამაზე მძიმე მუხლი არ არსებობს. სუიციდის მცდელობაც მქონდა, როდესაც ჩიხში შევედი და ვატყობდი, რომ ამ ჯოჯოხეთიდან გამოსავალი აღარ იყო. რომ არა მხარდაჭერა საზოგადოებისა და გაზეთი „ალიას“ რედაქტორის, რომელმაც დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა იმ პერიოდში, არ ვიცი, რა მოხდებოდა. საზოგადოება გაერთიანდა იმდროინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი დაპატიმრების შესახებ არა მხოლოდ საქართველომ, არამედ მსოფლიომ შეიტყო. გაიმართა აქციები ბრიტანეთში, რუსეთში, უკრაინაში.

**— თვლით თუ არა, რომ თქვენ წინააღმდეგ ჩადენილი სისტემური დანაშაულის შემკვეთები და შემსრულებლები დაისაჯნენ და სამართლიანობა აღდგა?**

— ჩვენი საქმე სასამართლოშია. დაპატიმრებულია ერთი პიროვნება — პოლკოვნიკი **დევნოზაშვილი**, რომელიც ზემოქმედებდა ჩვენზე, რათა გველიარებინა არარსებული დანაშაული. დარწმუნებული ვარ, მისი პირადი გადაწყვეტილებით არაფერი ხდებოდა, ის იყო შუამავალი მაღალჩინოსნებთან, ასრულებდა მათ ბრძანებებს და უშუალოდ გვეკონტაქტებოდა, თუმცა ამას დღემდე უარყოფს და ამბობს, რომ გლდანის საპყრობილეში არ შესულა. როგორც ვიცი, არსებობს 80-მდე მოწმე, მათ შორის არიან ის პიროვნებები, რომლებიც ახდენდნენ ფსიქოლოგიურ ტერორს ჩვენზე. ზოგიერთი აღიარებს ამ ყველაფერს და მტკიცდება, რომ ყველა ის პროცედურა, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ, იყო უკანონო. ჩვენი ეს მდგომარეობა გრძელდებოდა 15 დღის განმავლობაში. 5 დღე მშრალად ვიშიმშილე, მერე შემაწყვეტინეს შიმშილობა. ადვოკატი კი შემიცვალეს ბოლო ეტაპზე, როდესაც ჩვენგან აღიარება მიიღეს.

**— რომელი მაღალჩინოსნები უნდა დაისაჯონ თქვენთვის ცილისწამებით წაყენებული ჯაშუშობის მუხლის გამო?**

— დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი ფიგურები ჩვენს საქმეში **მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგა ბოკერია** და **უტიაშვილი** იყვნენ, თუმცა შეიძლება გამოძიება ვერ მივიდეს ამ პიროვნებებთან, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა ცდილობს, მოიპოვოს სათანადო სამხილები. ვიდეოკადრებმა, რომლებიც გასაჯაროვდა, აიძულა პროკურატურა, ხელახლა გადაეხედა საქმისთვის. პროკურატურაში შეიქმნა ახალი სტრუქტურა, რომელიც ასეთ გახმაურებულ ძველ საქმეებს დეტალურად შეისწავლის და ადამიანებს, რომლებსაც წინა ხელისუფლების პერიოდში გამოუტანეს უკანონო განაჩენი, მიეცემათ შანსი, აღიდგინონ შელახული ღირსება.



**«გვარამია არის ადეიშვილის მონა; ადამიანი, რომელმაც უამრავი საქმე გააყალბა და დღეს «რუსთავი 2» აქვს, როგორც თავშესაფარი. ის ატერორებს ჟურნალისტებს, თავისთვის კი დაინიშნა უზარმაზარი ხელფასი. «რუსთავი 2» აუცილებლად უნდა არსებობდეს, მაგრამ გვარამიას გარეშე, ტელევიზია კი უნდა გადაეცეს კოლექტივს»**

**— საზოგადოებისა და ჟურნალისტების მხარდაჭერის გარეშე თქვენი საქმე როგორ წარიმართებოდა?**

— ჩვენი იძულებითი აღიარების შემდეგ ჟურნალისტები მზად იყვნენ, ჩაეტარებინათ აქცია და ეს ხელისუფლებისთვის ყველაზე წამგებიანი იქნებოდა. „იმედის“ დარბევის შემდეგ ერთ-ერთი გახმაურებული ფოტოგრაფების საქმე იყო. მსოფლიოში მსგავსი პრეცენდენტი არ არსებობდა, რომ ფოტოგრაფები დაეკავებინათ ჯაშუშობის მუხლით. **რომ არა საზოგადოებისა და ჟურნალისტების მხარდაჭერა, ჩვენი ისტორია სულ სხვაგვარად დამთავრდებოდა.** როგორც აწამეს **პოლკოვნიკი თეთრაძე,** ზუსტად იმავეს გვიპირებდნენ ჩვენც.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები მხარს საჯაროდ ვერ გიჭერდნენ, რადგან მათზე ზემოქმედებდნენ. ვინ ახორციელებდა ამ ზემოქმედებას — ხელისუფლება თუ ტელეკომპანიის მენეჯმენტი?**

— „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება ჟურნალისტების მიმართ ხელისუფლებაში მათი მოსვლის პირველივე დღიდან გამოაშკარავდა. იყვნენ ჟურნალისტები, რომლებიც უკეთებდნენ ნაციონალებს საჭირო საქმეს, და იყო კატეგორია ჟურნალისტებისა, რომლებიც მიუღებელნი იყვნენ ნაციონალური ხელისუფლებისთვის... **ჩვენ ვაჩვენეთ რეალური სურათი 26 მაისის დარბევის, როგორი მეთოდით გაუსწორდნენ მოსახლეობას, რომლის მიჩქმალვასაც ცდილობდა ხელისუფლება. აი ამის გამო დავისაჯეთ, ამის გამო დაისაჯა „იმედი“, ამის გამო დაისაჯნენ თავის დროზე გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყრილი ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც გაიყვანეს გაკოტრების გზაზე.** დღეს ტერორის ქვეშ არის „რუსთავი 2“, ოღონდ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, ეს ყოველთვის იგრძნობოდა. ჩვენს აქციებზე იმყოფებოდნენ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები, ბევრი მათგანი ჩემი მეგობარია, მაგრამ მათ არ აძლევდნენ ჩვენი აქციების გაშუქების საშუალებას... არც ერთი აქცია, რომლებიც „ალიამ“' გამართა ჩვენ მხარდასაჭერად,'არ გაუშუქებიათ, დღესაც არ აშუქებენ ჩვენს ამბებს. ეს მათი ნებაა, ვერაფერს ვაიძულებთ... სამწუხაროდ, **„რუსთავი 2“ „ნაციონალური მოძრაობის“ მსხვერპლია.**

**— „რუსთავი 2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებს როგორ შეაფასებთ? ამ ტელეკომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ერთადერთ ოპოზიციურ და ობიექტურ ტელევიზიას საფრთხე ემუქრება...**

— **გვარამია არის ადეიშვილის მონა, ადამიანი, რომელმაც უამრავი საქმე გააყალბა და დღეს „რუსთავი 2“ აქვს, როგორც თავშესაფარი. ის ატერორებს ჟურნალისტებს, თავისთვის კი დაინიშნა უზარმაზარი ხელფასი. „რუსთავი 2“ აუცილებლად უნდა არსებობდეს, მაგრამ გვარამიას გარეშე, ტელევიზია კი უნდა გადაეცეს კოლექტივს.** გვარამია ძალადობს „რუსთავი 2“-ში მომუშავე ჟურნალისტებზე, რომლებსაც ერთი სული აქვთ, როდის წავა ის, რაც, ჩემი აზრით, მალე მოხდება. სტრასბურგის სასამართლომ რაღაც პერიოდის განმავლობაში შეაჩერა ეს პროცესი, მაგრამ ვერასდროს შეცვლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც უკვე მიღებულია. დროის ამბავია ყველაფერი.

**— ადამიანები გამოთქვამენ პროტესტს, რომ გაჭიანურდა სამართლიანობის აღდგენა, მოჰყავთ კონკრეტული ფაქტებიც — მაგალითად, ვანო მერაბიშვილის საქმე, გიგი უგულავას გათავისუფლება...**

— გიგი უგულავა ხომ გამოუშვეს? ვანო მერაბიშვილსაც გამოუშვებენ. „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დაიჩაგრა საზოგადოების 10%, ანუ 300 000 ადამიანი, მაგრამ ეს რაოდენობა 3-ზე უნდა გავამრავლოთ, რადგან ყველას, სულ ცოტა, 3 ადამიანი ჰყავს ოჯახის წევრი. გამოდის, 1 მილიონ ადამიანს შეეხო ამ სისტემის მსახვრალი ხელი და დაჩაგრა. ზოგს შეიძლება სამართლიანად ეკუთვნოდა სასჯელი, ზოგს — არა, მაგრამ **არავის აქვს უფლება, აწამოს და შეურაცხყოს ადამიანი ციხეში, ვინც უნდა იყოს ის, თუნდაც ვანო მერაბიშვილი.** არ მიმაჩნია, რომ დღევანდელი სასამართლო იდეალურია, სამართალდამცავ სისტემაში დარჩა უამრავი ადამიანი, რომლებიც აქამდეც მუშაობდა, მაგრამ დღეს ჩანს, რომ, ერთ კონკრეტულ პიროვნებას კი არა, ქვეყანას ემსახურებიან. **როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი იძლევა შეკვეთას გვამებზე ისე, თითქოს რესტორანში კერძს უკვეთავს, იქ დამთავრებულია პოლიციასა და სამართლიანობაზე საუბარი.**

**— რას ითხოვთ კონკრეტულად და რას ელით?**

— ჩვენ უნდა გვცნონ წინა ხელისფლების პირად პატიმრებად, ჩვენ ხომ არ ვართ პოლიტიკოსები, ხომ არ ვაკეთებდით არანაირ განცხადებებს. ირაკლი გედენიძე, მაგალითად, საჯარო სამსახურში მუშაობდა... პირველი მოთხოვნაა ჩვენი რეაბილიტაცია; მეორე (ყველაზე მთავარი) — დაისაჯონ დამკვეთები. ვანო მერაბიშვილი ჩვენზე ტერორის განხორციელებას დევნოზაშვილს დაავალებდა თუ სხვა ვინმეს, მნიშვნელობა არ აქვს. მერაბიშვილი ქვეყნისთვის იყო ცუდი, თორემ ხელქვეითებს შეკვეთილი გვამებისთვის პრემიებსაც აძლევდა და ქორწილებსაც უხდიდა. ასე რომ, უნდა დაისაჯონ დამკვეთები და მოხდეს ჩვენი რეაბილიტაცია.

**«როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი იძლევა შეკვეთას გვამებზე ისე, თითქოს რესტორანში კერძს უკვეთავს, იქ დამთავრებულია პოლიციასა და სამართლიანობაზე საუბარი»**

ესაუბრა **გვანცა ნამიჭეიშვილი**

სჯობს სახელისა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კახა კალაძე 37 მილიონამდე ქონების პატრონია, დიმიტრი ქუმსიშვილი 2 მილიონამდე ქონებას ფლობს.

# კალაძის «ჰარლი-დევიდსონები» და ქუმსიშვილის «ბლუჯა-ბლუჯა» ლარები

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე დამოკიდებულია სოციალურ შემწეობასა და პენსიაზე, რომელიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ლამის მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა, პარლამენტსა თუ მთავრობაში მილიონერების სიმცირეს არ ვუჩივით. მილიონერ მაღალჩინოსანთა შორის არიან ენერგეტიკის მინისტრი და ვიცეპრემიერი კახა კალაძე და ეკონომიკის მინისტრი და ვიცეპრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, გაპოლიტიკოსებული ფეხბურთელის ქონება 36.604.500 ლარია, ხოლო ქუმსიშვილის 1.965.000 ლარადაა შეფასებული.**

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ვიცეპრემიერი **კახა კალაძე** 1978 წლის 27 თებერვალს სამტრედიაში დაიბადა. მისი მეუღლე, **ანა არეშიძე,** თბილისში 1989 წლის 1 ივლისსაა დაბადებული. შვილები — **ლევან, კახაბერ** და **ვაჩე კალაძეები** იტალიაში, მილანში, დაიბადნენ. ენერგეტიკის მინისტრმა ქონებრივი დეკლარაცია 2017 წლის 31 იანვარს შეავსო.

ყოფილი ფეხბურთელისა და მოქმედი ვიცეპრემიერის უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა მეტად შთამბეჭდავია: კახა კალაძეს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, 367,60 კვ.მ ფართობის ბინა 71 280 ლარად შეუძენია. მინისტრს საჩუქრად მიუღია 410 კვ.მ საცხოვრებელი სახლი სამტრედიაში, აგრეთვე, 697,60 კვ.მ და 735,20 კვ.მ ორი აგარაკი დაბა წყნეთში, 396 კვ.მ ბინა — ბურძგლას ქუჩაზე. მისი საჩუქრების ნუსხას ემატება, აგრეთვე, 2380 კვ.მ მიწის ნაკვეთი სამტრედიაში. 20 000 ლარად კი მას 3031 კვ.მ მიწის ნაკვეთი შეუძენია დაბა ბაკურიანში. კალაძის საკუთრებაა, აგრეთვე, 1060 კვ.მ და 1058 კვ.მ მიწის ნაკვეთები დაბა წყნეთში და, როგორც დეკლარაციაში ვკითხულობთ, მას აღნიშნული ქონებაც საჩუქრად მიუღია. 1139 კვ.მ მიწის ნაკვეთი წყნეთში კი მინისტრს 298 000 აშშ დოლარად შეუძენია. ვიცეპრემიერის საკუთრებაა 35 კვ.მ ფართობის ავტოფარეხი ბურძგლას ქუჩაზე, რომელიც მას, ასევე, აჩუქეს. როგორც ხედავთ, კალაძის დეკლარაციაში არაერთი საკმაოდ ძვირად ღირებული უძრავი ქონებაა ჩამოთვლილი, რომლებიც მას საჩუქრად მიუღია, თუმცა არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ვისგან მიიღო ივანიშვილის ფავორიტმა მინისტრმა ზემოჩამოთვლილი ძვირად ღირებული უძრავი ქონება. კიევში, გამარჯვების გამზირზე, 220 კვ.მ ბინა კახა კალაძეს 150 000 აშშ დოლარად შეუძენია; შევჩენკოს გამზირზე 250 კვ.მ ბინაში კი მას 700 000 აშშ დოლარი გადაუხდია. ენერგეტიკის მინისტრი კიევში 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელიცაა, რომელშიც 800 000 აშშ დოლარი აქვს გადახდილი. ვიცეპრემიერს სამტრედიაშიც შეუძენია 93,90 და 76,20 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობები და მათში 60 000 და 55 000 აშშ დოლარი გადაუხდია. კალაძის საკუთრებაა, აგრეთვე, 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა ბაკურიანში, რომელშიც მას 80 000 აშშ დოლარი აქვს გადახდილი.

საქართველოს ვიცეპრემიერის მიერ ავტომობილებსა და ფერწერული ტილოებზე დახარჯული თანხაც საკმაოდ შთამბეჭდავია. მოტოციკლი Harley Davidson Springer-ი მას 25 000 ევროდ შეუძენია, ავტომანქანა Bentley Continental-ი — 135 000 დოლარად. ლადო გუდიაშვილის ფერწერულ ტილოებში 20 000; 50 000 და 120000 აშშ დოლარი გადაუხდია, ხოლო ელენე ახვლედიანის ნამუშევარები ენერგეტიკის მინისტრს 15000 და 40000 აშშ დოლარად შეუძენია. ელენე ახვლედიანის ერთი ფერწერული ტილო კი საჩუქრად მიუღია. კახა კალაძეს მსუბუქი ავტომანქანა Mercedes G63 შეუძენია 140000 ევროდ, ხოლო მსუბუქი ავტომანქანა Ferrari GTO — 360 000 ევროდ. ვიცეპრემიერის საკუთრებაა მოტოციკლი Harley Davidson Bobber -ი, რომელშიც 20 000 ევრო გადაუხდია, ხოლო ავტომობილ Fiat 500 Biposto-ში — 50 000 ევრო.

კალაძის საკუთრებაა, აგრეთვე, მოტოციკლი Harley Davidson V Rod, რომელიც მინისტრს 28 000 ევროდ აქვს შეძენილი, ავტომანქანა Mercedes Benz AMG GT S-ში კი „ოცნების" ლიდერს 145 000 ევრო გადაუხდია.

დეკლარაციის შევსების მომენტში კახა კალაძეს „პროკრედიტ ბანკში" მიმდინარე ანგარიშზე 960,45 აშშ დოლარი ჰქონდა. „ინტეზა სან პაოლო"-ში კი მიმდინარე ანგარიშზე 900 000 ევრო ერიცხებოდა; ამავე ბანკში, ასევე, მიმდინარე ანგარიშზე — 3 600 000 აშშ დოლარი. „ჯიულიუს ბაერ"-ში კალაძეს მიმდინარე ანგარიშზე 3 900 000 ევრო ერიცხება, „ქართუ ბანკში" კი — 252219,75 ევრო.

კახა კალაძე შპს „კალა კაპიტალ ლიმიტედ"-ის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია. ვიცეპრემიერს 2007 წელს შპს კვიპროსზე, „ლიმასოლი ნიკოლაუ პენტადრომის" ცენტრში უვადოდ დაურეგისტრირებია, საწარმოო კაპიტალი 2176,29 ევროს შეადგენს, თუმცა კალაძის შემოსავალი „კალა კაპიტალ ლიმიტედ"-იდან ნული ლარია. „ოცნების" მილიონერი მინისტრი შპს „კოლხეთის" მფლობელია, რომელიც რეგისტრირებულია ქობულეთში, აღმაშენებლის №285-ში, მისი საწარმოო კაპიტალი 2 301 950 ლარია, კალაძის შემოსავალი კი აქედანაც ნული ლარია. შპს „ანოუკის" დამფუძნებელია ყოფილი ფეხბურთელის დიზაინერი მეუღლე. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 100 ლარს შეადგენს, მინისტრის მეუღლეს კი აღნიშნული საქმიდან შემოსავალი არ აქვს. კალაძე უკრაინაში შპს „ЮКА"-ში 33%-ის მფლობელია. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 420000 UAH, საიდანაც მისი შემოსავალი 480000 აშშ დოლარია. საქართველოს მთავრობის წევრი კალაძე უკრაინაში „ნესტ გრუპ"-ის 50%-ის მფლობელიცაა და მისი წლიური შემოსავალი 250 000 ევროა. გასულ წელს ენერგეტიკის მინისტრის ხელფასი 58563 ლარს შეადგენდა.



## რა ქონებას ფლობენ ენერგეტიკისა და ფინანსთა მინისტრები

კახა კალაძეს 501 000 ლარი სესხი აქვს გაცემული და აქედან მისი შემოსავალი 1 328 161,99 ლარია. 5 500 ლარის გასესხების შედეგად მისი შემოსვალი 12 129,86 ლარით განისაზღვრება, ხოლო გასესხებული 6227 ლარის შედეგად მისი შემოსავალი 13 733,21 ლარია. კალაძეს სხვა თანხებიც აქვს გასესხებული: 301000 ლარი, 100 000 ლარი, 516297 აშშ დოლარი და 2 000 000 აშშ დოლარი და, როგორც დეკლარაციაში განმარტავს, ზემოჩამოთვლილი თანხების გასესხებით მას შემოსავალი არ მიუღია.

ენერგეტიკის მინისტრს საკუთარი წილები და აქციები მართვის უფლებით მინდობილობით გადაუცია, თუმცა დეკლარაციაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, ვის ანდო ბიზნესის მართვა გაპოლიტიკოსებულმა ფეხბურთელმა. ივანიშვილის აშკარა ფავორიტ კალაძეს სს „ბანკ ქართუში" არაერთი სესხი აქვს.

საქართველოს ვიცეპრემიერსა და ენერგეტიკის მინისტრს 1996—2003 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებია. პროფესიით ისტორიკოსია, კვალიფიკაციით — ისტორიის მასწავლებელი. სამუშო გამოცდილება:

* 25.11.2013 -დან დღემდე — პარტია „ქართული ოცნების" გენერალური მდივანი;
* 26.11.2016 -დან დღემდე — საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ვიცეპრემიერი;
* 2012-2016 — საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და ვიცეპრემიერი;
* 2008-2012 — სს „პროგრეს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

საქართველოს მეორე ვიცეპრემიერს — **დიმიტრი ქუმსიშვილს** დეკლარაცია 2017 წლის 31 იანვარს შეუვსია. იგი 1974 წლის 7 სექტემბერს თბილისში დაიბადა. მისი მეუღლე, **ნატალია თევდორაშვილიც**, თბილისში დაბადებულა 1976 წლის 16 დეკემბერს. შვილები — **ირაკლი** და **ნინო ქუმსიშვილები** შესაბამისად, 2003 წლის 10 მარტსა და 2008 წლის 25 ივლისს დაიბადნენ.

დიმიტრი ქუმსიშვილს თბილისში, თამარ მეფის გამზირზე, 119 კვ.მ ბინა 112 775 ლარად შეუძენია; შარტავას ქუჩაზე 189 კვმ. ბინა — 124716 ლარად. მემკვიდრეობით აქვს მიღებული 312 კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 451 კვ. მ მიწის ნაკვეთი ლამისყანის ქუჩაზე. საჩუქრად მიუღია 55 კვ.მ ბინა ფინანსთა მინისტრის მეუღლესაც. ნატალია თევდორაშვილის საკუთრებაა 603 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის" ტერიტორიაზე, რომელშიც 16 236 ლარი გადაუხდია. იქვე ვიცეპრემიერის მეუღლეს 604 კვ.მ მიწის ნაკვეთი 16 263 ლარად შეუძენია. 58 კვ.მ ბინა ქავთარაძის ქუჩაზე 61 727 ლარად შეუძენია, ხოლო ავტოფარეხი მათ ამავე მისამართზე — 9790 ლარად. დიმიტრი ქუმსიშვილს 91 კვ.მ ბინა ჯიქიას ქუჩაზე 110 027,72 ლარად შეუძენია; თეთრიწყაროში 187 კვ.მ სახლი, 475 და 480 კვ.მ მიწის ნაკვეთები ქუმსიშვილს საჩუქრად მიუღია, თუმცა დეკლარაციის მიხედვით გაუგებარია, ვისგან მიიღო ვიცეპრემიერმა ეს ძვირად ღირებული საჩუქრები. ვიცეპრემიერის საკუთრებაა მსუბუქი ავტომანქანა „მერსედეს ბენცი მლ 350", რომლიც მას 18000 აშშ დოლარად შეუძენია.

დეკლარაციის შევსების მომენტისთვის დიმიტრი ქუმსიშვილს „ბანკ ქართუში" დეპოზიტზე 1000 აშშ დოლარი ერიცხებოდა, სახელფასო ანგარიშზე — 15 398 ლარი, ხოლო მიმდინარე ანგარიშზე — 4 836,23 ლარი. ფინანსთა მინისტრს „თი-ბი-სი ბანკში" 3527 აშშ დოლარი ერიცხება, მის მეუღლეს კი „ბანკ ქართუში" — 9 780 ევრო. დეკლარაციის შევსებისას მინისტრს, რომელმაც საზოგადოებას თავი განსაკუთრებით „ბლუჯა ლარითა" და „ჟრიალით" დაამახსოვრა, 48 000 ლარი ჰქონდა, როგორც დეკლარაციაში განმარტავს, ეს წინა წლის დივიდენდი და განაღდებული ფასიანი ქაღალდებია.

დიმიტრი ქუმსიშვილი შპს „რეშენალ სოლუშენსის" პარტნიორია, რომელშიც მისი წილი 10%-ით განისაზღვრება. საწარმოს კაპიტალის ოდენობა 64 000 ლარია, ხოლო „ქართული ოცნების" მინისტრის წლიური შემოსავალი — 45030 ლარი. ისე, **საინტერესოა, „ბლუჯას" საკუთარი ბლუჯა-ბლუჯა ლარების დანახვაზეც აჟრიალებს თუ მხოლოდ სხვისი ფულის მიმართ აქვს ასეთი ემოციური დამოკიდებულება?!**

საქართველოს ვიცეპრემიერისა და ფინანსთა მინისტრის სამუშაო გამოცდილება ასეთია:

* 27.11.2016-დან დღემდე — საქართველოს პირველი ვიცეპრემიერი, ფინანსთა მინისტრი;
* 13.06.2016-დან 27.11.2016-მდე — საქართველოს პირველი ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
* 30.12.2015-დან 13.06.2016-მდე — საქართველოს ვიცეპრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
* 01.09.2015-დან 30.12.2015-მდე — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;
* 17.03.2015-დან 01.09.2015-მდე — ქალაქ თბილისის ვიცემერი;
* 2012-2015 (მარტამდე) — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე; სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე";
* 2011-2012 — ბიზნესგანვითარების დირექტორი, „პალიტრა მედია";
* 2012 — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, „რეშენალ სოლუშენს";
* 2012 — დირექტორი, „დამწყები ბიზნესის საინვესტიციო ფონდი";
* 1999-2011 — გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, სს „ბანკი ქართუ";
* 2000-2011 — სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა;
* 2010-2012 — სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, „გლობალ კონტაქტ კონსალტინგი";
* 1997-1999 — ხაზინის უფროსი, სს „ქართუ ბანკი";
* 1996-1997 — აუდიტორი, „აუდიტკონსალტინგი";
* 1995-1996 — წამყვანი სპეციალისტი, სს „გაერთიანებული ქართული ბანკი".

**გიორგი გელაშვილი**

არა არს დაფარული

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო და უკრაინა „ფერადი რევოლუციების“ მოწყობის ყველაზე წარმატებული მაგალითებია. ამოცანები, რომლებიც რევოლუციების ორგანიზატორების წინაშე იდგა იმხანად, შესრულდა: ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მორჩილად ემსახურებოდნენ აშშ-ის ინტერესების გატარებას საქართველოში და 9 წლის განმავლობაში გულმოდგინედ ანგრევდნენ ქართულ კულტურას, განათლებას, მეცნიერებას, ქართულ ტრადიციებს, ქუჩაში ხოცავდნენ ადამიანებს, ციხეებში ცოცხით აუპატიურებდნენ პატიმრებს, ბიზნესმენებსართმევდნენ ბიზნესს, ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას...**

**19 აპრილს საქართველოს პარლამენტში კიდევ ერთი შეხლა-შემოხლა მოხდა: მსჯელობას, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვა დახურულ თუ ღია პლენარულ სხდომაზე მომხდარიყო, დაპირისპირება მოჰყვა დეპუტატებს — ემზარ კვიციანსა და გიგა ბოკერიას შორის.**

# თანამშრომლობდა თუ არა გიგა ბოკერია აშშ-ის სპეცსამსახურებთან

## ანუ ჭეშმარიტების მარცვალი ემზარ კვიციანის განცხადებაში

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა, დეპუტატმა **ემზარ კვიციანმა** განაცხადა: **„რა მნიშვნელობა აქვს, სხდომა ღია იქნება თუ დახურული, როცა უცხო ქვეყნის რეზიდენტი გიგა ბოკერია გვიზის აქ, სხდომა გინდ დახური და გინდ — გახსენი“.** ამ განცხადებას „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი და ამჟამინდელი დეპუტატების ხმაური და რეპლიკები მოჰყვა. ამან ემზარ კვიციანი განარისხა, **მიხეილ სააკაშვილის** უახლოესი გარემოცვის წევრს, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ იდეოლოგს, ამჟამად „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს — **გიგა ბოკერიას** წყალი შეასხა და არაკაცი უწოდა (მოგვიანებით ემზარ კვიციანმა ქართველ საზოგადოებას მოუბოდიშა, თავშეუკავებელი საქციელის გამო).

**„შემდეგში დააზუსტე, რას გულისხმობ“,** — ასე უპასუხა გიგა ბოკერიამ გაცხარებულ ემზარ კვიციანს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო უცხო ძალებისგან იმართება, ქვეყნის ხელისუფლება დამოუკიდებლად ვერ იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, იქნება ეს საგარეო პოლიტიკური კურსი, ევროკავშირსა და ნატოში შესვლა თუ თავდაცვის მინისტრის დანიშვნა, ემზარ კვიციანის სიტყვებში არის ჭეშმარიტების მარცვალი და შევეცდებით, ეს ახლა „დავაზუსტოთ“...

**თანამშრომლობდა თუ არა გიგა ბოკერია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან, კერძოდ, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან?**

ამ კითხვას პასუხს სცემს ფრანგული ტელეარხი „Canal+“-ის ჟურნალისტთა მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი **„რევოლუცია.COM. აშშ: აღმოსავლეთის დაპყრობა“.** ინგლისური სახელწოდება — **„USA: The Conquest of the East“**, რომელიც საფრანგეთის სატელევიზიო სივრცეში 2005 წლის 17 ოქტომბერს აჩვენეს. **ფრანგმა ჟურნალისტებმა მოიარეს ბელგრადი, ბიშკეკი, ვაშინგტონი, ბოსტონი და ფირზე აღბეჭდეს „ფერადი რევოლუციების“ რეალიზატორთა და მათი ამერიკელი კურატორების იშვიათი გულწრფელობა, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში „რევოლუციების“ მომწყობთა მჭიდრო კავშირები ერთმანეთთან და ვაშინგტონელ პატრონებთან.**

ფილმში აღსანიშნავია ერთი ეპიზოდი:

თბილისში, ოფიციალურ მიღებაზე, პირველი ადამიანი, რომელსაც საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელს ართმევს, არის აშშ-ის სპეცსამსახურის წარმომადგენელი **ბრუს ჯექსონი.** პროტოკოლის სიაში მისი გვარი არ არის.

*** ბრუს ჯექსონმა 20 წელზე მეტ ხანს იმსახურა სამხედრო დაზვერვის ოფიცრად აშშ-ის სახმელეთო ჯარებში, არის პროფესიონალი მზვერავების ოჯახის წარმომადგენელი. მისი მამა — უილიამ ჰარდინგ ჯექსონი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი დამფუძნებელია (1950-1951 წლებში იყო ცსს-ს დირექტორის მოადგილე, 1951—56 წლებში — ცსს-ს დირექტორის მთავარი მრჩეველი). 2002 წელს ბრუს ჯექსონმა დააარსა „ნატოს გაფართოების აშშ-ის კომიტეტი“ (U.S. Committee to Expand NATO), რომლის დევიზიც არის: „გავაძლიეროთ ამერიკა. უზრუნველვყოთ ევროპის უსაფრთხოება. დავიცვათ ფასეულობები. გავაფართოოთ ნატო“.**

* 2000 წელს, **ჯორჯ ბუშის** საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ხელმძღვანელობდა საგარეო პოლიტიკის კომიტეტს, 2008 წელს კი **ჯონ მაკეინის** საარჩევნო კამპანიაში — საგარეო პოლიტიკის საკონსულტაციო ჯგუფს.

* ბრუს ჯექსონის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მხარდაჭერა ნატოში შესასვლელად. 2002 წელს ხელმძღვანელობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ერაყის გათავისუფლების კომიტეტს“, მისი ორგანიზებით შეიქმნა ე.წ. ათეულის წერილი, რომლითაც აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს აშშ-ის შეჭრას ერაყში.

* ბრუს ჯექსონმა 2002 წელს დააარსა „გარდამავალი დემოკრატიის ინსტიტუტი“, რომელსაც დღესაც ხელმძღვანელობს. ე.წ. ვარდების რევოლუციის პერიოდში და საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებისას იყო მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის წევრი. მრჩეველის რანგში ეხმარებოდა, აგრეთვე, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შედეგად უკრაინის ხელისუფლების სათავეში მოსულ **ვიქტორ იუშჩენკოს.**

მოკლედ, **ბრუს ჯექსონის პოვნა იოლად შეიძლება იქ, სადაც მზადდება „ფერადი რევოლუცია“ ან იმკიან მის ნაყოფს...**



**აი გიგა ბოკერია ვაშინგტონში, ბრუს ჯექსონის ოფისში. მას ჯექსონი საქართველოში რუსული სამხედრო ბაზის დახურვას (რაც მოხდა თბილისში ბუშის ვიზიტიდან 10 დღის შემდეგ) ულოცავს და უყვება, როგორი კმაყოფილნი არიან ვაშინგტონში ბოკერიას შესრულებული სამუშაოთი. გახარებული ბოკერია კი ბრუს ჯექსონს მოძრაობა «კმარას» მაისურს გადასცემს...**





დავუბრუნდეთ ფრანგი ჟურნალისტების ფილმს: ოფიციალურ მიღებაზე მიხეილ სააკაშვილი კამერების წინ ამბობს: „აუცილებლობა იმისა, რომ რუსმა სამხედროებმა დატოვონ საქართველო, აშკარაა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ცივილიზებულად. ჩვენ არ გვსურს მათი გაყრა, ნახეთ, სირიელებმა ლიბანი 3 კვირაში დატოვეს, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაოდენობა 4-ჯერ აღემატებოდა რუსების რაოდენობას სამხრეთ ოსეთში“. **იქვე, ახლოს მყოფი ბრუს ჯექსონი ყურადღებით ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ნათქვამს. უცებ მისკენ შებრუნდება სააკაშვილი და შეცბუნებული კაცის ღიმილით ეუბნება:**

— რაღაც ისე არ ვთქვი?

— არა, მისტერ პრეზიდენტ, განაგრძეთ, ყველაფერი რიგზეა, — უპასუხებს ჯექსონი.

ეს ოფიციალური მიღება თბილისში ბრუს ჯექსონმა თავის პროტეჟესთან, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიასთან ერთად დატოვა.

ფრანგი ჟურნალისტების დოკუმენტურ ფილმში გიგა ბოკერია სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ადამიანთან ერთად ჩნდება: ვაშინგტონში მიღებაზე, სადაც პრეზიდენტ ბუშთან აუდიენციის ლოდინში შეკრებილი არიან აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის „ფერადი რევოლუციების“ ლიდერები, რომლებიც კუბის მიმართ გეგმებს აწყობენ; აი გიგა ბოკერია **გივი თარგამაძესთან** ერთად თბილისში ხვდება ბელარუსის ოპოზიციის იმჟამინდელ ლიდერს — **ანატოლი ლებედკოს**, რომელიც ბელარუსში „ფერადი რევოლუციის“ მოსაწყობად რჩევებისთვის ჩამოვიდა.

სხვათა შორის, იმხანად, 2005 წლის მაისში, თბილისში იმყოფებოდა აშშ-ის პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში.**

გიგა ბოკერია ეკითხება ლებედკოს, არიან თუ არა ბელარუსის ხელისუფლებაში ადამიანები, რომლებთანაც შეიძლება მუშაობა, შეუძლია თუ არა მას ქვეყანაში სააგიტაციო პროპაგანდა და რა ვითარებაა „დონორის“ მი- ▶

**ბრუს ჯექსონმა 20 წელზე მეტ ხანს იმსახურა სამხედრო დაზვერვის ოფიცრად აშშ-ის სახმელეთო ჯარებში, არის პროფესიონალი მზვერავების ოჯახის წარმომადგენელი. მისი მამა — უილიამ ჰარდინგ ჯექსონი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი დამფუძნებელია (1950—1951 წლებში იყო ცსს-ს დირექტორის მოადგილე, 1951—56 წლებში — ცსს-ს დირექტორის მთავარი მრჩეველი). 2002 წელს ბრუს ჯექსონმა დააარსა „ნატოს გაფართოების აშშ-ის კომიტეტი“ (U.S.COMMITTEE TO EXPAND NATO), რომლის დევიზიც არის: „გავაძლიეროთ ამერიკა. უზრუნველვყოთ ევროპის უსაფრთხოება. დავიცვათ ფასეულობები. გავაფართოოთ ნატო“... მისი პოვნა იოლად შეიძლება იქ, სადაც მზადდება „ფერადი რევოლუცია“ ან იმკიან მის ნაყოფს**

ქრონიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველ ვიცეპრეზიდენტ ესჰაყ ჯაჰანგირისთან შეხვედრისას კვირიკაშვილმა ისე განაცხადა, „ირანსა და საქართველოს მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალწლიანი ტრადიცია აკავშირებს"-ო, თითქოს ირანისა (ადრე — სპარსეთის) საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ ია-ვარდით იყო მოფენილი, თითქოს არ ყოფილა მარტყოფზე ქართველების ბრძოლა (1625) ყორჩიხა ხანის ყიზილბაშებთან, თითქოს არ ყოფილა კრწანისის ბრძოლა (1795 ) სპარსელებთან (აღა-მაჰმად-ხანის მეთაურობით), არც 300 არაგველს შეუწირავს სიცოცხლე სამშობლოსთვის, არც მარაბდის ბრძოლაში დაღუპულა 9 ძმა ხერხეულიძე, არც შაჰ-აბასს წაუსხია ტყვედ ასი ათასობით ქართველი გოგო-ბიჭი...**

◀ მართ? ლებედკო უპასუხებს, რომ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, აშშ-ის კონგრესი რამდენიმე მილიონს გამოყოფს, თუმცა პროცესი ჯერ ლოდინის რეჟიმშია. გივი თარგამაძე კი ეუბნება ლებედკოს, რომ დაეხმარებიან 4 მილიონით ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

აი **გიგა ბოკერია ვაშინგტონში, ბრუს ჯექსონის ოფისში. მას ჯექსონი საქართველოში რუსული სამხედრო ბაზის დახურვას (რაც მოხდა თბილისში ბუშის ვიზიტიდან 10 დღის შემდეგ) ულოცავს და უყვება, როგორი კმაყოფილნი არიან ვაშინგტონში ბოკერიას შესრულებული სამუშაოთი.**

**გახარებული ბოკერია კი ბრუს ჯექსონს მოძრაობა „კმარას" მაისურს გადასცემს...**

საქართველო და უკრაინა „ფერადი რევოლუციების" მოწყობის ყველაზე წარმატებული მაგალითებია. ამოცანები, რომლებიც რევოლუციების ორგანიზატორების წინაშე იდგა იმხანად, შესრულდა: ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომლებიც მორჩილად ემსახურებოდნენ აშშ-ის ინტერესების გატარებას საქართველოში და 9 წლის განმავლობაში გულმოდგინედ ანგრევდნენ ქართულ კულტურას, განათლებას, მეცნიერებას, ქართულ ტრადიციებს, ქუჩაში ხოცავდნენ ადამიანებს, ციხეებში ცოცხით აუპატიურებდნენ პატიმრებს, ბიზნესმენებს ართმევდნენ ბიზნესს, ებრძოდნენ და დღესაც ებრძვიან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას...

**ზემოაღწერილის შემდეგ მკითხველმა თვითონ განსაჯოს — თანამშრომლობდა თუ არა ბოკერია აშშ-ის სპეცსამსახურებთან და არის თუ არა დეპუტატ ემზარ კვიციანის ნათქვამში ჭეშმარიტების მარცვალი.**

**ნიკა კორინთელი**

**P.S. საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურები გაძეძგილი რომ არის უცხო ქვეყნის აგენტებით, ამაზე ბევრი ექსპერტი ლაპარაკობს. ამ რამდენიმე თვის წინათ წერდა „საქართველო და მსოფლიო" (იხ. „საქართველო და მსოფლიოს" 2016 წლის 45-ე ნომერში გამოქვეყნებული მასალა — „დიდი ბრიტანეთი საქართველოს საბოლოო კოლონიზაციას აპირებს").**

**ცნობისთვის:**

**გიორგი (გიგა) ბოკერია** დაიბადა 1972 წლის 20 აპრილს.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი — კვალიფიკაციით ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელი.

1996—2004 წლებში იყო თავისუფლების ინსტიტუტის თანამშრომელი — ადამიანის უფლებების პროგრამების კოორდინატორი, უფროსი იურიდიული მრჩეველი. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ გიგა ბოკერია აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად. 2005—2008 წლებში იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) ვიცეპრეზიდენტი. 2008 წლიდან — საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 2010 წლის ნოემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე — საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

# ვასალის სინდრომით შეპყრობილი საქართველოს ხელისუფლების ისტორიის მრუდე სარკე

## ანუ ვინ არის მეგობარი და ვინ — ოკუპანტი

**საქართველოს ხელისუფლების უნიათობას, სიმხდალეს სხვა ქვეყნების ხელისუფლებისადმი, „სტრატეგიული პარტნიორი" იქნება თუ მტრულად განწყობილი — მონურ, ვასალურ მორჩილებას, საზღვარი არ აქვს...**



23 მარტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ველზე თურქ-სელჩუკთა რაოდენობით 5-6-ჯერ მეტ კოალიციურ ლაშქარზე (თურქები ქართველებზე 5-6-ჯერ მეტნი იყვნენ) დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად 12 აგვისტოს „დიდი გამარჯვების დღედ" გამოცხადებას, მაგრამ ამჟამად ამ კანონპროექტის განხილვა დღის წესრიგში აღარ დგას. მიზეზი არის ის, რომ **პრემიერმინისტრ კვირიკაშვილს თურქეთის საელჩომ თხოვნით (უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით — მოთხოვნით) მიმართა, დიდგორი ჩვენი დამარცხების დღეა, პარლამენტის ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გარკვეული უსიამოვნება შეიტანოს ჩვენს ურთიერთობაში და ამიტომ ამ საკითხს ნუ განიხილავთო. კვირიკაშვილმაც, რომელიც თურქეთს „საქართველოს ისტორიულ მეგობარს" უწოდებს, საქართველოს პარლამენტს კანონპროექტის შეჩერება მოსთხოვა...**

საშინაო საქმეებში ასეთ უხეშ ჩარევას არც ერთი ნორმალური სახელმწიფო არ მოითმენდა, ამის მოთმენა მხოლოდ „დამოუკიდებელი" საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია, რომელიც ოღონდ ძალაუფლება არ დაკარგოს, თვალებში შესციცინებს საქართველოს ყველა ისტორიულ მტერს.

**თურქეთს მიტაცებული აქვს ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაო-კლარჯეთი), სულ 12 ათას კვ.კმ-ზე მეტი ფართობი, ამ ტერიტორიებზე არსებული ქართული ტაძრების უმრავლესობა მეჩეთებად გადააკეთეს. საუკუნეების განმავლობაში ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ საქართველოს, იტაცებდნენ და სტამბოლის ბაზარზე მონებად ჰყიდიდნენ ქართველებს, ძირითადად, მოზარდებს. თურქულ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილია რუკები, რომლებზეც აჭარა თურქეთის ნაწილია, თურქულ ენციკლოპედიაშიც ასეა...** და ამის შემდეგ, როგორ შეიძლება მოგიბრუნდეს ენა და თქვა, რომ თურქეთი საქართველოს მეგობარია. ჩვენი ისტორიული გამარჯვების აღნიშვნაზე უარი იმიტომ უნდა ვთქვათ, რომ ეს თურქეთს აღიზიანებს?!

ამიტომ უნდა დავივიწყოთ დიდგორის ბრძოლა? ბასიანის ბრძოლა (1202 წელს) თურქ-სელჯუკთა დამარცხება ტაო-კლარჯეთში 1116 წელს და სხვა? როგორც ჩანს, **ვასალის სინდრომი ისე ღრმად არის გამჯდარი საქართველოს ხელისუფლებაში, რომ ამ ადამიანებს ცნობიერება გამრუდებული აქვთ და ისტორიის მრუდე სარკეში ჩახედვას თავს ვერ ანებებენ.**

ორიოდე დღის წინათ კი პრემიერმინისტრმა კვირიკაშვილმა კიდევ ერთი ისტორიული სიბრძნე გადმოაფრქვია:

**თურქეთი 896 წლის წინათ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებაზე დუმილს მოითხოვს ჩვენგან, — არ იზეიმოთო; ირანი ირანელი ტურისტი ქალების სახის დანახვას გვიკრძალავს; სომხეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილად არ აღიარებს, თანაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 442 ქართულ ეკლესიას გვედავება, აზერბაიჯანი — დავითგარეჯას; სტრასბურგის სასამართლოს ფეხზე ჰკიდია საქართველოს უზენაესი სასამართლო; უკრაინა ძებნილ სააკაშვილს გუბერნატორად ნიშნავს და საქართველოს ხელისუფლებას არად აგდებს; აშშ მინისტრებს გვინიშნავს და გვეუბნება, თქვენზე უკეთესად ვიცი, რომელ პარტიასა და პოლიტიკოსს რა რეიტინგი აქვსო...**



22 აპრილს ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველ ვიცეპრეზიდენტ **ესჰაყ ჯაჰანგირისთან** შეხვედრისას კვირიკაშვილმა ისე განაცხადა, „ირანსა და საქართველოს მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალწლიანი ტრადიცია აკავშირებს"-ო (? — ნ.კ), თითქოს ირანისა (ადრე — სპარსეთის) საქართველოს ურთიერთობა მხოლოდ ია-ვარდით იყო მოფენილი, თითქოს არ ყოფილა მარტყოფზე ქართველების ბრძოლა (1625) ყორჩიხა ხანის ყიზილბაშებთან, თითქოს არ ყოფილა კრწანისის ბრძოლა (1795 წ.) სპარსელებთან (აღა-მაჰმად-ხანის მეთაურობით), არც 300 არაგველს შეუწირავს სიცოცხლე სამშობლოსთვის, არც მარაბდის ბრძოლაში დაღუპულა 9 ძმა ხერხეულიძე, არც შაჰ-აბასს წაუსხია ტყვედ ასი ათასობით ქართველი გოგო-ბიჭი...

**კვირიკაშვილს არ ახსოვს, ალბათ, არც უსწავლია საქართველოს ისტორია, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგად ასწავლეს, როგორ მოუხაროს ქედი ყველას, ვინც კი საქართველოს საწინააღმდეგოს განიზრახავს.**

**თურქეთი 896 წლის წინათ ჩვენ მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებაზე დუმილს მოითხოვს ჩვენგან, — არ იზეიმოთო; ირანი ირანელი ტურისტი ქალების სახის დანახვას გვიკრძალავს; სომხეთი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ნაწილად არ აღიარებს, თანაც, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 442 ქართულ ეკლესიას გვედავება, აზერბაიჯანი — დავითგარეჯას; სტრასბურგის სასამართლოს ფეხზე ჰკიდია საქართველოს უზენაესი სასამართლო; უკრაინა ძებნილ სააკაშვილს გუბერნატორად ნიშნავს და საქართველოს ხელისუფლებას არად აგდებს; აშშ მინისტრებს გვინიშნავს და გვეუბნება, თქვენზე უკეთესად ვიცი, რომელ პარტიასა და პოლიტიკოსს რა რეიტინგი აქვსო...**

მოკლედ, საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების აზრით, აშშ და დიდი ბრიტანეთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები არიან, თურქეთი და ირანი — ისტორიული მეგობრები, სომხეთი — კეთილი მეზობელი, მხოლოდ რუსეთია ოკუპანტი...

აქ, როგორ შეიძლება, არ გაგახსენდეს **ილია ჭავჭავაძის** „ქვათა ღაღადი":

**„ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი დედამიწის ზურგზე ძნელად თუ მოიპოვება სხვა. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება მოსპონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდან აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ. თითქოს არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღესა ვართ"...**

**ნიკა კორინთელი**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დაუჯერებელია, თითქოს მათი დანაშაულებრივი მოქმედებები მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ჰიტლერი „მანიაკი" იყო, „სულით ავადმყოფი"; გერინგი — „მორფინისტი" და „სეკრეციის ჯირკვლებდაავადებული"; ჰესი — „ნახევრადშეშლილი მოგვი"; რიბენტროპი — „გონებაჩლუნგი" და „დეგენერატი", თანაც ღვინის ვაჭარი; როზენბერგი — „ცრუ ფილოსოფოსი"; შტრაიხერი — „ამორალური და გახრწნილი პიროვნება"; კალტენბრუნერი — „სისხლისმსმელი ჰიენა" და სხვებიც, ასეთები — „პირუტყვები", „ცხოველები", „კაციჭამია ბარბაროსები" თუ „ჯოჯოხეთის ბნელი ძალები", რომლებსაც ერთი „გიჟი ეფრეიტორი" მეთაურობდა.**

# სტალინი და ნიურნბერგის სასამართლო პროცესი

## «ჰიტლერის ანდერძი»

**ნიურნბერგის სასამართლო პროცესის დასკვნით ნაწილზე გადასვლამდე მინდა, მკითხველს გავაცნო ჰიტლერის „გულახდილი საუბარი" მარტინ ბორმანთან 1945 წლის 4 თებერვალს, რომელიც „ჰიტლერის ანდერძად" არის ცნობილი.**



ბორმანი (მარცხნივ), ჰიტლერი და რიბენტროპი

**«სანამ რუსეთის სახით კიდევ ერთი დიდი სახელმწიფო არსებობდა ევროპაში, ინგლისი მისი მხარდაჭერის იმედით არასოდეს შეწყვეტდა ომს ჩვენ წინააღმდეგ. უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის მქონე ამერიკა კი მოგების მიზნით ერთთანაც გააბამდა კავშირს და მეორესთანაც. ეს სულ უფრო და უფრო ჩაგვითრევდა ხანგრძლივი ომის ჭაობში, ამიტომ საჭირო იყო რუსეთის ამოგდება ევროპის სახელმწიფოთა ბალანსიდან»**

დისიდენტი და გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი და სოვეტოლოგი **ალექსანდრე ზინოვიევი** სამამულო ომის დაწყებამდე სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილეობდა. ამის გამო მან ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი და დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა სტალინიზმისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. ამერიკაში ოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ 1960-იან წლებში გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში გადასახლდა და დარჩენილი წლები თავისი შრომების უარყოფას მოანდომა. მის 36 სქელტანიან წიგნში მასალების ნახევარი ანტისტალინურ პროპაგანდას შეიცავს, მეორე ნახევარი (მიუნხენისდროინდელი) — სოციალიზმისა და სტალინური ეპოქის ქება-დიდებას.

სწორედ ალექსანდრე ზინოვიევს ეკუთვნის გამოთქმა: **„ჰიტლერი გენიოსია, მაგრამ სტალინი მასზე ათი თავით მაღლა დგას. გენიოსია ჩერჩილიც, მაგრამ სტალინთან შედარებით ის ბიჭუნაა („მალჩიშკა").**

მე მიჭირს ჰიტლერის გენიალურობაზე ვისაუბრო, მაგრამ თვითონ სტალინმა, როცა ჰიტლერს გამუდმებით ლანძღავდნენ, აგინებდნენ და სულელს უწოდებდნენ, განაცხადა: **„საბჭოთა კავშირს სულელებთან არ უწარმოებია სისხლისმღვრელი ომი 4 წლის განმავლობაში. ჩვენ ვებრძოდით კარგად შეიარაღებულ და ზედმიწევნით ორგანიზებულ სამხედრო ძალას, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა დაიპყრო".**

არაფრისმქონე გერმანია 1933 წელს ჰიტლერის ხელში უძლიერესი სახელმწიფო გახდა და 1940 წელს მსოფლიოში აღიარებული არმია და საომარი ტექნიკა ჰქონდა.

სწორედ ჰიტლერის ანდერძს ვთავაზობ მკითხველს, რათა უფრო ნათელი შეიქნეს, რა ძალას ებრძოდნენ სტალინი და წითელი არმია დიდ სამამულო ომში.

ჰიტლერმა ამ „ანდერძში" გააანალიზა მნიშვნელოვანი მოვლენები:

**„რატომ წააგო ომი? ვინ ან რა არის ამის მიზეზი? საერთოდ, უნდა წამოეწყო თუ არა ეს ომი?"**

1945 წლის 4 თებერვალს, დიდი სამამულო ომის დასრულებამდე 3 თვით ადრე ჰიტლერმა ზემოჩამოთვლილ ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა:

„...ჩვენ არ გვქონდა არჩევანი. როგორც კი განვაცხადეთ სურვილი, გაგვეერთიანებინა გერმანელი ერი დიდ იმპერიად და უზრუნველგვეყო ნამდვილი თავისუფლებით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის შესაძლებლობით, რომ ეცხოვრათ ისე, როგორც მათ სურდათ, მაშინვე ყველა მტერი აღდგა ჩვენ წინააღმდეგ. ომი აუცილებელი შეიქნა თუნდაც იმის გამო, რომ მისი თავიდან აცილებით ჩვენივე ხალხის ძირეული ინტერესებისთვის უნდა გვეღალატა. რაც შეეხება ხალხს, არ გვინდოდა, დავკმაყოფილებულიყავით მისი მოჩვენებითი დამოუკიდებლობით. ასეთი დამოუკიდებლობა ხელს აძლევთ მხოლოდ შვედებსა და შვეიცარიელებს, რომლებიც ყოველთვის მზად არიან, მხარი დაუჭირონ საეჭვო და ცრუ ლოზუნგებს იმ პირობით, თუკი ამით შეძლებენ, ჯიბე გაისქელონ. იმავე მიზეზით ვერ შეძლო ვაიმარის რესპუბლიკამ, წამოეყენებინა უფრო ღირსეული პრეტენზიები. ასეთი მოქმედება კი არ შეეფერებოდა მესამე იმპერიის პრესტიჟს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით, ადრე თუ გვიან, ომი დაგვეწყო, რომლის შემდეგაც ზრუნვის ერთადერთი საგანი იყო ის, რომ სწორად შეგვერჩია ხელსაყრელი დრო, ხოლო რაკი დავიწყეთ, მერე ომიდან გამოსვლაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ამ ომში დამღუპველ ფაქტორად იქცა ის, რომ გერმანიამ იგი დაიწყო ძალიან ადრე და თანაც ძალიან გვიან. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენ ომი ადრე უნდა დაგვეწყო. მე უნდა ჩამეგდო ხელთ ინიციატივა ჯერ კიდევ 1938 წელს და არა 1939 წელს. მაშინ უნდა მიმეცა საბაბი, რომ ჩავეთრიეთ მასში, რადგან ომი, ასე თუ ისე, მაინც გარდაუვალი იყო. ამასთანავე, სწორი არ იქნებოდა, ამაში ბრალი ჩემთვის დაედოთ, რადგან მიუნხენში ინგლისმა და საფრანგეთმა დააკმაყოფილეს ყველა ჩემი მოთხოვნა.

დღევანდელობის თვალსაზრისით, ომმა ძლიერ დაიგვიანა. ჩვენი მორალური მზადყოფნის თვალსაზრისით კი, იგი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე საჭირო იყო. ჩემმა მოწაფეებმა ამ დროისთვის ვერ მოასწრეს სრული მომწიფება. მე კიდევ ოცი წელიწადი მინდოდა, რომ მომემზადებინა ეს ახალი ელიტა, ელიტა სიჭაბუკისა, რომელიც ადრეული ბავშვობიდან იქნებოდა გამსჭვალული ნაციონალისტურ-სოციალისტური ფილოსოფიით. ჩვენი, გერმანელების, ტრაგედია ის იყო, რომ დრო არასოდეს გვყოფნიდა. გარემოება ყოველთვის ისე ეწყობოდა, რომ იძულებული ვხდებოდით, ავჩქარებულიყავით. და, თუ ახლაც არ გვყოფნის დრო, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საკმარისი არ არის სივრცე. რუსებს თავიანთი ვრცელი ტერიტორიების მეოხებით შეუძლიათ, თავს ფუფუნების ნება მისცენ და არ იჩქარონ. დრო მათ სასარგებლოდ და ჩვენ საწინააღმდეგოდ მოქმედებს. თუ განგება მომცემდა საშუალებას, მეცოცხლა მანამდე, სანამ ჩემს ხალხს ნაციონალ-სოციალისტური იდეების სრულ ზეიმამდე მივიყვანდი, ჩემი მტრები მაინც არ მომცემდნენ საშუალებას, გამომეყენებინა ეს. ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა მოვესპეთ, სანამ დადგებოდნენ ერთიანი ნაციონალ-სოციალისტური რწმენით შეკავშირებული და ამის შედეგად უძლეველი გერმანიის პირისპირ.

**სხვა ყველა დაბალი რასაა, არასრულფასოვანი, ყველა, ვინც ლათინური, სლავური ან ებრაული წარმოშობისაა, აღმოსავლეთის ხალხებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ყველა უნდა მოისპოს, რადგან ასეთია „ბუნების წესი".** ძლიერი ერი სპობს სუსტს. ძლიერი რასა ვითარდება, სუსტი კი ისპობა. ერთი ხალხი მეორეს რომ შთანთქავს, ეს საშინელებაა, მაგრამ აუცილებელია. ამიტომ ჩვენ არავითარი სიბრალული არ უნდა გვქონდეს ხალხისა, რომელსაც ბედისწერამ დაღუპვა არგუნა, რადგან ეს ბუნებრივ პროცესს ეხმარება. პირიქით რომ მოხდეს, მაშინ ყველაფერი დაინგრევა... **როგორც კურდღელზე ძაღლის გამარჯვებაა უეჭველი ან ლომისა — შველზე, ასევე უეჭველია გერმანელთა გამარჯვება სხვა ხალხებზე, რადგან მხოლოდ გერმანული რასაა სრულყოფილი და უფლებამოსილი, იბატონოს.**

მიუნხენის წინ მე ნათლად დავრწმუნდი, რომ დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელები შეპყრობილი იყვნენ სურვილით, ჩამოერთმიათ ჩვენთვის ქირურგიული დანები და არ მოეცათ საშუალება, დაგვეწყო ოპერაცია (გერინგის თქმით, „ჩეხოსლოვაკიური აპენდიციტის ამოჭრა ევროპის სხეულიდან"). ამიტომაც არ მოგვეცა საშუალება, შევთანხმებულიყავით, როცა იმ არქიბურჟუა კაპიტალისტმა **ჩემბერლენმა** თავისი ქოლგით ხელში ბერხტესგადენში ჩამოსვლა ინება, რათა „მოლაპარაკებოდა მეტიჩარა ჰიტლერს", მე კარგად ვიცოდი, რომ სინამდვილეში განზრახული ჰქონდა, ულმობელი ბრძოლა ეწარმოებინა ჩვენ წინააღმდეგ. იგი მზად იყო, ეთქვა ჩემთვის ყველაფერი, რაც, მისი აზრით, ასეთ ეჭვებს გამიფანტავდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მისი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი იყო დროის მოგება, ამიტომაც უნდა დაგვერტყა მაშინვე და დაგვეწყო ომი 1938 წელსვე.

**ჩემბერლენმა** და **დალადიემ** კი, როგორც უკანასკნელმა მშიშრებმა, დაგვითმეს ყველაფერი, ხოლო ასეთ პირობებში ძნელი იყო, აგვეღო ინიციატივა და დაგვეწყო აშკარა საომარი მოქმედება. მიუნხენში ჩვენ დავკარგეთ ერთადერთი შესაძლებლობა, მოგვეგო ეს ომი, რომელიც ყველა გარემოებაში აუცილებელი იყო ჩვენთვის. მართალია, არც ჩვენ ვიყავით მთლად მზად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკეთესი მომზადებული ვიყავით, ვიდრე ჩვენი მტრები. ჩვენ სწორედ მაშინ უნდა გადაგვეწყვიტა სადავო საკითხები იარაღით და არ მიგვექცია ყურადღება მოწინააღმდეგეთა სურვილზე, დაეკმაყოფილებინათ ჩვენი მოთხოვნები... საკმარისი იყო, სუდეტის პრობლემა ძალით გადაგვეწყვიტა, რომ ერთდროულად მოგვესპო ჩეხოსლოვაკია და ყველაფერი ეს **ბენეშისათვის** დაგვებრალებინა. მიუნხენის გადაწყვეტილება შეიძლებოდა მხოლოდ დროებითი ყოფილიყო, რადგან ვერ მოვითმენდით ამ მუწუკის არსებობას გერმანიის გულში, რომელსაც ჩეხების დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოადგენდა. ჩვენ გამოვრწყუეთ ეს მუწუკი 1939 წლის მარტში, მაგრამ უკვე ფსიქოლოგიურად არა ისეთ ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ ვითარებაში, როგორიც იყო 1938 წელს.

**რუსეთი დიდი ლუკმაა, შეიძლება ის ყელში გაეჩხიროს კაცს, ამიტომ მე არ დავიწყებდი იქიდან!.. თუ რუსეთი დამსხვრეულ იქნა, ინგლისს წაერთმევა უკანასკნელი იმედი. მაშინ ევროპასა და ბალკანეთში იბატონებს გერმანია...**

ამ კამპანიის მიზანია რუსეთის, როგორც კონტიტენტური სახელმწიფოს, საბოლოო მოსპობა... არც ერთი გადაწყვეტილების მიღება ამ ომის განმავლობაში არ იყო იმაზე ძნელი ჩემთვის, ვიდრე გადაწყვეტილებისა, თავს დავსხმოდი რუსეთს. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა, თავიდან ავიცილოთ ომი ორ ფრონტზე. დარწმუნებული იყავით, მე დიდხანს ტანჯვითა და წვალებით ვფიქრობდი **ნაპოლეონის** ლაშქრობაზე რუსეთში. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ დავიწყე ომი რუსეთთან? — იკითხავთ თქვენ, — ან რატომ ავირჩიე სწორედ ეს დრო ომის დასაწყებად? **ვიდრე რუსეთის სახით კიდევ ერთი დიდი სახელმწიფო არსებობდა ევროპაში, ინგლისი მისი მხარდაჭერის იმედით არასოდეს შეწყვეტდა ომს ჩვენ წინააღმდეგ. უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის მქონე ამერიკა კი მოგების მიზნით ერთთანაც გააბამდა კავშირს და მეორესთანაც. ეს სულ უფრო და უფრო ჩაგვითრევდა ხანგრძლივი ომის ჭაობში, ამიტომ საჭირო იყო რუსეთის ამოგდება ევროპის სახელმწიფოთა ბალანსიდან,** ამიტომ იყო საჭირო, აგვეღო ინიციატივა და დაგვეწყო ომი. დრო კი ისევ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებდა. სტალინი გულხელდაკრეფილი როდი იჯდა. დასავლეთის სახელმწიფოებიც თანდათან იკრებდნენ ძალას. ამრიგად, **კაცმა რომ თქვას, საკითხი იმას კი არ შეეხება, თუ რატომ დავიწყე რუსეთთან ომი 1941 წლის ივნისში, არამედ იმას, რატომ არ დავიწყე იგი უფრო ადრე.**

სუსტმა მოკავშირეებმა დაღუპეს გერმანია, რადგან „ხანგრძლივ ომში სუსტი მოკავშირე უფრო ხუნდებია ფეხებზე, ვიდრე რეალური დახმარება". საბერძნეთში მოულოდნელმა შეჭრამ ხუთი კვი-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ვინც ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ ცოცხალი დარჩება, ის არ იქნება სრულფასოვანი გერმანელი!.. რაკი გერმანელი ხალხი მხდალი და სუსტი აღმოჩნდა, იგი არ იმსახურებს რამე სხვას, გარდა სამარცხვინო სიკვდილისა. თუ აღმოჩნდება, რომ გერმანელი ხალხი არ არის საკმაოდ ძლიერი და მომზადებული იმისთვის, რომ მსხვერპლი გაიღოს, სისხლი დაღვაროს არსებობისთვის, დაე, დაიღუპოს იგი, მოსპოს უფრო ძლიერმა ძალამ...“

◀რით გადამადებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებ,. თორემ, **ეს რომ ასე არ მომხდარიყო და დროზე გამელაშქრა აღმოსავლეთში, „გენერალი იანვარი“ და „გენერალი თებერვალი“ მოსკოვის მისადგომებთან ველარ მომისწრებდა, იმხანად მოსკოვი უკვე დაპყრობილი მექნებოდა, ხოლო ომი — მოგებული. ეს იყო რუსეთში ჩემი დამარცხების „გადამწყვეტი ფაქტორი“...**

სწორედ საბერძნეთში დაუგო მახე სტალინმა ჰიტლერს და მასში მოხერხებულად გააბა მესამე რაიხის მესვეურნი, რომლიდანაც თავი ველარ გამოიხსნეს. საბოლოოდ, ამ მახის რგოლები იქცა ნიურბერგის იუსტიციის სასახლის შიდა ეზოში მდებარე საპატიმროს სპორტული დარბაზის იმ ყულფებად, რომლებითაც ჩურჩხელებივით ჩამოჰკიდეს თერთმეტი სამხედრო დამნაშავე. მეთორმეტის — **გერინგის** ცხედარი კი, რომელმაც ჩამოხრჩობამდე ოთხი საათით ადრე ციანიდი მიიღო და შხამით დაასრულა სიცოცხლე, გვერდს „უმშვენებდა“ საკნის იატაკზე განლაგებულ ცხედრებს.

„ანდერძში“ ჰიტლერი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს შეცდომებზე:

„რაკი მიზნად ვისახავ, მსჯავრი დავდო წარსულს ობიექტურად, ყოველგვარი ემოციების გარეშე, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ურყევი მეგობრობა იტალიასა და **დუჩე მუსოლინისთან** შეცდომა იყო. სრულიად აშკარაა, რომ ჩვენმა კავშირმა იტალიასთან უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა მტრებს, ვიდრე გერმანელებს. იტალიის მონაწილეობამ ომში, რაც სრულიად უმნიშვნელო იყო იმ სიძნელეებთან შედარებით, რომლებიც მან შეგვიქმნა, ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ეს ომი მაინც ვერ მოვიგეთ და ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალიამ ხელი შეუწყო ჩვენს დამარცხებას. ისე კი, **ყველაზე დიდი სამსახური, რაც შეიძლებოდა იტალიას გაეწია ჩვენთვის, იქნებოდა ის, რომ სულაც არ ჩარეულიყო ამ ომში.** მე უამისოდაც გავუყოფდი იტალიას ჩემს ნადავლს და სულითა და გულით მივიღებდი მონაწილეობას ისტორიული მითის შექმნაში ძველ რომაელთა კანონიერი შვილების — იტალიელი ხალხის უპირატესობის შესახებ, ოღონდ მხარში არ ამომდგომოდნენ ბრძოლის ველზე.



ჰიტლერი და ბორმანი

სამწუხაროდ, **ბუნებაც იმას ადასტურებს, რომ მათი აღიარება თანასწორად, ვინც ასეთი არ არის, შეცდომაა.** გერმანელებმა კარგად უნდა დაიმახსოვრონ, რომ ასეთ მდგომარეობას მარტო ყოფნა სჯობს. **მე ხშირად ვამბობდი: სადაც შეხვდებით იტალიელებს, იქ ნახავთ გამარჯვებას-მეთქი. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: სადაც მიაღწევთ გამარჯვებას, იქ, არხეინად იყავით, შეხვდებით იტალიელებს.**

ჩვენ, ისევე, როგორც **ფრიდრიხ დიდი**, ვიბრძვით კოალიციის წინააღმდეგ, ხოლო კოალიცია, გახსოვდეთ, არასოდეს არის მტკიცე ერთეული: იგი არსებობს მხოლოდ ერთი მუჭა ხალხის ნება-სურვილით. აი, **ჩერჩილი** უცებ რომ გაქრეს, ელვისებური სისწრაფით შეიცვლება ყველაფერი... **რაც შეეხება რუზველტს, ამერიკელები მალე მიხვდებიან, რომ ისინი მისი სახით აღმერთებდნენ ცრუ კერპს. სინამდვილეში იგი უდიდესი დამნაშავეა, როგორც ამერიკის, ისე მსოფლიოს წინაშე...**

ბედმა მე დამაკისრა, ვცადო ყველაფრის განხორციელება ერთი ადამიანის ცხოვრების მოკლე დროში. ამაში მეხმარება ჩემი რომანტიკული იდეალიზმი, რომელიც ეყრდნობა რეალურ ფაქტებს, რომლებიდანაც გამომდინარეობს სრულიად შესაძლო დაპირებები, მაგრამ იგივე ფაქტები მიკრძალავენ, აღვუთქვა ვინმეს, რომ ვარსკვლავებს მოვწყვეტ ციდან. სხვების განკარგულებაში მარადიულობაა, ჩემს განკარგულებაში კი მხოლოდ რამდენიმე უსუსური წელია. სხვებმა იციან, რომ მათ შეცვლიან ისინი, ვინც განაგრძობს იქიდან, სადაც თვითონ ამთავრებენ, თანაც ისე, რომ იმავე მიმართულებითა და იმავე გუთნით გაიყვანონ ხნული. მე ახლა ისეთ ასაკს მივაღწიე, რომ საგონებელში ვარ ჩავარდნილი: მოიძებნება კი ჩემ ახლობელთა შორის ბედისგან რჩეული ისეთი ადამიანი, რომელიც შეძლებს, ასწიოს და წინ წაიღოს ჩირაღდანი, რომელიც მე გამივარდება ხელიდან?!

რა შეგვიძლია ვურჩიოთ ან მოქმედების რომელ გეზზე შეიძლება მივუთითოთ მათ, ვინც ცოცხალი დარჩება და, ამასთანავე, შეინარჩუნებს წმინდა სულსა და გაუტეხელ გულს? — დამარცხებულმა და განწირულმა გერმანელმა ხალხმა, რომელიც იძულებულია, იცხოვროს და იბრძოლოს არსებობისთვის მარტოდმარტომ, როგორც გუშაგმა ბნელ ღამეში, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა კვლავაც დაემორჩილოს მისთვის შემოთავაზებულ რასობრივ კანონებს.

**მომავალი შეიძლება მხოლოდ იმ თეთრ ხალხს ეკუთვნოდეს, რომელმაც იცის, რა არის ტანჯვა და ბრძოლა სიკვდილამდე.** ასეთი ხალხი კი იქნება ის, რომელიც შეძლებს თავის თავში აღმოფხვრას ებრაული შხამი. არ უნდა გვებრალებოდეს ხალხი, რომელსაც ბედისწერამ დაღუპვა არგუნა.

გერმანელები ისეთი უსუსურნი არიან, რომ არ შეუძლიათ შეიგნონ და განახორციელონ ჩემი იდეები. თუ მე დავიღუპები, დაე, დაიღუპოს გერმანელი ხალხიც! **ვინც ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ ცოცხალი დარჩება, ის არ იქნება სრულფასოვანი გერმანელი!.. რაკი გერმანელი ხალხი მხდალი და სუსტი აღმოჩნდა, იგი არ იმსახურებს რამე სხვას, გარდა სამარცხვინო სიკვდილისა. თუ აღმოჩნდება, რომ გერმანელი ხალხი არ არის საკმაოდ ძლიერი და მომზადებული იმისათვის, რომ მსხვერპლი გაიღოს, სისხლი დაღვაროს არსებობისთვის, დაე, დაიღუპოს იგი, მოსპოს უფრო ძლიერმა ძალამ...“**

ასე დაამთავრა ჰიტლერმა თავისი „ანდერძი“.

...„ბერლინის მეტროპოლიტენი გაივსო ქალებით, ბავშვებითა და მოხუცებით, ავადმყოფებითა და დაჭრილებით. ეს იყო ყველაზე საიმედო თავშესაფარი. ომის ბოლო 80 დღის განმავლობაში 86 საჰაერო თავდასხმა მოეწყო ბერლინზე, ყოველი თავდასხმისას დაახლოებით ორი ათასამდე თვითმფრინავი ბომბავდა „ნაცისტურ კართაგენს“. ადვილი წარმოსადგენია ასეთ ჯოჯოხეთში მოსახლეობის მდგომარეობა. შიშითა და შიმშილით მისუსტებული ასიათასობით ადამიანი მეტროს აფარებდა თავს. როცა საბჭოთა ტანკები ბერლინის გარეუბნებს მიუახლოვდნენ, ჰიტლერმა გასცა თავისი ყველაზე შემაძრწუნებელი ბრძანება: მოეშალათ დამბები მდინარე შპრეეზე და წყალი მიეშვათ მეტროში... (მ. კვესელავა, „ასერგასის დღე“).

მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ჰქონდეს, ვინ და რა ჯგუფი იყო ჰიტლერთან ერთად, რომელმაც მოაწყო კაცობრიობის, ადამიანურობისა და მშვიდობის წინააღმდეგ უდიდესი ტერორი, გაგაცნობთ მათ შემადგენლობას:

„ნაცისტური გერმანიის ხელმძღვანელთა დაახლოებით ოთხიათასიანი კასტიდან 1050 მეცნიერებათა დოქტორი იყო, 22 — საპატიო დოქტორი, 21 — ორგზის დოქტორი, 350 — პროფესორი, 116 — საიდუმლო მრჩეველი (Geheimrat), 150 – დიპლომიანი სპეციალისტი, 2 – ნობელის პრემიის ლაურატი და მხოლოდ 30 კაცი – უმაღლესი განათლების გარეშე, მათ შორის, ჰიტლერი.

ამ ოთხი ათასი კაციდან 670 დიდგვაროვანი არისტოკრატი იყო, 850 — წიგნის ავტორი, სხვები კიდევ — თავისებურად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი...

ახლა რომ მკითხოთ, არც მე მჯერა, თითქოს მათი დანაშაულებრივი მოქმედებები მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ჰიტლერი „მანიაკი“ იყო, „სულით ავადმყოფი“; **გერინგი** — „მორფინისტი“ და „სეკრეციის ჯირკვლებდაავადებული“; **ჰესი** — „ნახევრადშეშლილი მოგვი“; **რიბენტროპი** — „გონებაჩლუნგი“ და „დეგენერატი“, თანაც ღვინის ვაჭარი; **როზენბერგი** — „ცრუ ფილოსოფოსი“; **შტრაიხერი** — „ამორალური და გახრწნილი პიროვნება“; **კალტენბრუნერი** — „სისხლისმსმელი ჰიენა“ და სხვებიც ასეთები — „პირუტყვები“, „ცხოველები“, „კაციჭამია ბარბაროსები“ თუ „ჯოჯოხეთის ბნელი ძალები“, რომლებსაც ერთი „გიჟი ეფრეიტორი“ მეთაურობდა.

ვინც ასე მსჯელობს, ძალაუნებურად უმსუბუქებს მათ დანაშაულს და ამცირებს იმ დიდი გამარჯვების მნიშვნელობას, რომელიც ასეთი მძიმე მსხვერპლის გაღებით მოიპოვა კაცობრიობამ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ნიურნბერგში მოსამართლეებად უფრო ზოოვეტერინარებს, ფსიქიატრებსა და ნევროპათოლოგებს მოუხმობდნენ, ვიდრე იურისტებს. პირუტყვებსა და ცხოველებს კი, მოგეხსენებათ, არ ასამართლებენ, არც ასე გაშმაგებით ებრძვიან ბრიყვებსა და ხელმოცარულებს. შუა საუკუნეების მოთარეშე ბარბაროსების მორალის შესახებაც არ მსჯელობენ ამდენს. მართლმსაჯულება არც იკადრებს ნემეზიდას მახვილის აღმართვას პირუტყვებზე...“ (მ. კვესელავა, „ასერგასის დღე“).

**(გაგრძელება იქნება)**

**P.S. წინა პუბლიკაციის კვალდაკვალ: ნიურნბერგის პროცესზე მარტინ ბორმანის გასამართლება დაუსწრებლად მოხდა და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა ჩამოხრჩობით, რადგან არ იყო გარკვეული მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, ხოლო ადვოკატის მოთხოვნა, რომ ბორმანი მკვდარია და მკვდრის გასამართლება არ შეიძლება, სამხედრო ტრიბუნალის მიერ არ იქნა გაზიარებული.**



ნიურნბერგის პროცესი


## გამოვიდა II ტომი




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცხადია, რომ, აშშ-ის შეიარაღებული ძალების სრული ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, ეს ომი „იოლი გასეირნება“ არ იქნება. ამერიკელი ექსპერტების ვარაუდით, აშშ-ს დასჭირდება რეგიონში 300-400 ათასი სამხედროს კონცენტრირება; ომის პირველ სამ თვეში დაიღუპება 52 ათასიდან 80 ათასამდე ამერიკელი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ორად გახლეჩილი ამერიკელი საზოგადოება მზადაა, ასეთი მსხვერპლი გაიღოს. ერთადერთი სცენარი, რომელიც ამის ალბათობას შეამცირებს, ჩრდილოკორეელი გენერლებისა და პოლიტიკოსების კიმ ჩენ ინის წინააალმდეგ გაერთიანება და მისი გადაყენებაა.**

# დონალდ ტრამპი კორეულ ხაფანგში

**სიტუაცია ჩრდილოეთ კორეის გარშემო კვლავინდებურად დაძაბულია. ოფიციალური ფხენიანი აცხადებს, რომ გააგრძელებს ბირთვული შეიარაღებისა და ახალი რაკეტების გამოცდას, ანუ გააკეთებს სწორედ იმას, რის გამოც ვაშინგტონი იერიშით ემუქრება. ყველაზე საგანგაშო ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, რომ ორივე მხარე საკუთარი პიარის ტყვეობაში მოექცა.**

ვაშინგტონი მოწადინებულია, დაბლოკოს ჩრდილოეთ კორეის მიერ კონტინენტთაშორისი რაკეტის შექმნა, რომელიც ბირთვულ ქობინს აშშ-ის ტერიტორიამდე მიიტანს. მართალია, იმის ალბათობა, რომ ერთი ან რამდენიმე ახალი რაკეტა დანიშნულების ადგილამდე ჩააღწევს, ძალზე მცირეა, თუმცა ამერიკელებს არ სურთ, თეორიული შანსის არსებობაც კი დაუშვან.

კრიზისი რეგიონში, ომზე რომ არაფერი ვთქვათ, ნეგატიურ გავლენას ახდენს სამი ეკონომიკური გიგანტის – ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ეკონომიკაზე და ამით ირიბად ეხმარება დონალდ ტრამპს, მისი პროგრამის რეალიზება მოახდინოს და „ამერიკა დიადი გახადოს“. ეს „წაუგებელი თამაში“ იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება — ორივე მხარის ლიდერს სივრცე მანევრისთვის შეზღუდული აქვს, შესაბამისად, ომის ალბათობა ახლა გაცილებით დიდია, ვიდრე წინა წლებში იყო.

კიმ ჩენ ინისა და დონალდ ტრამპის ტაქტიკა მნიშვნელოვანწილად ბლეფს ეფუძნება, ხოლო მცირე უკანდახევაც კი ორივესთვის მარცხის ტოლფასია. 15 აპრილს დაძაბულობა მას შემდეგ განიმუხტა, რაც კორეული რაკეტა გამოცდის დროს აფეთქდა (ან თვინ კორელებმა ააფეთქეს). ამგვარად, გამოცდა, ერთი მხრივ, ნამდვილად ჩატარდა, მაგრამ, ამავე დროს, ჩაიშალა – ტრამპიც და კიმ ჩენ ინიც მოსახლეობის თვალში დამარცხებულად არ წარმოჩინდნენ. თუმცა ეს პიარ-თამაშები არ აუქმებს მთავარ პრობლემას — ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო პროგრამები გრძელდება, ხოლო ვაშინგტონს მათი შეჩერება სურს.

**პრობლემის გადაწყვეტა კიმ ჩენ ინის მთავარ პარტნიორს, ჩინეთს, შეუძლია, თუ დახმარებას მკვეთრად შეუზღუდავს, მაგრამ ოფიციალური პეკინი ცალსახა პოზიციის გამოხატვას ჯერჯერობით თავს არიდებს, შესაძლოა, იმიტომ, რომ არ სურს, ამერიკელებს სტრატეგიული მიზნების მიღწევაში დაეხმაროს.**

მართალია, ორი ექსცენტრიული ლიდერის უკან, მეტნაკლებად საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები და გენერლები დგანან, თუმცა იმის ალბათობა, რომ სწრაფი ესკალაცია, მსგავსი იმისა, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში ვიხილეთ, განმეორდება, საკმაოდ დიდია. ამერიკელებმა შეიძლება მართლაც მიიტანონ მასირებული სარაკეტო და საავიაციო იერიში ჩრდილოეთ კორეის ბირთვული და სარაკეტო პროგრამის საკვანძო ობიექტებზე, აეროდრომებსა და იმ ბაზებზე, რომლებზეც კონცენტრირებულია სარაკეტო დანადგარები. ექსპერტების ვარაუდით, საუბარი შეიძლება 500-დან 1500-მდე სამიზნეს ეხებოდეს (მაქსიმუმი ერთი დარტყმისთვის), მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ერთი ან რამდენიმე ასეთი იერიში ჩრდილოეთ კორეის შეტევით პოტენციალს ვერ გაანადგურებს.

კიმ ჩენ ინის მოკავშირე გეოგრაფიაა — სამხრეთ კორეის დედაქალაქი საზღვართან ახლოს მდებარეობს, მას ჩრდილოკორეელთა როგორც რეაქტიული, ისე „ჩვეულებრივი“ არტილერია „წვდება“. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეის არმიის შეიარაღება მოძველებულია, მან იმდენი საარტილერიო დანადგარი დააგროვა, რომ კონფლიქტის პირველ დღეებში მოწინააღმდეგე, ჰაერში სრული უპირატესობის მიუხედავად, მათ ნეიტრალიზებას ვერ შეძლებს. სეულსა და სეულის აგლომერაციაში 25 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. აშკარაა, რომ მსოფლიო ისტორიაში საარტილერიო ცეცხლის უპრეცედენტო მასირება ამ ტერიტორიას სრულ ჯოჯოხეთად გადააქცევს და, მიუხედავად იმისა, როგორ განვითარდება მოვლენები შემდეგ, ეს იქნება უმძიმესი დარტყმა სამხრეთ კორეის ეკონომიკისთვის. ამასთანავე, ჩრდილოკორეელები, სავარაუდოდ, სარაკეტო იერიშებს მოწინააღმდეგის საავიაციო ბაზებზე მიიტანენ და ხმელეთზე იერიშზე გადავლენ.

ბირთვული შეიარაღების გამოყენების სცენარი რომც არ განვიხილოთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩრდილოეთ კორეის არმიაში მილიონი სამხედროა, რეზერვში კიდევ — 4 მილიონი, ქვეყნის ძალთა სრული დაძაბვა 8 მილიონამდე ადამიანის მობილიზებას გულისხმობს. ამ უზარმაზარი ტალღის შეჩერება სრულმასშტაბიანი ომის პირველსავე დღეებში ამერიკელ სამხედროებს არარეალისტურად მიაჩნიათ. ჯერ კიდევ 90-იანების დასაწყისში აშშ-სამხრეთ კორეის გაერთიანებული სარდლობის ხელმძღვანელმა, გენერალმა ჰერი ლაკმა წარმოადგინა გეგმა (მისი ძირითადი იდეები დღესაც ძალაშია), რომლის თანახმად მოკავშირეები შეაკავებენ ჩრდილოელებს მანამ, სანამ აშშ-დან დამატებითი ძალების გადასროლა არ მოხდება. ლაკი არ აპირებდა ჩრდილოეთის უზარმაზარ არმიასთან პოზიციურ ბრძოლებში ჩაბმას და ნებისმიერ ფასად ფრონტის ხაზის შენარჩუნებას, ის ტერიტორიების ნაწილის დათმობასა და მანევრული ომის წარმოებას ფიქრობდა. გეგმა სამხრეთკორეელი გენერლების წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან ისინი დიდ იმედებს ამყარებდნენ თავდაცვით ზრუდეებზე და ჩრდილოელების ქვეყნის შუაგულში შეშვებას არ აპირებდნენ, რადგან ეს ეკონომიკის განადგურებას გამოიწვევდა. ამერიკული ჯარების მინიმალური რაოდენობა, რომელიც მოკავშირეებს ლაკის გეგმის თანახმად სჭირდებოდათ, რათა ომში გარდატეხა შეეტანათ, 6 დივიზია იყო.

**აშშ-ის „მძიმე“ (სატანკო ან მექანიზირებული) დივიზია გეგმის დამტკიცების პერიოდში 16 ათას სამხედროს ითვლიდა. ამასთანავე, 500-მდე „აბრამსსა“ და „ბრედლის“, მძიმე საინჟინრო ტექნიკის 36 ერთეულს, 54 155 მმ თვითმავალ ჰაუბიცას, 72 თვითმავალ ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო კომპლექსს, 50 საბრძოლო ვერთმფრენს, 12 ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას, აგრეთვე, უამრავ სხვა აღჭურვილობას. გავამრავლოთ ყოველივე ეს ექვსზე და ვნახავთ, რომ ასეთი დიდი ძალების გადასროლა საჰაერო ტრანსპორტით გონივრულ ვადებში შეუძლებელია.** იგულისხმებოდა, რომ ამ ძალების გაგზავნა კორეაში ზღვით მოხდებოდა, ხოლო სატრანსპორტო ავიაციას „მსუბუქი“ ბრიგადების გადასროლისთვის გამოიყენებდნენ (3,6 ათასი სამხედრო, 380 „სტრაიკერი“ და 12 ბუქსირებადი ჰაუბიცა). ისინი ომის საწყის ეტაპზე მობილური რეზერვის როლს შეასრულებენ, სანამ ძირითადი ძალები კორეაში ზღვით ჩააღწევენ.

ამერიკელები ლოჯისტიკაში, ტრადიციულად, ძლიერები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აშშ-დან აზიაში ზღვით ერთი „მძიმე“ დივიზიის გადასროლას (თავისი მოსამზადებელი პერიოდითა და ჩატვირთვა-გადმოტვირთვით) 1 თვე სჭირდება. გემების უზარმაზარი მასა სამხედროებისა და მძიმე ტექნიკის, მათთვის აუცილებელი საწვავისა და მასალების გადაზიდვას დაიწყებს. ექსპერტების ვარაუდით, ჩრდილოკორეელთა სუბმარინები (თუ აშშ-ის ავიამზიდ დაჯგუფებებზე სუიციდურ იერიშებს არ მიიტანენ) ომის პირველი თვის განმავლობაში სავაჭრო ტონაჟის 500 ათას ტონას ჩაძირავენ და ამდენივეს — მომდევნო ორ თვეში. მათი მთავარი პრობლემა ბაზებიდან შეუფერხებელი გასვლა და დაბრუნება იქნება, რადგან ჩრდილოეთ კორეას, დიდი ალბათობით, სრულ საზღვაო ბლოკადაში მოაქცევენ. მესამე თვის მიწურულს, ექსპერტების გათვლებით, ამერიკელები მოახერხებენ საკმარისი ძალების კონცენტრირებას, ხოლო ჩრდილოეთ კორეაზე ბლოკადითა და დაბომბვებით გამოწვეული საწვავის ნაკლებობა და სხვა დანაკარგები აისახება.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — **ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება ყოველთვის აცნობიერებდა, რომ მოწინააღმდეგეს ჰაერში სრული უპირატესობა ექნება და 50-იან წლებში, ომის დასრულებისთანავე, საფორტიფიკაციო ნაგებობების, ბუნკერებისა და სპეციალური გვირაბების მშენებლობის პროგრამის რეალიზებას შეუდგა. ათეულობით მეტრის სიღრმეზე გაიჭრა უამრავი გვირაბი, საკმარისად ფართო იმისთვის, რომ მათი მეშვეობით მსხვილი ქვედანაყოფები და ჯავშანტექნიკა გაადგილდებოდეს. სამოცწლიანი მუშაობის შედეგად ჩრდილოეთ კორეაში ასეთი მიწისქვეშა ობიექტების უზარმაზარი ქსელი შეიქმნა:** 8236 მიწისქვეშა ობიექტი და გვირაბების 547 კილომეტრი (ეს რაც ცნობილია). გასასვლელები ამ გვირაბებიდან, ხშირ შემთხვევაში, მთიანი რელიეფის შუაგულში, ავიაციისთვის „მკვდარ ზონებში“ მდებარეობს. **დაუზუსტებელი ინფორმაციით, მიწისქვეშა საცავებში 1,2 მილიონი ტონა სურსათი, 1,46 მილიონი ტონა საწვავი და 1,67 მილიონი ტონა ტყვია-წამალი ინახება. 180 ქარხნის საწარმო სიმძლავრეების ნაწილი ასევე მიწისქვეშ არის განლაგებული, მათ შორისაა 17 საარტილერიო, 5 სატანკო, 5 სარაკეტო ქარხანა. ექსპერტების შეფასებით, ამ ქარხნებს წელიწადში შეუძლიათ აწარმოონ 200 ათასი ავტომატი, 3000 ქვემეხი, 150 ტანკი, 400 ჯავშანტრანსპორტიორი** (შეფასებები რაკეტებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავდება).

ცხადია, რომ, აშშ-ის შეიარაღებული ძალების სრული ტექნიკური უპირატესობის მიუხედავად, ეს ომი „იოლი გასეირნება“ არ იქნება. ამერიკელი ექსპერტების ვარაუდით, აშშ-ს დასჭირდება რეგიონში 300-400 ათასი სამხედროს კონცენტრირება; ომის პირველ სამ თვეში დაიღუპება 52 ათასიდან 80 ათასამდე ამერიკელი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ორად გახლეჩილი ამერიკელი საზოგადოება მზადაა, ასეთი მსხვერპლი გაიღოს. ერთადერთი სცენარი, რომელიც ამის ალბათობას შეამცირებს, ჩრდილოკორეელი გენერლებისა და პოლიტიკოსების კიმ ჩენ ინის წინააალმდეგ გაერთიანება და მისი გადაყენებაა, თუმცა ძნელი სათქმელია, იმუშავებს თუ არა მოსყიდვის ტაქტიკა კორეაში ისევე ეფექტურად, როგორც თავის დროზე ერაყსა და ლიბიაში.

დონალდ ტრამპი საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია — მას არ შეუძლია უკან დაიხიოს, ხოლო შემდგომი ესკალაცია ძალზე სარისკოა. პეკინს, მოსკოვსა და ტრამპის მოწინააღმდეგეებს ვაშინგტონში შეუძლიათ, ამ სიტუაციით ისარგებლონ. **გელაპის გამოკითხვით, პრეზიდენტის პოსტზე დონალდ ტრამპის პირველ 100 დღეს დადებითად გამოკითხულთა მხოლოდ 41% აფასებს, რაც ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ბოლო 65 წლის განმავლობაში; კვინიპეკის უნივერსიტეტის მონაცემებით კი, დღეს მას მხარს ამომრჩეველთა 40% უჭერს. ეს აშკარად არ არის ის სიტუაცია, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტს შეუძლია დაუფიქრებელი აგრესიული პოლიტიკა გაატაროს.**



**დაუზუსტებელი ინფორმაციით, მიწისქვეშა საცავებში 1,2 მილიონი ტონა სურსათი, 1,46 მილიონი ტონა საწვავი და 1,67 მილიონი ტონა ტყვია-წამალი ინახება. 180 ქარხნის საწარმო სიმძლავრეების ნაწილი ასევე მიწისქვეშ არის განლაგებული, მათ შორისაა 17 საარტილერიო, 5 სატანკო, 5 სარაკეტო ქარხანა. ექსპერტების შეფასებით, ამ ქარხნებს წელიწადში შეუძლიათ აწარმოონ 200 ათასი ავტომატი, 3000 ქვემეხი, 150 ტანკი, 400 ჯავშანტრანსპორტიორი**



**ლუკა ნემსაძე**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ლორდი კრენბორნი

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგიერთი წარმომადგენელი შიშობდა, რომ ნაცისტებისთვის წაყენებული ბრალდება ჰოლოკოსტში და მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები გააფუჭებდა სამომავლო სავაჭრო ურთიერთობას აშშ-სა და გერმანიას შორის და დააზარალებდა ამერიკის ეკონომიკურ ინტერესებს ევროპაში. ძირითადი მიზეზი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ამერიკელი და ბრიტანელი პოლიტიკოსები, როცა გერმანელ ნაცისტებს მფარველობდნენ, იყო ის, რომ სამხედრო დამნაშავეების თუნდაც ნაწილს გამოიყენებდნენ გერმანიის ეკონომიკის აღსადგენად და კომუნიზმთან დასაპირისპირებლად.**

# «სტრატეგიული» მოკავშირეები ისე განირავენ საქართველოს, როგორც მეორე მსოფლიო ომში განირეს ებრაელი ხალხი

## გაეროს საიდუმლო დოკუმენტები: აშშ-მა და ბრიტანეთმა უკვე 1942 წელს იცოდნენ ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის შესახებ, მაგრამ არაფერი მოიმოქმედეს

**გაეროს არქივებში 70 წლის განმავლობაში მკაცრად საიდუმლოდ დაცული დოკუმენტები დღეს ხელმისაწვდომია. ამ დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებმა, რომლებიც დღეს ასე თავგამოდებით „ზრუნავენ“ ე.წ. დასავლური დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში (თუმცა, ყველასთვის ცნობილია, როგორი დემოკრატიული ფასეულობები დაამკვიდრეს ამ ქვეყნებმა არა მხოლოდ თავიანთ კოლონიებში, არამედ, მაგალითად, ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, ვიეტნამში, სირიაში და, რა თქმა უნდა, ფიქტიურად დამოუკიდებელ, ფაქტობრივად კი — მათივე კოლონია საქართველოში), მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე იცოდნენ, რომ გერმანელი ფაშისტები ებრაელთა მასობრივ განადგურებას აპირებდნენ, მაგრამ არაფერი მოიმოქმედეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცისტი სამხედრო დამნაშავეების დასჯა მათ ეკონომიკურ ინტერესებს დააზარალებდა.**



გაეროს მასალებიდან, რომლებიც თითქმის 70 წლის განმავლობაში საიდუმლოდ იყო შენახული, ჩანს, რომ მესამე რაიხის მოწინააღმდეგეებმა, კერძოდ, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა, იცოდნენ გერმანიაში ებრაელების მასობრივი განადგურების გეგმის შესახებ.

**გაეროს არქივებში გრიფით „მკაცრად საიდუმლოდ“ შენახული ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებმა უკვე 1942 წლის დეკემბერში იცოდნენ გერმანიაში 2 მილიონი ებრაელის საკონცენტრაციო ბანაკებში მასობრივად დახოცვისა და კიდევ 5 მილიონის განადგურების გეგმის შესახებ.** ადრე მიაჩნდათ, რომ **ადოლფ ჰიტლერის** დასავლელმა მოწინააღმდეგეებმა ჰოლოკოსტის მასშტაბის შესახებ 1945 წელს შეიტყვეს. მათ მასალების შეგროვება მესამე რაიხის წარმომადგენელთა წინააღმდეგ საბრალდებო დასკვნისთვის ომის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყეს, მაგრამ არაფერი გაუკეთებიათ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა გადასარჩენად. მაგალითად, 1943 წლის მარტში უინსტონ ჩერჩილის მეგობარმა, სახელმწიფო მინისტრმა დომინიონების საკითხებში, ლორდმა **კრენბორნმა** განაცხადა, რომ ბრიტანეთის იმპერია ისედაც გავსებულია ლტოლვილებით, ამიტომ მეტს ველარ მიიღებს და ებრაელები გამონაკლისნი არ უნდა იყვნენ.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორის — **დან ფლეშის** (ავტორი წიგნისა „ადამიანის უფლებები ჰიტლერის შემდეგ“) თქმით, ინფორმაცია კატასტროფის მასშტაბზე დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ლიდერებმა 1942 წლის დეკემბერში მიიღეს. სწორედ იმ პერიოდში განაცხადა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ენტონი იდენმა** პარლამენტში, რომ გერმანელები ახორციელებენ ჰიტლერის გეგმას ებრაელების განადგურების შესახებ.

სამხედრო დანაშაულების გაეროს კომისიაში (UNWCC) ამერიკის პრეზიდენტის წარმომადგენელმა **ჰერბერტ პელმა** კი, რომელსაც სურდა, ეს საკითხი დღის წესრიგში შეეტანა, ვერაფერი გააწყო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტისემიტ თანამშრომლებთან, რომლებმაც აიძულეს პელი, უარი ეთქვა ამ საკითხის წამოწევაზე.

როგორც პელმა აღიარა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ზოგიერთი წარმომადგენელი შიშობდა, რომ ნაცისტებისთვის წაყენებული ბრალდება ჰოლოკოსტში და მათ წინააღმდეგ მიღებული ზომები გააფუჭებდა სამომავლო სავაჭრო ურთიერთობას აშშ-სა და გერმანიას შორის და დააზარალებდა ამერიკის ეკონომიკურ ინტერესებს ევროპაში.

ძირითადი მიზეზი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ამერიკელი და ბრიტანელი პოლიტიკოსები, როცა გერმანელ ნაცისტებს მფარველობდნენ, იყო ის, რომ სამხედრო დამნაშავეების თუნდაც ნაწილს გამოიყენებდნენ გერმანიის ეკონომიკის აღსადგენად და კომუნიზმთან დასაპირისპირებლად.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ეს საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც პროფესორმა დენ ფლეშმა წიგნის დასაწერად გამოიყენა თითქმის 70 წლის განმავლობაში, მიუწვდომელი იყო მკვლევარებისთვის. მათ, ვისაც სურდა ამ დოკუმენტების ნახვა, უფლება უნდა მიეღო არა მხოლოდ თავისი ქვეყნის მთავრობისგან, არამედ გაეროს გენერალური მდივნისგანაც.

**აი ამ სახელმწიფოების — აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის — მითითებებს უსიტყვოდ ასრულებს დღეს საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ვერ გაუთვითცნობიერებია, რომ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“, თავიანთი ინტერესების გასატარებლად, სამსხვერპლოზე ისევე მიიტანენ ზვარაკად საქართველოს, როგორც ებრაელი ხალხი მიიტანეს მეორე მსოფლიო ომის წლებში.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ამერიკელმა პროფესორმა გააცამტვერა თეთრი სახლის მოხსენება სირიაში ქიმიური შეტევის შესახებ

**„თეთრი სახლი თავის მოხსენებაში სირიაში ქიმიური შეტევის შესახებ ისეთ „დილეტანტურ შეცდომებს“ უშვებს, რომ შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ: აშშ-ს არ აქვს მტკიცებულებები, რომ ამ ქიმიური შეტევის უკან დგანან სირიის სამთავრობო ძალები“, — აი ასეთი დასკვნა გამოიტანა საკუთარი ძალებით წარმოებული გამოძიების შემდეგ მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის საპატიო პროფესორმა თეოდორ პოსტოლმა.**



თეოდორ პოსტოლი

ამერიკელმა ექსპერტმა ფოტოებს, რომლებიც თეთრმა სახლმა წარმოადგინა, ფალსიფიცირებული უწოდა, თავის დასკვნაში კი მოიყვანა არგუმენტები, რომლებითაც ამტკიცებს მოვლენების მისეულ ვერსიას.

**„მთავარი სამხილი, რომელზეც აქცენტს აკეთებს თეთრი სახლი, სინამდვილეში მიუთითებს იმაზე, რომ შეტევა განხორციელდა მიწიდან“,** — დარწმუნებულია თეოდორ პოსტოლი. მისი აზრით, გამოქვეყნებულ ფოტოზე ჭურვი უმნიშვნელოდ არის დაზიანებული, რაც დამახასიათებელი არ არის სიმაღლიდან გადმოგდებული ჭურვისთვის. **„ასაფეთქებელმა ნივთიერებამ მილზე ისე იმოქმედა, როგორც ბლაგვი ჩაქუჩის დარტყმამ. ის აფეთქებამ მიწაში ჩამარხა და, ამასთანავე, წარმოქმნა კრატერი“,** — განმარტა ექსპერტმა. ის ამტკიცებს, რომ **ასაფეთქებელი ნივთიერება მიამაგრეს ზარინიან ჭურვს, რომელიც მიწიდან გაისროლეს. „შესაბამისად, — ასკვნის პროფესორი, — ტერაქტი მოაწყვეს „ბოევიკებმა“, რადგან ხან-შეიხუნს ისინი აკონტროლებენ“.**



## «მთავარი სამხილი, რომელზეც აქცენტს აკეთებს თეთრი სახლი, სინამდვილეში მიუთითებს იმაზე, რომ შეტევა განხორციელდა მიწიდან»

„არც ერთ კომპეტენტურ ანალიტიკოსს არ გამოეპარებოდა ის ფაქტი, რომ ზარინიანი კანისტრა ზევიდან რაღაცით იყო გაჭყლეტილი და არ იყო აფეთქებული შიგნიდან“, — ხაზი გაუსვა თეოდორ პოსტოლმა.

**„ყველა ეს დილეტანტური შეცდომა მოწმობს, რომ თეთრი სახლის მოხსენება, ისევე, როგორც უფრო ადრინდელი მოხსენება გუტის (დამასკოს გარეუბანი, რომელშიც 2013 წლის 21 აგვისტოს მოხდა ქიმიური იარაღით შეტევა მოსახლეობაზე — ლ. მ.) შესახებ, სპეცსამსახურებს არ შეუსწავლიათ. თუ დაზვერვაში მომუშავე ანალიტიკოსებს მიაწვდიდნენ ინფორმაციას თეთრი სახლის განცხადების თაობაზე, ისინი არ მოიწონებდნენ ამ დოკუმენტს“,** — ასკვნის ექსპერტი.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროატლანტიკური „თანამეგობრობის“ წარმომადგენლებს თავიანთი ხუშტურების შემსრულებელი რუსეთის მაგინებელი, ჯაბანი, ყოველგვარი სამარცხვინოს მკადრებელი საქართველო სჭირდებათ და არა გამთლიანებული, ძლიერი და ყველასგან დამოუკიდებელი ქვეყანა. ამიტომ ევლებიან თავს ნაციონალებს, დაკარგულ ტერიტორიებს თავის წილად ახალიც რომ მიუმატეს და უფრო გააღრმავეს ნაპრალი ქვეყნის გამთლიანების გზაზე.**

# მასხრად აგდებული დამოუკიდებლობა



## საქართველოს გამთლიანებას ევროატლანტიკურ «თანამეგობრობაზე» დიდი მტერი არ ჰყავს!



**„რუსთავი 2“ — ეს არის უცხოეთის მიერ საქართველოს სხეულში ჩანერგილი სიმსივნე, ხალხის მიერ გაპანღურებული „ნაციონალური მოძრაობის“ მეტასტაზი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სიტყვის თავისუფლებასთან, დემოკრატიისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების დაცვასთან, ამიტომ იცავენ ასე გააფთრებით მას დემოკრატიისა და სამართლიანობის ნიღაბაფარებული ევროპელი მწვრთნელები.**

რომ არა ნაციონალთა თავხედობა, აღვირახსნილი პარპაში, კაცთმოძულეობა, ყოველივე ქართულის მტრობა და საქართველოს დაქუცმაცების მცდელობა, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა, როგორც ვეტოქექია **მარგველაშვილი** ვერ ეღირსებოდა პრეზიდენტობას **ბიძინა ივანიშვილის** ძალისხმევის გარეშე, და არავის ეცოდინებოდა მისი „ფილოსოფიის“ შესახებ, რომ თურმე ქართველები ფიზიკურად იზრდებიან, მაგრამ გონებრივად ბავშვის დონეზე რჩებიან. მისი ტრაბახიც მდიდარ სექსზე სოფლის სალაყბოს შერჩებოდა სასაცილოდ და არა სრულიად საქართველოს. ამის შემდეგ რატომ უნდა გაგვიკვირდეს ტელევიზორის ეკრანიდან სასამართლოზე სხვის ზეწოლაზე ლაპარაკი, ამავე სასამართლოზე მისი ზეწოლა და მეუღლის „რუსთავი 2“-ის საპროტესტო აქციებზე სიარული? ხალხი კარგად ხვდება, ვინ ცეკვავს უცხოეთის დაკრულზე თავისი ეგოისტური მიზნების სასარგებლოდ, როგორ დააკნინეს ერთ დროს მთლიანი და ჯანმაგარი საქართველო, როგორ გაანახევრეს ქართველობა და უცხოელთა ხელისშემყურედ აქციეს.

უსმენ პოლიტიკოსად წოდებულ უამრავ გადაგვარებულ არსებას და უნებლიეთ შეგიჩნდება მწარე ფიქრი — **რა ძალამ მოწამლა ანტიეროვნულობის შხამით ასე, რომ სიკეთის, სიყვარულისა და მამულიშვილობის მარცვალიც არ დაუტოვა?**

ხელისუფლებაში ყოფნის სენით დაავადებულთა განკურნების მცდელობა საცრით წყლის ზიდვას ჰგავს. ასე რომ არ იყოს, ნაციონალები, თავიანთი ფიურერის თამადობით, ბნელში უნდა იმალებოდნენ მას შემდეგ, რაც მათ ისედაც მრავალტანჯულ საქართველოს უბედურება დამართეს, მაგრამ ეტყობა, ამგვარი სენით დაავადებულებს, უწინარესად, სინდისის ძარღვი უწყდებათ, თუ ოდესმე ჰქონდათ.

ტელეეკრანიდან კი გაკოტრებული პოლიტიკოსები დაუღალავად აფრქვევენ თავიანთ ინტერესებზე მორგებულ რეკომენდაციებს და მიმდინარე მოვლენებს თავიანთი გემოვნებით აფასებენ. ასეთების კოჰორტაში არიან ისინიც, „ქართული ოცნების“ კოალიციიდან გამოპანღურების შემდეგ ივანიშვილის ქება ძაგებით რომ შეცვალეს, და ისინიც, ვისაც ამ გობიდან წილი არ ერგო.

ვინც ყრუ არ არის, ესმის ხალხის უძლები შვილების მუხთლობასთან წილნაყარი გნიასი.

ვინც ბრმა არ არის, ხედავს ქართველი ერის საუბედუროდ საქართველოს შესეულ ევროატლანტიკურ სიგიჟეშეყრილთა აღვირახსნილ პარპაშს.

ნაციონალების გაპანღურებით შეშფოთებული უცხოელი მფარველები დემოკრატიისა და სამართლიანობის დაცვის საბაბით ყველაფერს კადრულობენ, მათ მიერვე სასაცილოდ ქცეული ნაციონალების მფარველობას.

საქართველოს დამოუკიდებლობა ბუტაფორიული რომ არის დღეს, მათაც კი არ შეეპარებათ ეჭვი, ცრუ ყბედობისას ენით ზურგს რომ იფხანენ.

საქართველოში ამერიკის ელჩის შეუზღუდავი პარპაშის ფონზე უცხოეთის ლაქია ნაციონალების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მუქარა, აღვირახსნილი ასო-ების აშკარა ქართველთმოძულეობა, ევროკავშირის მიერ საქართველოს საქმეებში ჩარევა დემოკრატიად და სამართლიანობად ინათლება და ავტორიტეტმორღვეული სახალხო დამცველის ყოველი გამოსვლა მწარე ღიმილით ამოგაკვნესებს: — **ვაი შენ, ამგვარი არსებების მიერ დასაცავო ხალხო და ქართულო სულიერებავ!**

მათხოვრისთვის ლუკმასავით მიგდებულ ე.წ. ვიზალიბერალიზაციას ევროპული ოჯახის წევრობად გვალანდებენ და ლამისაა სამოთხეში შებიჯებად მონათლონ. ისინი, ვინც ევროპაში ისედაც უპრობლემოდ დაბრძანდებოდნენ, ამ „ბედნიერების“ ხალხისთვის ჩუქებით ზეიმობენ, რომელსაც ვერ გაუგია, რა უხარიათ? ხალხს ევროპაში წასვლა კი არა, მეზობელ სოფელში გაუსაძლისი გაჭირვების უღელში მყოფი ნათესავი ვერ მოუნახულებია. ან როგორ უნდა დაიჯერონ, როცა ევროპული საპნის ბუშტების ფრიალში დნება ქართველობა და უცხოეთიდან წამოსული უზნეობის სიბინძურე მისი სპეტაკი ტრადიციების დასვრასა და ამაყი ერის შვილების მონებად გადაქცევას ცდილობს?!

უმუშევრობით სულშეხუთული ახალგაზრდობა თავშესაფარს საზღვარგარეთ ეძებს, ფუფუნებაზე გახელებულთა გაუმაძღრობა კი ღუპავს ქვეყანას ისე, როგორც დაღუპა ძველი რომი. სოფელი იცლება. იმის მაგიერ, რომ მიწის რეფორმით დაარეგულირონ სოფლის მეურნეობაში გამძვინვარებული ქაოსი, შექმნან მსხვილი საწარმოები და ხალხი სამშობლოში დაასაქმონ, ე.წ. ვიზალიბერალიზაციით ცდილობენ ისედაც განახევრებული ქვეყნის ენერგიით სავსე ახალგაზრდობისგან დაცლას. ხალხს ისე სჯერა „ვიზალიბერიზაციის“ სამოთხისა, როგორც ავღანეთიდან საქართველოს დაცვის ზღაპრის.

გონს მოდით! ხალხს მშვიდობა და უშფოთველი შემოქმედებითი შრომა ენატრება, რის გამოც ჯერჯერობით ითმენს ანტიეროვნული ჭიაღუის თავხედობას. მოთმინების ფიალა კი წვეთ-წვეთობით ივსება და ვაი მათ, ვის მიმართაც უსაზღვრო მოთმინება მრისხანე ანგარიშსწორებად იქცევა!

**გამათხოვრებული საქართველო საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს სამარცხვინოდ ჩამორჩება. ადრე ყველაზე მძლავრი, აყვავებული და წარმატებული რომ იყო, ახლა ევროპელობის დევნაში ბანანის რესპუბლიკის დონე მონატრებია. ევროკავშირშიც ქარავანს მიტმასნილი, გზააბნეულ გოშიასავით გვექცევიან, ქართველი პოლიტიკოსების ლაქუცზე ერთობიან და გოშიას საკადრებელს გვკადრებენ.**

ვითომ დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცხრავე მოსამართლის ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სტრასბურგის ერთმა მორიგე თუ მოსეირნე მოსამართლემ შეაჩერა, ასეთ თავხედობას ევროპის რომელიმე მიყრუებულ პროვინციას გაუბედავდნენ?

**ვინ ბედავს, რომ ეწოდებოდეს, თუნდაც ევროპელთაგან ასე მასხრად აგდებული ქვეყნის ხელისუფალი და სამშობლოს ამგვარი დამცირება აიტანოს?!**

ნუთუ თქვენში ერთი წვეთი აღარ დარჩა ღირსეული ქართველი მამულიშვილის სისხლი?!

ევროპა თურმე ჩვენი ოჯახი ყოფილა, — ასე გვმოძღვრავენ. დაიჯერებ თუ არა, სულაც არ ენაღვლებათ, მთავარია, რომ ევროატლანტიკურ აგენტურაში სანდოდ ჩაითვლებიან. **მეოთხედი საუკუნეა, საქართველოში ქართველთა გაჩანაგებას, ისტორიის ქარცეცხლში გამოტარებული ტრადიციების, ლიტერატურის, კულტურის და ეროვნული სიამაყის შებღალვას ცდილობენ, მახინჯი სექსუალური, ზნეობრივ-მორალური სიბინძურით ახალგაზრდობას სულიერად ამახინჯებენ.**

ეს არ არის დემოკრატიისა და სამართლიანობის დაცვის ჩვენთვის კარგად ცნობილი ევროატლანტიკური თვალთმაქცობა, ეს არის შეურაცხყოფა ქართველი ხალხისა, რომელიც, სიმცირის მიუხედავად, კაცობრიობის წინაშე დამსახურებით დიდი და მდიდარი ერია; ის ევროკავშირიდან თავხედურ დამცირებას არ იმსახურებს და არც შეეგუება!

ევროკავშირმა და სტრასბურგის სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შეჩერებით საბოლოოდ ჩამოიხსნეს დემოკრატიისა და სამართლიანობის დამცველის ისედაც დაფხრეწილი ნიღაბი.

**„რუსთავი 2“ ნაციონალების მიერ დაყაჩაღებული ტელევიზია რომ არის, ეჭვი არავის ეპარება. უკრაინაში გაქცეული, ძებნილი სააკაშვილი ამ ტელევიზიის ეთერიდან აფრენდა თავისი მუხთლობის ბარტყებს, ბოლოს კი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობით დამოძღვრა ბოროტი სულები. რომელი ხელისუფლება მოითმენდა მათ თავხედობას, კოჰაბიტაციის დამბლით შეპყრობილი „ქართული ოცნების“ გარდა?**

ახლა სასამართლო არჩევს ამ ტელევიზიის კერძო მფლობელების დავას. რა შუაშია აქ „ნაციონალური მოძრაობა“, გვარამია, ასო-ები თუ გაკოტრებული პოლიტიკოსები და პარტიები. „რუსთავი 2“-ის ეთერიდან ნაციონალები იმ ხალხის სახელით იმუქრებიან, რომელსაც ასე შეაძულეს თავი. ნაციონალების საპროტესტო აქციებისა და მოსამართლეთა დაშანტაჟების, „რუსთავი 2“-ის ეთერიდან მუქარისა და თავისუფალი სიტყვის დევნის ბრალდებების მიუხედავად, ვერ დააშინეს უზენაესი სასამართლო და, ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ისევ ჩაერთო სტრასბურგის „სამართალი“. მოხდა ის, რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის მასხრად აგდება ჰქვია, აი ევროკავშირის მოძალადეთა თვითნებობასთან საქართველოს საცოდავი ხელისუფლების მონური მორჩილება.

**სტრასბურგის სასამართლოს გარდა, ნაციონალების კიდევ ერთი კოზირი ამერიკის ელჩის თითის დაქნევა და საქართველოს დამოუკიდებლობის მითით ზოგიერთი გულუბრყვილოს გამოთაყვანებაა.**

**სტრასბურგის სასამართლო რომ არ ჰქონოდათ ევროატლანტიკური თვალთმაქცობის ოსტატებს, ნაციონალების მხარდაჭერის მიზნით შექმნიდნენ და საქართველოს უზენაეს სასამართლოს ცხრავე მოსამართლის ერთობლივ გადაწყვეტილებას ისე გააყალბებდნენ, როგორც ახლა გააყალბეს.**

ასე მოიგონეს ჰააგის ტრიბუნალი **სლობოდან მილოშევიჩისთვის**, თავისი ერის ერთგულება და სერბეთის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა დანაშაულად რომ ჩაუთვალეს მათ, ვინც ათასობით მშვიდობიანი სერბი გაჟლიტეს სიმართლის დამცველის მიეთმოეთით და ქვეყანა დაშალეს. ასე უქციეს სერბეთს ერთმორწმუნე რუსეთთან ისტორიული მეგობრობა უბედურებად. **ევროატლანტიკურ „თანამეგობრობის“ წარმომადგენლებს თავიანთი ხუშტურების შემსრულებელი, რუსეთის მაგინებელი, ჯაბანი, ყოველგვარი სამარცხვინოს მკადრებელი საქართველო სჭირდებათ და არა გამთლიანებული, ძლიერი და ყველასგან დამოუკიდებელი.** ამიტომ ევლებიან თავს ნაციონალებს, დაკარგულ ტერიტორიებს თავის წილად ახალიც რომ მიუმატეს და უფრო გააღრმავეს ნაპრალი ქვეყნის გამთლიანების გზაზე. საქართველოს გამთლიანებას ევროატლანტიკურ „თანამეგობრობაზე“ დიდი მტერი არ ჰყავს!

ახლა ფოთის პორტის ნატოსთვის დათმობაზე დაიწყო ლაპარაკი. ჭორია თუ სინამდვილე, ევროატლანტიკური ფსიქოზშეყრილებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. არც ის არის გასაკვირი, რომ ნატოს მიერ აწიოკებული ქვეყნების ლტოლვილებისგან შეწუხებული ევროპელები გამოსავალის ძებნაში საქართველოს მოადგნენ. გამოჩნდნენ კიდეც ეუთო-სა და გაეროში ლტოლვილების საქართველოში ჩასახლების მქადაგებლები, იმ ქვეყანაში, რომელსაც თავისი ლტოლვილებისთვის ვერ მოუვლია. ამას ვერ გაუბედავდნენ აზერბაიჯანს, ვერც სომხეთს, რადგან მათ პარლამენტს გასაოცარი ერთსულოვნებით არ მიუღია ლგბტ-კანონები. ევროკავშირიდან გარყვნილების, სექსუალური აღვირახსნილობისა და ერთნაირსქესიანთა სიბინძურის ხსენებაც კი ვერ ბედავს მათთან ცხვირის შეყოფას, საქართველო რომ ზნედაცემულობის ნავსაყუდელი ჰგონიათ.

გაპაპაჯორებული ნაციონალები კი ქვეყნის სასამართლო სისტემას დასცინიან და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სტრასბურგიდან აბუჩად აგდებით ემუქრებიან.

სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ამდენი ქადაგებისა და მოსამართლეთა შერჩევის განამაწიის შემდეგ მოსათმენია სტრასბურგიდან აშკარად ტენდენციური ჩარევა?!

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე ამგვარი კაპიტულაცია, ასე თავხედური, აშკარად ტენდენციური მოქმედების საპასუხოდ, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხის არაფრად ჩაგდება და მისთვის ზურგის შექცევაა. ეს რით მთავრდება, ნაციონალებს ჰკითხონ, სანამ ჯერ კიდევ არის დრო, თორემ მერე ძალიან გვიან იქნება, როცა ხალხი განაჩენს გამოიტანს.

**გივი სოხიშვილი**,
**მწერალი**

**აშშ-ში საშუალოდ 100 ათასი მამათმავლიდან 309 ათაშანგითაა დაავადებული. ჰეტეროსექსუალ მამაკაცთა შორის ეს მაჩვენებელი ყოველ 100 000-ზე მხოლოდ 29 შემთხვევაში დასტურდება; ქალებს შორის უფრო ნაკლებია — 1,8 ყოველ 100 000-ზე. მეცნიერ მედიკოსთა დაკვირვებით, სიფილისით დაავადებულთა 100 შემთხვევიდან 70-ში დასტურდება ვიჩ-ინფექცია.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## «ქალებისთვის», «კაცებისთვის» და ცალკე — «მესამე სქესისთვის»

**გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მაშინდელ უპირველეს გაზეთ „კომუნისტში“ გამოჩნდა ახალი რუბრიკა „რედაქტორის სვეტი“. არაფერი უცნაური და მოულოდნელი ამაში არ იყო. მკითხველმა საზოგადოებამ ეს რუბრიკა აღიქვა, როგორც ჩვეულებრივი საგაზეთო ფაქტი, სლენგს თუ ვიხმართ — გაატარა.**



მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მორიგ „სვეტს“ ისეთი რეაგირება მოჰყვა, როგორიც ცოტა მოგვიანებით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის დაწვამ გამოიწვია.

იფეთქა საზოგადოებრივმა აზრმა — ეს რა გვაკადრა „კომუნისტმაო!“

რა აკადრა?

„რედაქტორის სვეტმა“ წამოაყენა საზოგადოებრივი ტუალეტების პრობლემა: არ გვაქვს, მაგრამ, რაც არის, იქ არ შეისვლებაო, და, საერთოდ, ეს ყოფითი კულტურის მაჩვენებელიაო.

აღშფოთდა მკითხველი: ტუალეტებზე წერა რა გაზეთის საქმეაო! სხვა ნაკლი ვერაფერი ნახეს, ამაზე რომ იწყებენ ლაპარაკს?!

და ა.შ. და ა.შ.

მაშინდელი საზოგადოება ასეთი საკითხების გაზეთის ფურცლებზე გამოტანას ვერ იგუებდა, ვერ მიიღებდა, აზიზი იყო, პრეტენზიული, ვერ დაიბინძურებდა გონებას არაესთეტიკური თემატიკით.

ასეთი დრო იყო.

რას წარმოიდგენდა ამ სტრიქონების ავტორი, რომელიც მაშინ „მესვეტეების“ კრიტიკოსთა შორის იყო, რომ დიდი ხნის შემდეგ საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული გაზეთის — „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველს შესთავაზებდა რეპლიკას საზოგადოებრივი ტუალეტების შესახებ.

მართალია — ინდოეთში.

მართალია — მამათმავლობის პრობლემიდან გამომდინარე.

მაგრამ — მაინც!..

ინდოეთის მთავრობამ ახლახან ნება დართო ტრანსგენდერებს, ისარგებლონ ნებისმიერი საზოგადოებრივი ტუალეტით, რომელსაც აირჩევენ — გზა ხსნილია!

„მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, აირჩიონ, როგორი საზოგადოებრივი ტუალეტიც სურთ — ქალებისა თუ კაცების და იმით ისარგებლონ“, — ნათქვამია ინდოეთის სანიტარიის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

როგორ განხორციელდება რეალურ ცხოვრებაში ეს ნეოლიბერალური პრინციპი, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია. ვთქვათ, ტრანსგენდერმა კაცყოფილმა გადაწყვიტა ქალების ტუალეტით სარგებლობა და ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში იქ მყოფმა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს მის ანატომიურ აგებულებას, ხომ ატყდება ერთი დავიდარაბა და წივილ-კივილი?! ან მისულმა როგორ უნდა დაამტკიცოს, რომ ტრანსგენდერია, ან დამხდურებმა რატომ უნდა დაიჯერონ, რომ არატრადიციულ სექსუალურ სიმახინჯესთან აქვთ საქმე და არა მანიაკთან?!

**ორიგინალურად ესმით ინდოეთში სისუფთავის პრინციპი, რომლის განხორციელება ტრანსგენდერების გამოყენების გარეშე ვერ წარმოუდგენიათ. ამათ უნდა ასწავლონ თურმე ინდოეთის მრავალმილიონიან მოსახლეობას სანიტარული წესების დაცვა**



ტოლერანტული ტუალეტი

„კამასუტრაშიც“ კი არაფერი მსგავსი ტრანსგენდერობისა არც აღწერილია, არც — ნაჩვენები.

ეტყობა, ეს უხერხულობა გაითვალისწინა ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთის შტატ თამილ-ნადუს **ადგილობრივმა ხელისუფლებამ და გადაწყვიტა, რომ ტრანსგენდერებისთვის კომფორტული პირობების შესაქმნელად ააგონ დამატებითი საზოგადოებრივი ტუალეტები.**

მადრასის უმაღლესმა სასამართლომ კი დააზუსტა, რომ მთავრობამ უნდა ააშენოს უფრო მეტი საპირფარეშო არა „საერთო სარგებლობის“, არამედ მაინცდამაინც ტრანსგენდერებისთვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ წინასწარ უნდა შეიკრიბოს მონაცემები, „რათა მთავრობამ გადადგას საჭირო ნაბიჯები ექსკლუზიური საზოგადოებრივი ტუალეტების ასაშენებლად იქ, სადაც „მესამე სქესის“ ბევრი წარმომადგენელი ცხოვრობს“.

გააკეთილშობილეს გარყვნილება „ექსკლუზიური ტუალეტებისა“ და „მესამე სქესის“ ტერმინების გამოყენებით.

და, რაც მთავარია, სექსუალური ორიენტაციადაკარგულების მიმართ ასეთი ზრუნვა და გულჩვილი დამოკიდებულება ნაკარნახევი ყოფილა 2014 წელს დაწყებული მოძრაობით, რომელიც სამთავრობო პროგრამის ჩარჩოებში მიმდინარეობს და ეწოდება „სვაჩ ბჰარათ“ (სუფთა ინდოეთისთვის).

ორიგინალურად ესმით ინდოეთში სისუფთავის პრინციპი, რომლის განხორციელება ტრანსგენდერების გამოყენების გარეშე ვერ წარმოუდგენიათ. ამათ უნდა ასწავლონ თურმე ინდოეთის მრავალმილიონიან მოსახლეობას სანიტარული წესების დაცვა. ამ საქმიანობისთვის თავგადადებულ ტრანსგენდერებს ღირსეული ჯილდო ელოდება: მათი ძალისხმევა სათანადოდ დაფასდება, რაც დაეხმარება „გადალახონ საზოგადოებრიობისგან გაუცხოების პრობლემა... და ისარგებლონ საჭირო საპირფარეშოთი ზედმეტი პრობლემების გარეშე“, — ნათქვამია ინდოეთის სანიტარიის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ახალ წესებში.

როგორც ჩანს, აქამდე არსებული წესები მოსაქმების პრობლემებს უქმნიდა ტრანსგენდერებს.

ტფუ!

**საქართველოში რაო? — არც არაფერი: საზოგადოებრივი საპირფარეშოების დეფიციტის პირობებში ტუალეტების ფუნქცია ყოველგვარი დადგენილებისა და წინასაარჩევნო დაპირების გარეშე დაკისრებული აქვს მიწისქვეშა გადასასვლელებს, რაიც წარმატებით ხორციელდება.**

მკითხველებთან ბოდიშის მოხდით **არმაზ სანებლიძე**



## აშშ-ში ათაშანგით დაავადებულთა 82 პროცენტი გეებსა და ბისექსუალებზე მოდის

**აპრილში გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, დადგინდა, რომ აშშ-ში ათაშანგით (სიფილისით) დაავადებულთა 82 პროცენტი მამათმავლებზე მოდის.**

ქვეყნის სამხრეთში დაავადების პროცენტული მონაცემები გაცილებით მაღალია. მაგალითად, ჩრდილოეთ კაროლინაში 100 000 გეისა და ბისექსუალზე 748 შემთხვევაა დადასტურებული, ალიასკაში — 73.

აშშ-ში საშუალოდ 100 ათასი მამათმავლიდან 309 ათაშანგითაა დაავადებული.

ჰეტეროსექსუალ მამაკაცთა შორის ეს მაჩვენებელი ყოველ 100 000-ზე მხოლოდ 29 შემთხვევაში დასტურდება; ქალებს შორის უფრო ნაკლებია — 1,8 ყოველ 100 000-ზე.

მეცნიერ მედიკოსთა დაკვირვებით, სიფილისით დაავადებულთა 100 შემთხვევიდან 70-ში დასტურდება ვიჩ-ინფექცია.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღდგომის უქმე დღეებში ძალადობის მორიგი აფეთქების შედეგად ჩიკაგოს 34 მოქალაქე დაიჭრა. 23 ადამიანმა ნატყვიარი ჭრილობა მიიღო შაბათის საღამოდან კვირა დილამდე განვლილ შვიდსაათიან პერიოდში. ერთი ადამიანი დაიღუპა.**



The New Republic:

## დონალდ ტრამპი ახალ უმცროს ბუშად გამოგვეცხადა

**ამერიკის მედია მიესალმა ტრამპის საგარეო პოლიტიკის საომარ სულისკვეთებას. მოსწონს, რომ დონალდ ტრამპი თანდათან უმცროს ჯორჯ ბუშად ყალიბდება. სირიისა და ავღანეთის დაბომბვის შემდეგ ტრამპმა ექსპერტები აღაფრთოვანა თავისი „რაციონალური“ და „ტრადიციული“ ლიდერობით. Daily Beast-ის ჟურნალისტ კიმბერლი დოზიერის თქმით, ახალი „უფროსთა ღერძი“ თეთრ სახლში ისეთ ძალად იქცა, რომელიც პრეზიდენტ ტრამპს უბიძგებს ბუშისდროინდელი ადმინისტრაციის „ქორების“ პოზიციის თანხვედრი საგარეო პოლიტიკის განხორციელებისკენ.**

თავდაცვის მინისტრი **ჯეიმს მეტისი**, სახელმწიფო მდივანი **რექს ტილერსონი** და შინაგან საქმეთა მინისტრი **ჯონ კელი** „უსაფრთხო ზონებს“ უთმობენ კონსერვატორებს, რომელთაც თეთრი სახლის გუნდში სურთ მოხვედრა, ხაზს უსვამს დოზიერი და განაგრძობს, რომ ამ ყველაფრის ნაკლი წარმოგვიდგება ტრამპის ჭეშმარიტი ქომაგების მიმართ უთანხმოების სახით, არ ითვალისწინებს იმ უგნურ საგარეო პოლიტიკას, რომელიც აშშ-ს მსოფლიოში არსებულ ჩიხურ სიტუაციაში ითრევს.

ტრამპის საბრძოლო სულისკვეთების „გამობრწყინებას“ მოწონებით შეხვდა The Wall Street Journal-ის მიმომხილველი **ჯერალდ სეიბიც**, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოებისადმი ტრამპის ახალი მიდგომა „თითქმის მისაღებად“ მიიჩნია, ხოლო The Washingron Post-ის მიმომხილველმა **დევიდ იგნატიუსმა** აღნიშნა, რომ ტრამპი „ავტორიტეტულ“ ლიდერად იქცა საგარეო პოლიტიკის სფეროში.

„საარჩევნო კამპანიის პროკლამაციები ადგილს უთმობს ოვალური კაბინეტის გონივრულ მიდგომას. ამას არა მხოლოდ უნდა ველოდებოდეთ, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, უნდა მივესალმოთ“, — აღნიშნა The Post-ის ჟურნალისტმა **რუთ მარკუსმა**. ეს ქალბატონი მიესალმა ტრამპის საღ აზრს ნატოს მიმართ და მისი ბრძანებით სირიის დაბომბვას.




The American Thinker:

## ვლადიმერ პუტინი სამ სვლას წინასწარ გათვლის

**საქმე ეხება აშშ-ის ნავთობის ინფრასტრუქტურაზე რუსეთის კონტროლის დაწესების შესაძლებლობას.**

ვლადიმერ პუტინი და მისი გარემოცვა არიან მოჭადრაკეები, რომლებიც თამაშის დროს სამ სვლას წინასწარ გათვლიან ხოლმე.

**უგო ჩავესის** გარშემო ატეხილი ხმაურისა და მისი საზიზღარი მარქსისტული დიქტატურის გამო, რომელიც ახორციელებდა აშშ-ში გასაგზავნ ბენზინზე კონტროლს, „შავ ოქროზე“ ფასი დაეცა. ვენესუელის ნავთობკომპანის PdVSA-ს გამოელია ფული და, როგორც ჩანს, წლეულს ვერ გადაიხდის ვალებს და დეფოლტის წინაშე აღმოჩნდება. ვინ იკისრებს, გაერკვეს ყველა ამ პრობლემაში, გარდა „როსნეფტის“, რუსეთის ნავთობგიგანტის, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც ამერიკული სანქციების სიაშია ჩაწერილი?

ვენესუელის ნავთობკომპანიამ ფინანსური ვალის უზრუნველსაყოფად „როსნეფტს“ თავისი აქციების 49,9 პროცენტი დაუთმო. მაგრამ „პეტროლეოს დე ვენესუელას“ საფინანსო ვალდებულებების შესრულება უჭირს. რუსეთის კრედიტის გადაუხდელობის გამო წარმოქმნილი დეფოლტი „როსნეფტს“ კონტროლის უფლებას მისცემს. შესაძლებელია, რომ მან საკონტროლო პაკეტიც შეისყიდოს.

რუსეთს დიდი გამოცდილება აქვს ნავთობპოლიტიკის დარგში. იგი სხვა სტრატეგიულ ბერკეტსაც გამოიყენებს. ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ რუსეთის ჩაბმა სირიის პრობლემაში განპირობებულია ენერგეტიკულ მილგაყვანილობაზე კონტროლის შენარჩუნების სურვილით.

CNN სწორად შენიშნავს, რომ Citgo, რომელიც ვენესუელის ზემოთ დასახელებულ სახელმწიფო კომპანიას ეკუთვნის, ყოველდღიურად გადაამუშავებს 800 ათას ბარელს, რაც აშშ-ში მოხმარებული საწვავის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთმა ამერიკისთვის მისაწოდებელი ურანის მცირე მოცულობის შესყიდვით დიდ მასშტაბს მიაღწია, გამორიცხული არ არის, ამის მსგავსი რამ ნავთობთან დაკავშირებითაც მოხდეს. ასეც იქნება, თუ ჩვენ ძალიან სულელურად მოვიქცევით. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ პრეზიდენტი ტრამპი ამას არ დაუშვებს. ამასთან, ვინ იცის, როდის მოხდება დეფოლტი? შეიძლება, სულ სხვა ისტორია დაიწყოს.



The Daily Caller:

## აღდგომის დღესასწაული ჩიკაგოში თავისებურად აღნიშნეს

**აშშ-ის სიდიდით მესამე ქალაქ ჩიკაგოში ბანდიტიზმი ძველებურად დათარეშობს.**

აღდგომის უქმე დღეებში ძალადობის მორიგი აფეთქების შედეგად ჩიკაგოს 34 მოქალაქე დაიჭრა. 23 ადამიანმა ნატყვიარი ჭრილობა მიიღო შაბათის საღამოდან კვირა დილამდე განვლილ შვიდსაათიან პერიოდში. ერთი ადამიანი დაიღუპა. დაჭრილთა შორის არის 14 წლის ბიჭი, რომელსაც ორმა მამაკაცმა ესროლა.

უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში ჩიკაგო ძალადობით გამორჩეულ ქალაქებს შორის პირველობს. საახალწლო ზეიმის დროს ქალაქში 46 ადამიანი დაჭრეს, 5 — მოკლეს.

მარტინ ლუთერ კინგის დღის აღნიშვნისას 39 ადამიანი იქნა ჰოსპიტალიზებული, 10 გარდაიცვალა ნატყვიარი ჭრილობების გამო.



TACC:

## ტილერსონმა განაცხადა, რომ ბირთვული გარიგება ირანთან ჩავარდა

**ამ გარიგებამ ვერ განახორციელა თავისი ძირითადი მიზანი, ირანი ვერ გახდა ბირთვული იარაღის გარეშე სტატუსის მქონე ქვეყანა. „ეს გარიგება წარსული მიდგომის ჩავარდნის განსახიერებაა“, — განაცხადა ამერიკელმა დიპლომატმა.**

მისი აზრით, „თეირანის მიმართ განხორციელებულმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ უნდა გადაწყვიტოს ამ ქვეყნიდან მომდინარე ყველა მუქარა“. ამასთანავე, ტილერსონმა ირანს უწოდა მსოფლიო ტერორიზმის უპირველესი სპონსორი ქვეყანა, რომელიც განაგრძობს შეტევას ისრაელზე და აზიანებს აშშ-ის ინტერესებს სირიაში, იემენში, ერაყსა და ლიბანში.

სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არ გამორიცხა, რომ „მოუთოკავი ირანი“ შეიძლება კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გზით წავიდეს.

ბირთვული გარიგება ირანთან 2015 წლის ივლისში შედგა.

Ruposters-ის მიხედვით, აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** თებერვალში განაცხადა, რომ ირანი მადლობელი უნდა იყოს იმ „საშინელი გარიგებისთვის“, რომელიც მასთან ვაშინგტონმა დადო.

## იგორ დოდონი მიიჩნევს, რომ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან თანამშრომლობა „არ ეწინააღმდეგება ასოციაციის შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია მოლდოვასა და ევროკავშირს შორის“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



State:

# რიგგარეშე არჩევნები დიდ ბრიტანეთში შეიძლება კიდევ ერთი რეფერენდუმი გახდეს «ბრექსიტის» საკითხზე

**როცა შარშანდელ ივლისში ტერეზა მეიმ დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის თანამდებობა დაიკავა, მის პოლიტიკურ მომავალზე ვერავინ იტყოდა, — ბრწყინვალეაო. მან დაიკავა იმ ლიდერის ადგილი, რომელმაც პოპულარობა დაკარგა ევროკავშირში ინგლისის შენარჩუნების მცდელობის გამო.**

ცხრა თვის შემდეგ მეი ბევრად უფრო სოლიდურად გამოიყურება. ამის უპირველესი მიზეზი კი მისი გასაჯაროებული გადაწყვეტილებაა, რომლის მიხედვით, 8 ივნისს დიდ ბრიტანეთში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გაიმართება. ამ მოულოდნელმა ნაბიჯმა დაადასტურა, რომ შეიცვალა თავად მეის ადრინდელი პოზიცია რიგგარეშე არჩევნების ჩაუტარებლობის შესახებ. მისი პოლიტიკური ნაბიჯები გონიერებას მოკლებული არ არის. პარლამენტში კონსერვატორთა უმნიშვნელო უპირატესობა ნიშნავდა, რომ იგი გავლენას განიცდიდა თავისი პარტიის მხრიდან „ბრექსიტთან“ დაკავშირებით, აგრეთვე, შიდა კანონმდებლობის წინააღმდეგობრიობის გამოც. **იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტს ექნება ვეტოს გამოყენების უფლება გარიგებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც დარტყმას მიაყენებდა ბრიუსელს, უფრო მნიშვნელოვანი საპარლამენტო უმრავლესობა განამტკიცებს მეის პოზიციას „ბრექსიტის“ პირობების შესახებ მოლაპარაკების დროს.**

მართალია, მეი ქვეყანაში ყველაზე უფრო პოპულარული პოლიტიკოსია, მაგრამ რიგგარეშე არჩევნების მოწყობის შესახებ მისი ინიციატივა სარისკოა, რადგან მისი შედეგების წინასწარი გათვლა სულ უფრო შეუძლებელი ხდება, რადგან ირღვევა ელექტორატის პარტიებისადმი ერთგულების ტრადიციული ფონი. სულ უფრო პოპულარული ხდება ისეთი პოპულისტური მოძრაობები, როგორებიცაა გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებელი პარტია და შოტლანდიის ეროვნული პარტია.

მეის სტრატეგიას, რომელიც მიმართულია მძლავრი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, აზრი აქვს, მაგრამ წარმატება შეიძლება საეჭვო გახდეს. თუ არჩევნების შედეგად იგი დათმობს პოზიციას ან დამარცხდება, შეიცვლება კიდეც მთავრობის მიდგომა ევროპასთან მოლაპარაკების პროცესში.

Le Figaro:

# ყირიმი რუსეთის ისტორიული ტერიტორიაა



**„უაზრობაა გაჯიუტება და ლაპარაკი იმაზე, რომ რუსეთი ყირიმიდან უნდა წავიდეს, ეს არასოდეს მოხდება“, — განაცხადა გაზეთ „ფიგაროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ყოფილმა კანდიდატმა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე — ფრანსუა ფიიონმა.**

იგი დარწმუნებულია, რომ ყირიმის საკითხის განხილვისას აუცილებელია ორი ფუნდამენტური და ურთიერთგამომრიცხავი პრინციპის გათვალისწინება: „ვერავინ უარყოფს, რომ ყირიმი რუსულია ისტორიული, კულტურული და ლინგვისტური თვალსაზრისით“.

რუსეთთან ურთიერთობის პრობლემის განხილვისას პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო დებატების დროს წამოიჭრა საკითხი ყირიმის ბედის თაობაზე. სწორედ მაშინ გამოიყენა ფრანსუა ფიიონმა არგუმენტი ერების თვითგამორკვევის შესახებ. მან ეს გააკეთა რუსეთისადმი მხარდაჭერის მიზნით. გაიხსენა კოსოვოს ფაქტი, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დასავლეთმა სერბეთის ნების საწინააღმდეგოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს ყოფილი იუგოსლავიის ეს ოლქი. „არსებობს ფუნდამენტური პრინციპი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ხალხის უფლება, დამოუკიდებლად განაგოს თავისი ბედ-იღბალი“, — განაცხადა მაშინ ფიიონმა.

ყირიმი რუსეთს დაუბრუნდა 2014 წლის მარტში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე. მაშინ ყირიმელების 96,77 პროცენტმა და სევასტოპოლში მცხოვრები ამომრჩევლების 95,6 პროცენტმა ხმა მისცეს რუსეთთან შეერთებას.

РИА Новости:

# მოლდოვა ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს შეუერთდა დამკვირვებლის სტატუსით



**ეს მოხდა ამ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბიშკეკში გამართული სხდომის დროს — 2017 წლის 14 აპრილს. მოლდოვის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა ამ დღეს ისტორიული უწოდა.**

ეს ქვეყანა გახდა პირველი, რომელსაც დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა.

ეს არ ნიშნავს, რომ მოლდოვა ამ კავშირის წევრი ქვეყანა გახდა. დოდონმა აღნიშნა, რომ ამიერიდან უფრო მეტს შეიტყობენ ორგანიზაციის მუშაობის პრინციპების შესახებ და ახალ შესაძლებლობებს მისცემს მათ ეკონომიკურ აგენტებს. იგი მიიჩნევს, რომ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან თანამშრომლობა „არ ეწინააღმდეგება ასოციაციის შეთანხმებას, რომელიც ხელმოწერილია მოლდოვასა და ევროკავშირს შორის“. „მოლდოვას შეუძლია, ერთდროულად იმეგობროს დასავლეთთანაც და აღმოსავლეთთანაც, დაიცვას და განამტკიცოს თავისი ნეიტრალიტეტი და სახელმწიფოებრიობა“.

Fortune:

# ამერიკელმა მოქალაქემ მიყურადებისთვის სასამართლოში უჩივლა კომპანიას



**ჩიკაგოში მცხოვრებმა კაილ ზაკმა უჩივლა „ბოშის“ კომპანიას იმის გამო, რომ მწარმოებელი ყურსასმენების მეშვეობით აგროვებს ინფორმაციას კლიენტების შესახებ, მათი ნებართვის გარეშე.**

ზაკის აზრით, კომპანია აგროვებს ინფორმაციას აუდიოჩანაწერებზე, რომლებსაც ისმენენ უსადენო ყურსასმენების მომხმარებლები. მწარმოებელი ქმნის დოსიეებს კლიენტების შესახებ და ამ დოკუმენტებს სხვა კომპანიებს გადასცემს.

„მავანის აუდიოჩანაწერების ნაკრები, მათ შორის მუსიკა, რადიოგადაცემები, ლექციები, შეიცავს დიდი მოცულობის ინფორმაციას ამა თუ იმ პიროვნების პოლიტიკური შეხედულებების, ქცევისა და თვითაღქმის შესახებ“, — ნათქვამია სარჩელში.

ამერიკელი ბრალს დებს გაჯეტების მწარმოებელს პირადი ცხოვრების შესახებ კანონის დარღვევაში და ითხოვს კომპენსაციას 5 მილიონზე მეტი დოლარის ოდენობით.

ამ ინციდენტზე კომპანიას კომენტარი არ გაუკეთებია.

CBS:

# ისლამური სახელმწიფოს მოთარეშეებმა ერაყში აშშ-ის მებრძოლების წინააღმდეგ იპრიტი გამოიყენეს



**ტელეარხის მონაცემებით, ინციდენტი 17 აპრილს მოხდა. სამედიცინო დახმარება 25 ერაყელს დასჭირდა. ამერიკელი და ავსტრალიელი ინსტრუქტორები არ დაშავებულან.**

ბრიგადის გენერალმა **იაჰია რასულმა** „ასოშიაიტედ პრესთან“ საუბრისას დააზუსტა, რომ ექვსი ჯარისკაცი მოათავსეს საველე ჰოსპიტალში სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემებით.

მიმდინარეობს გამოძიება გამოყენებული გაზის ტიპის დასაზუსტებლად. ამერიკელი სამხედროები აღჭურვეს ქიმიური დაცვის საშუალებებით ამგვარი თავდასხმის შემთხვევაში გამოსაყენებლად.

ეს მოთარეშეების მეორე ქიმიური შეტევაა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში. ამ შემთხვევამდე ერთი დღით ადრე, ერაყელი ოფიცრის განცხადებით, მოთარეშეებმა მომწამლავი ნივთიერებიანი ყუმბარა მოსულის დასავლეთ ნაწილში ააფეთქეს. დაუდასტურებელი მონაცემებით, ლაპარაკია ქლორზე.

პენტაგონი იტყობინებოდა, რომ მოთარეშეები მომწამვლელ გაზს — იპრიტს მოსულის უნივერსიტეტში ამზადებდნენ.

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

მოზაიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კალენჯინის ტომის ჩვეულებრივი მოზარდი რამდენიმეთვიანი რეგულარული ვარჯიშის შემდეგ თავისუფლად ჯაბნიდა ევროპელ პროფესიონალებს დიდ დისტანციაზე სირბილში. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კენიელების უპირატესობა გენეტიკურია.**

# რატომ არიან კენიელი მორბენლები ყველაზე სწრაფნი?




**როგორც ცნობილია, სტატისტიკამ იცის ყველაფერი. არც სპორტული სტატისტიკაა გამონაკლისი. მაგალითად, ზუსტი ციფრების მოყვარულებმა დაითვალეს, რომ 2010 წელს ჩვენს პლანეტაზე ჩატარდა 156 საერთაშორისო მარათონი სირბილში და მათგან 126-ში კენიელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის — გამარჯვებულთა უმრავლესობა კალენჯინის ტომის წარმომადგენელია. ამ ხალხის საერთო რაოდენობა 3,5 მილიონს აღწევს, ხოლო მათი მთავარი საქმიანობა მეცხოველეობაა.**

რაში მდგომარეობს მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ხალხის საიდუმლო?

მეცნიერები მონდომებით ცდილობენ მათი სისწრაფის საიდუმლოს ამოხსნას. ერთნი მიიჩნევენ, რომ ამის მიზეზი მათი სხეულის აღნაგობაა; სხვები კი თვლიან, რომ ეს მათი ცხოვრების წესის დამსახურებაა — მეცხოველეობის სფეროში საქმიანობის გამო მათ ბევრი მოძრაობა უწევთ. დროდადრო მწყემსები ათობით კილომეტრს ფეხით გადიან. დიეტოლოგები კი უფრო შორს წავიდნენ. მათ ამ საიდუმლოს გასაღების ძებნა მათ საკვებში დაიწყეს.




მაგრამ მორბენლები აცხადებენ, რომ არანაირ სპეციალურ დიეტას ისინი არ იცავენ — ჭამენ, როცა მოშივდებათ, მათი ძირითადი კერძი კი არის სიმინდის ფაფა — **უგალი**.

კიდევ ერთი თეორიის თანახმად, კენიელი მორბენლების ორგანიზმში მეტია ჟანგბადი, ვიდრე ჩვენი პლანეტის საშუალო სტატიკური მცხოვრების ორგანიზმში. კალენჯინის ტომი ცხოვრობს მთიან ადგილას, რომლის საშუალო სიმაღლე 2 ათას მეტრამდეა ზღვის დონიდან. აქ ჰაერი მდიდარია ჟანგბადით და სწორედ ეს განაპირობებს აქაური მორბენლების უპირატესობას სხვებზე.

ერთი სიტყვით, სკეპტიკოსები ამ მოსაზრებას არ იზიარებენ, რადგან კენია არ არის ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანა მსოფლიოში.

XX საუკუნის ბოლოს კენიელი მორბენლები სერიოზულად გამოიკვლიეს კოპენჰაგენის სამეცნიერო ცენტრში. სკანდინავიელი სპორტსმენებიც შედიოდნენ მსოფლიოს საუკეთესო მარათონელთა რიცხვში, მაგრამ კენიელებს ვერ შეედრებოდნენ. კალენჯინის ტომის ჩვეულებრივი მოზარდი რამდენიმეთვიანი რეგულარული ვარჯიშის შემდეგ თავისუფლად ჯაბნიდა ევროპელ პროფესიონალებს დიდ დისტანციაზე სირბილში.

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კენიელების უპირატესობა გენეტიკურია. კერძოდ, ფეხების აღნაგობის წყალობით სირბილისას ისინი სხვებზე ნაკლებ ენერგიას ხარჯავენ.

ასეა თუ ისე, საერთო თვალსაზრისი მეცნიერებმა მაინც ვერ ჩამოაყალიბეს, მაგრამ ეს სულაც არ ანაღვლებთ კენიელებს, არც იმაზე ფიქრით იმტვრევენ თავს, გრძელ დისტანციაზე მოგების ლომის წილი ყოველთვის მათზე რატომ მოდის.

# მსახიობმა ჯეკი ჩანმა 3 ათასი ტრავმა მიიღო



**ნებისმიერი სადაზღვევო კომპანია, რომელიც გარისკავდა ცნობილი მსახიობის — ჯეკი ჩანის დაზღვევას, ახლა კარგა ხნის გაკოტრებული იქნებოდა. ეს არც არის გასაკვირი — თავისი კარიერის განმავლობაში მან 3 ათასამდე ტრავმა მიიღო. აქ ყველას, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით, ამიტომ შევჩერდებით მხოლოდ რამდენიმეზე.**

*პირველი ტრავმა გადასაღებ მოედანზე 19 წლის დამწყებმა მსახიობმა 1973 წელს მიიღო, როცა თვით ბრიუს ლისგან მაგრად მოხვდა.

ფილმში „ურჩხულის გამოსვლა“, რომელშიც ჯეკი ჩანი მიწისქვეშეთის მცველის ეპიზოდურ როლს ასრულებს და ტიტრებშიაც კი არ არის მოხსენიებული, ბრიუსმა ახალგაზრდა პარტნიორს შემთხვევით თვალში მოარტყა ხის ჯოხი. საბედნიეროდ, ჯეკი ჩანი დაბრმავებას გადაურჩა.

*** 1978 წელი. ფილმი „გველი არწივის ჩრდილში“. დადგმულ ბრძოლაში ჯეკიმ ხელი დაავლო ხმალს. იარაღი ბუტაფორული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რატომღაც ნამდვილი აღმოჩნდა. იფეთქა სისხლმა, რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ სცენარის მიხედვით ასე უნდა ყოფილიყო და გადაღება გააგრძელა.**

* იმავე 1978 წელს მიმდინარეობდა ფილმ „მთვრალი ოსტატის“ გადაღება. ჯეკი ცუდად დაეცა და თვალი დაიზიანა. ოპერაციის გაკეთებაც კი დასჭირდა.

*** 1983 წელი. „პროექტი A“. 8 მ სიმაღლიდან ვარდნა დასრულდა 5 ნეკნის მოტეხვით, ცხვირისა და კისრის მძიმე ტრავმით. რამდენიმე თვის განმავლობაში მსახიობს თავის მობრუნებაც კი არ შეეძლო.**

* 1985 წელი. „პოლიციის აკადემია“. 5 სართულის სიმაღლის ბოძით წარუმატებელი დაშვება. ჯეკი ჩანი ლამის სიცოცხლეს დაემშვიდობა: მოიტეხა 2 მალა, დაუზიანდა მენჯი. კასკადიორმა 2 თვე საავადმყოფოში გაატარა. ბევრი



ვარაუდობდა, რომ დარჩენილ ცხოვრებას ჯეკი ინვალიდის სავარძელში გაატარებდა.

*** 1986 წელი. „ღმერთის აბჯარი“. ამ ფილმის გადაღებისას ჩანმა თავისი კარიერის განმავლობაში ყველაზე მძიმე ტრავმები მიიღო. ის 6 მეტრის სიმაღლიდან თავდაყირა ჩამოვარდა. ვარდნის შედეგი: თავის ქალაზე ბზარი და შინაგანი სისხლდენა. თავში ჩაუკერეს ფირფიტა, ხოლო მარცხენა ყურში მას შემდეგ მსახიობს, ფაქრობრივად, არ ესმის.**

* 1993 წელი. „კრიმინალური ისტორია“. ჯეკი ორ ავტომობილს შორის იჭყლიტება. ტრიუკი ტრაგიკულად დამთავრდა: ორივე ფეხის მოტეხილობა და სამი თვე საავადმყოფოში. მაგრამ საავადმყოფოდან გამოსული ჯეკი მორალურად არ დაეცა, მან ეს ტრიუკი წარმატებით გაიმეორა.

*** 1995 წელს, როცა იღებდნენ ფილმს „გარჩევა ბრონკსში“, ჩანმა მარცხენა ფეხის ტერფი და თითები მოიტეხა. იძულებული გახდნენ, ფილმის გადაღება შეეჩერებინათ, მაგრამ დიდი ხნით არა. გამოსავალი იპოვეს: თაბაშირში ჩასმულ ფეხზე მსახიობს აცმევდნენ წინდას, რომელსაც ახატავდნენ ფეხსაცმელს (ვითომ ფეხზე ეცვა).**

* 2005 წელი. ფილმი „მითი“. აქ ჯეკი ჩანს რამდენიმეჯერ არ გაუმართლა: ის ცხენიდან ვარდებოდა, შედეგად სერიოზულად დაიზიანა ზურგი. ერთ-ერთ ეპიზოდში კი მსახიობს, უბრალოდ, შუბით გაუხვრიტეს ხელის მტევანი.

აი ეს მოკრძალებული სიაც საკმარისია იმის გასაგებად, რომ მსახიობის სიცოცხლე ხშირად ბეწვზე კიდია.

მაგრამ ჯეკი ჩანი ფარხმალს არ ყრის და 63 წლისაც კი ძველებურად მწყობრში დგას. კინოში კარიერის გარდა, საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა, ის მომღერალიცაა, 1980-იანი წლებიდან უშვებს დისკებს თავისი სიმღერების ჩანაწერებით.

# აუზი გამჭვირვალე ფსკერით 150 მ სიმაღლეზე







**ჰიუსტონში ცათამბჯენ Market Square Tower-ის სახურავზე მოაწყვეს აუზი „გაბედულთათვის“.**

უჩვეულო კონსტრუქცია გაკეთებულია ორგანული მინისგან და 150 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მისი აბსოლუტურად გამჭვირვალე ფსკერი, რომლის სისქე 20 სანტიმეტრია, საშუალებას აძლევს მობანავეებს, ქვემოთ მიწა დაინახონ.

ფოტოსურათების მიხედვით ჩანს, რომ საკუთარი ნერვების გამოცდის მსურველები საკმარისზე მეტი აღმოჩნდნენ.

ამჟამად ეს მუხლუხები წელიწადში ხელმისაწვდომია მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ ის იმდენად ბევრ ცილასა და მიკროელემენტს შეიცავს (როგორიცაა რკინა და თუთია), რომ შეუძლია შეუტიოს „ფარულ შიმშილს“ (როგორც ზოგჯერ უწოდებენ ორგანიზმში მიკროელემენტების დეფიციტს) და შეცვალოს ყველაზე ღარიბი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, მდგომარეობა დასავლეთ აფრიკაში.

მოზაიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ინდოეთში გოგონა-მაუგლი იპოვეს, რომელიც მაიმუნებთან ცხოვრობდა





**იანვარში მაშველებმა ინდოეთის ჩრდილოეთში, ტყეში 10-12 წლის ველური გოგონა იპოვეს.** ის ცხოველივით იქცეოდა: დადიოდა ოთხზე, ტანთ არ ეცვა, ჭამდა იატაკიდან. მან არც ლაპარაკი იცოდა. როცა მაშველებს გოგონა ტყიდან მოჰყავდათ, მათ თავს დაესხა მაიმუნების ჯოგი, რომელიც ცდილობდა გოგონას „გადარჩენას“. ამჟამად გოგონა საავადმყოფოშია მოთავსებული, პოლიცია კი ცდილობს, გაარკვიოს ვინ არიან მისი მშობლები და როგორ აღმოჩნდა ის ტყეში სრულიად მარტო.



# აფრიკელ ოთხფეხა გოგონას ოპერაცია აშშ-ში გაუკეთეს

**გოგონა მძიმე ანომალიით დაიბადა — მას ოთხი ფეხი ჰქონდა და ხერხემლის ზედმეტი მალა. ამ უბედური ბავშვის შესახებ აშშ-ის ილინოისის შტატის კოტ-დივუარის საავადმყოფომ სოციალური ქსელიდან შეიტყო და დახმარების ხელი გაუწოდა.**



გოგონა, სახელად დომინიკი, ბავშვთა საავადმყოფოში მოათავსეს და ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს.

ერთი პატარა პაციენტის მკურნალობაში მონაწილეობდა კლინიკის 50-ზე მეტი თანამშრომელი. ახლა ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რომ 10 თვის დომონიკს სულ ცოტა ხნის წინათ არ შეეძლო დაჯდომა, ხელის აწევა და სათამაშოების დაჭერა.

სრული გამოჯანმრთელების შემდეგ ის დასავლეთ აფრიკაში თავის ოჯახს დაუბრუნდება.

# მუხლუხის ფერმები: მომავლის საკვები?





**ადამიანთა უმრავლესობისთვის იდეა — დაღეჭოს მუხლუხი ან შეახრამუნოს ტარანტულა, რბილად რომ ვთქვათ, მიმზიდველი ნამდვილად არ იქნება. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოს დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი რეგულარულად იყენებს საკვებად ცხოველებს და რატომ არ შეიძლება მწერებიც იყოს საკვების სერიოზული წყარო?!**



ამ საკითხით დაინტერესებული მეცნიერები გაემგზავრნენ დასავლეთ აფრიკაში, ბურკინ-ფასოში, სადაც მუხლუხის წვნიანს ადგილობრივთა რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იქ ბავშვების 30 პროცენტზე მეტი განიცდის ქრონიკულ შიმშილს, ხოლო 2,7 მილიონი ადამიანი სურსათის ნაკლებობის საფრთხის ქვეშაა.

**შარლოტა პეინმა** — კემბრიჯის უნივერსიტეტის ასპირანტმა, რომელიც ამჟამად მუშაობს მუხლუხის სასიცოცხლო ციკლის კვლევაზე, ბი-ბი-სისთან ინტერვიუში განაცხადა: **„მუხლუხის წვნიანი დაეხმარება ადამიანებს, ამოვიდნენ გაჭირვებიდან“.** მეცნიერს აქვს საკუთარი ფერმა ბურკინ-ფასოს დასავლეთში, სოფელ **სუმუსოში**.

ამჟამად ეს მუხლუხები წელიწადში ხელმისაწვდომია მხოლოდ რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ ის იმდენად ბევრ ცილასა და მიკროელემენტს შეიცავს (როგორიცაა რკინა და თუთია), რომ შეუძლია შეუტიოს „ფარულ შიმშილს“ (როგორც ზოგჯერ უწოდებენ ორგანიზმში მიკროელემენტების დეფიციტს) და შეცვალოს ყველაზე ღარიბი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, მდგომარეობა დასავლეთ აფრიკაში.

# რუსმა მეცნიერებმა შექმნეს ნანომასალა, რომელიც კარიესის პრობლემას გადაჭრის



გიორგი ფროლოვი, კარიესის საწინააღმდეგო ბჟენის შემქმნელი

**რუსეთში შეიქმნა განსაკუთრებული ანტიბაქტერიული ნანომასალა, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება სტომატოლოგიაში საბჟენი მასალებისა და პასტების დასამზადებლად პირის ღრუს დაავადებათა განვითარების აღსაკვეთად.**

მეცნიერებმა შეისწავლეს ნანონაწილაკები, რომლებიც შედგება **ტიტანის ოქსიდების, რკინისა** და **თუთიისგან.** ექსპერიმენტების მსვლელობისას გაირკვა, რომ ეს ნაწილაკები, უმცირესი კონცენტრაციის შემთხვევაშიც კი, კლავს ბაქტერიებს და მოქმედებს, როგორც ანტიბიოტიკები.

ასეთი ნანონაწილაკების სტომატოლოგიურ მასალაში დამატება გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას (რომელსაც აწყდება სტომატოლოგიური კაბინეტების ყველა სტუმარი) — გამოხრული კბილიდან საბჟენი მასალის ამოვარდნას და კარიესის განვითარებას. ეს ხდება იმის გამო, რომ საბჟენი მასალის კიდეებზე დროთა განმავლობაში ჩნდება მიკრობზარი, რომელშიც აქტიურად მრავლდება მიკროორგანიზმები. **საბჟენ მასალაში ნანონაწილაკების დამატებით დაცული იქნება ბჟენის კიდეები მიკრობებისგან. ეს კი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრის ამ პრობლემას.** როგორც პროექტის მონაწილე ერთ-ერთი სპეციალისტი **იაკობ კარასენკო** ამტკიცებს, „ეს არის, პარქტიკულად, ტექნიკური რევოლუცია სტომატოლოგიაში. ანტიბაქტერიული დანამატის გამოყენება შეიძლება არამხოლოდ ბჟენის შემადგენლობაში, არამედ სხვა სტომატოლოგიურ მასალებშიც იმპლანტანტების ვადის გახანგრძლივების მიზნით. ჩვენს კლინიკაში იმპლატანტი უკვე წარმატებით გამოიყენება“.

# ნაპოვნმა მსოფლიო განაცვიფრა



**ინგლისში, იოკშირის საგრაფოს მინდვრებში მორიგი უცნაური მოვლენის მხილველი ადამიანები შოკში არიან. ფერმერემი თვალებს არ უჯერებდნენ, როდესაც მინდორში ეს უზარმაზარი მონსტრი იპოვეს.**

იოკშირის საგრაფო მთელ მსოფლიოში ცნობილია მინდვრებში იდუმალი წრეების არსებობით, რომლებიც იქ რეგულარულად ჩნდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად, მორიგი ნახატის ნაცვლად, ფერმერებმა დაინახეს ნამდვილი ვეშაპის გვამი.

თანაც ცხოველი განეკუთვნება იმ სახეობას, რომელიც ამ მხარეში არასდროს ჩნდება. და კიდევ: როგორ აღმოჩნდა ის მინდორში, რომლიდანაც ზღვა კილომეტრითაა მოშორებული?!

დიახ, ვეშაპები, ისევე, როგორც დელფინები, ზოგჯერ სხვადასხვა ფაქტორის გამო ნაპირზე გამოირიყება ხოლმე, მაგრამ არა ამხელა მანძილის დაშორებით. უნდა ითქვას, რომ მსგავსი შემთხვევა ერთხელ უკვე დარეგისტრირდა იოკშირის ტერიტორიაზე. მაშინ ადგილობრივ ტყეებში ტურისტებმა იპოვეს ზვიგენი. ერთი სიტყვით, მაშინ ის თუ ვილაცის უკბილო ხუმრობად ჩათვალეს, რადგან ზვიგენი ძალიან დიდი არ იყო, ეს 5-ტონიანი ვეშაპი ამ ვერსიას ვერაფრით ვერ მოირგებს.

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## შპლენგლერის აზრით, მეცხრე უდიდეს ცივილიზაციად შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო, როგორც ის უწოდებდა, რუსულ-ციმბირული ცივილიზაცია.

# ურწმუნო ევროპა კვდება

**გაისად სრულდება ასი წელი რაც მზის სინათლე იხილა ოსვალდ შპლენგლერის „ევროპის მზის ჩასვენებამ“ (1880—1936). ამ გერმანელი მეცნიერის სახელი იმათ რიგში დგას, ვინაც საფუძველი ჩაუყარა ისტორიის, როგორც ცივილიზაციათა ცვალებადობის, კონცეფციას.**



შპლენგლერმა გამოყო კაცობრიობის ისტორიაში რვა ძირითადი ცივილიზაცია: ეგვიპტური, ბაბილონის, ინდური, ჩინური, მექსიკური, ანტიკური, არაბული და ევროპული. მან ეს გააკეთა იმ დროს, როცა ევროპელი ისტორიკოსები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები ევროპულ ცივილიზაციას კაცობრიობის განვითარების გვირგვინად მიიჩნევდნენ.

შპლენგლერის იდეები ძალიან ჰგავს რამდენიმე ათწლეულის წინათ **კონსტანტინე ლეონტიევის** მიერ (1831—1891) დაწერილს: ნებისმიერი ცივილიზაცია სამ ფაზას გადის — ჩამოყალიბების, აყვავებისა და დაჭკნობის ფაზებს. შპლენგლერი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ლეონტიევს: „ყოველი კულტურა ადამიანის ასაკობრივ საფეხურებს გადის. თითოეულს აქვს თავისი ბავშვობა, სიჭაბუკე, თავისი მოწიფულობა და სიბერე“.

**შპლენგლერის მიხედვით, ცივილიზაციის დაკნინების ნიშნებია: ურბანიზაცია, მოსახლეობის გადაადგილება სოფლებიდან უზარმაზარ ქალაქებში; ცხოვრების ბინადრობის წესის ნაცვლად — მომთაბარეობა. რწმენა და რელიგია კვდება, გმირობა და პატრიოტიზმი ადგილს უთმობს ძალაუფლებისა და ფულისთვის ბრძოლას. ხალხისა და მონარქების ხელისუფლებას ცვლის ტირანია. ტექნიკა ენაცვლება ადამიანს. იწყება მსოფლიო ომები.** დაკნინების ყველა ამ ნიშანს შპლენგერი ყველა ცივილიზაციაში ხედავდა. ჯერ კიდევ ახლო წარსულში ევროპის ცივილიზაცია აღმავლობას განიცდიდა, წერდა იგი, მაგრამ XIX საუკუნემ სათავე დაუდო მის დაცემას. პირველმა მსოფლიო ომმა კი შპლენგლერი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ევროპული ცივილიზაცია დასასრულს უახლოვდება. ისტორიაში ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ, როცა ერთი ცივილიზაცია ჩასვენებისკენ მიდიოდა, მაშინვე ახალი იწყებდა აღმოცენებას. **შპლენგლერის აზრით, მეცხრე უდიდეს ცივილიზაციად შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო, როგორც ის უწოდებდა, რუსულ-ციმბირული ცივილიზაცია.**

ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ შპლენგლერის წიგნის გამოსვლიდან 100 წლის განმავლობაში ევროპამ უმძიმესი გამოცდა გადაიტანა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი დგას, ე.ი. შეიძლება არც არის „ევროპის მზის ჩასვენება?“ ეგებ, შპლენგლერმა გაამუქა საღებავი? ვაღიარებ, რამდენიმე წლის წინათ ეჭვი მეც მეპარებოდა, მაგრამ დღეს ეჭვები გაქრა. ჯერ ერთი, ევროპაში ვითარდება პროცესები (ვალების კრიზისი, იმიგრაცია, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლა და სხვ.), რომელთა გავლენით ევროკავშირი დიდხანს ვერ გაძლებს. ამის შემდეგ არცთუ შორსაა ევროპის „მულტიკულტურულ სივრცედ“ გარდაქმნის პერსპექტივა, როცა ამ ტერიტორიაზე ევროპული ცივილიზაციის ნიშნების პოვნა შეუძლებელი იქნება. მეორე, ჩემი მოსაზრებები ემყარება **ნიკოლაი სერბსკის (1880-1956), ეპისკოპოს ნიკოლაის (ველიმიროვიჩის)** ნაშრომებს. ეს ღვთისმსახური სერბსკის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად აღიარა. იგი შესანიშნავად იცნობდა ევროპას და დიაგნოზი, რომელიც მას დაუსვა, ძალიან ჰგავს შპლენგლერის დიაგნოზს.

ნიკოლაი ველიმიროვიჩმა ლექციაში, რომელიც წმინდა პავლეს ლონდონის საკათედრო ტაძარში წაიკითხა 1919 წლის 16 დეკემბერს, აღნიშნა: „ჩემი თეზისი მარტივი და გასაგებია. მე ვამტკიცებ: ევროპა უკვე აღარ არის ცენტრი მსოფლიო ცივილიზაციის, რომელიც აღმოცენდა ქრისტიანული სარწმუნოების ნიადაგზე 19 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. XVIII საუკუნეში ევროპა აღარ იყო მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე ცივილიზაციის ცენტრი. დღეს იგი ბარბაცით დადის ზედ უფსკრულის პირას, რომელიც მას დაღუპვით ემუქრება...“

**„აშკარაა, რომ ევროპელმა ხალხებმა დაკარგეს თავიანთი არსობის სულიერი საყრდენი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაკნინდა მამოძრავებელი ძალა, რომელიც ცივილიზაციას ქმნის. და როგორც შედეგი, რეალურ პროგრესზე თუ ვილაპარაკებთ, დღევანდელი ევროპა ცარიელ მიწად შეიძლება ჩავთვალოთ“.**

ნიკოლაი სერბსკი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ რეალური პროგრესი, რომელიც სულიერ განვითარებად არის მიჩნეული, ჩანაცვლებულია სუროგატებით, რომლებიც იწოდება სამეცნიერო, ტექნიკურ, ეკონომიკურ, მატერიალურ პროგრესად. „მაგრამ მატერიალური პროგრესით მსოფლიო მხოლოდ იხიბლება. სრულიად აშკარაა, რომ **კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი ცივილიზაცია არ დაღუპულა პურის უკმარისობის გამო, ყველა იმპერია სულიერი შიმშილის მიზეზით კვდებოდა. ჩვენი დროის ევროპელი ხალხების სულიერი ცხოვრება ფრიად მწირია და საცოდავი“.**

ევროპის ისტორიის გარდამტეხ მომენტად ეპისკოპოსი ნიკოლაი მიიჩნევს XVIII საუკუნეს, როცა ფრანგმა განმანათლებლებმა უძლიერესი დარტყმა მიაყენეს ქრისტიანულ რელიგიას, რომლის შედეგადაც ათეიზმი „განათლებული“ ევროპის ელიტის ნორმად იქცა. უფრო მძიმე დარტყმები განიცადა ევროპულმა ცივილიზაციამ XIX საუკუნეში. სამმა „მეცნიერულმა რევოლუციამ“ შეცვალა ცნობიერება. ამის შესახებ წერს ნიკოლაი სერბსკი ჟურნალში „ხრისტიანსკაია მისლ“ 1939 წელს: **„ევროპული ცივილიზაციის სამი ფატალური სულია დარვინი, ნიცშე და მარქსი.**

**დარვინი — ფატალური საბუნებისმეტყველო მეცნიერების შემქმნელი.**

**ნიცშე — ფატალური ეთიკური თეორიის ავტორი.**

**მარქსი — ფატალური სოციალური თეორიის მატარებელი...**

ჩვეულებრივმა ადამიანებმა, რომელთა გული ჭეშმარიტების ცენზორად და მეთვალყურედ გვევლინება, ეს სამი თეორია საშიშ ფანტაზიად აღიქვეს, მაგრამ უმეტესმა ევროპელმა ინტელექტუალმა, რომელთაც დათრგუნვიათ გულით აღქმის ძალა, ეს თეორიები მიიღო, ვითარცა უდიდესი ზეშთაგონება. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხის გული იყო მართალი, ინტელექტუალების გონება კი შორსმჭვრეტელ მოსამართლედ ვერ გამოდგა. სწორედ ამჟამად ზედაპირზე ამოვიდა ამ თეორიების მწარე და ბედისმიერი ნაყოფი, რომლის მიზეზით ევროპული ცივილიზაცია მძიმე უკუნით დაიფარა, მთელი მსოფლიო კი ბარბაროსობისა და დაღუპვის უფსკრულის პირას აღმოჩნდა“.

ეს სიტყვები წარმოითქვა 1939 წლის სექტემბერში, მაშინ, როცა ევროპაში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

აღნიშნული სამი „თეორიიდან“ სერბსკიმ განსაკუთრებით გამოჰყო დარვინიზმი, „დარვინი ნიცშეს ფილოსოფიისა და მარქსის სოციოლოგიის სულიერი მშობელია“, — წერდა იგი.

დღეისთვის ევროპაშიც და მთელ მსოფლიოშიც ნიცშესა და მარქსის თეორიები მრავალგზის იქნა გაკრიტიკებული. დარვინიზმი კი ჩრდილშია მოქცეული. უფრო მეტიც, სოციოლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ ეს თეორია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დომინირებს. ადამიანებს სჯერათ, რომ ისინი მაიმუნებისგან წარმოიშვნენ „ბუნებრივი შერჩევის“ გზით, რომელიც პროგრესის მამოძრავებელი ძალაა.

**სერბსკი მიიჩნევდა, რომ ყველა ეს თეორია დასაღუპადაა განწირული. ამასთან, ჯერ მოკვდება დარვინიზმი — ბოროტების ფესვი, შემდეგ — ნიცშეანობა და მარქსიზმი, როგორც ამ ფესვის ორი ამონაყარი.**

მაგრამ ასე არ მოხდა. სერბსკის გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა „ორი ამონაყარის“ ამოგლეჯის არცთუ უშედეგო მცდელობა, მაგრამ ფესვი დარვინიზმის სახით დარჩა. იგი წმინდა წყლის იდეოლოგიად გარდაიქმნა, რომლის არსებობა დამოკიდებული არ არის საბუნებისმეტყველო მეცნიერების არგუმენტებზე.

მისი ყლორტები თითქოს მოისხლა, მაგრამ ისინი ნებისმიერ მომენტში შეიძლება კვლავ ამოიყაროს, გამორიცხული არ არის — სხვა სახით. მაგალითად, **XXI საუკუნის დასაწყისში თავი იჩინა ახალმა ამონაყარმა — ტრანსჰუმანიზმის მეცნიერებამ, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის სრულ გარდაქმნას და კიბორგად მის ჩამოყალიბებას. ტრანსჰუმანიზმი დარვინიზმის გარეშე, საეჭვოა, დაბადებულიყო. ნიცშეს ზეადამიანი დარვინიზმის ყლორტია, კიბორგი — ნაყოფი. დღეისთვის ეს თეორია „ციფრული საზოგადოების“ თეორიად ჩამოყალიბდა, „ელექტრონულ საკონცენტრაციო ბანაკად“.**

ნიკოლაი სერბსკის შესანიშნავად ესმოდა, რომ სამივე ამ მეცნიერებას, განსაკუთრებით კი დარვინიზმს, ევროპის განადგურება შეეძლო. მათი დამარცხება კი მხოლოდ ქრისტიანობას ხელეწიფებოდა.

სერბსკის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ევროპის ქრისტიანული აღზევება არ განხორციელდა. ქრისტიანობის მომხრენიც და მტრებიც XX საუკუნის ბოლოდან ევროპას „პოსტქრისტიანულს“ უწოდებენ.

**ამიტომ დარწმუნებული ვარ შპლენგლერის სიმართლეში, რომელმაც 100 წლის წინათ ევროპას დაუსვა დიაგნოზი: მზის ჩასვენება და სიკვდილი. ის, რომ ევროპა ჯერ კიდევ არსებობს, გერმანელი ფილოსოფოსის ნააზრევის მცდარობას არ ნიშნავს: ცივილიზაციების კვდომა შეიძლება ხანგრძლივი დროით გაიწელოს.**

**ვალენტინ კატასონოვი**

**საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის — თინა ხიდაშელის განცხადებით, თავდაცვის სამინისტროში „გაუგონარი კუთხურობა სუფევს და უწყებაში დაწინაურების პრინციპია, ლევან იზორიას სოფლიდან რამდენ კილომეტრში არის ადამიანი დაბადებული“.**

# თინა ხიდაშელი და «ნორლანდის პრინციპი», ანუ რა დაავიწყდა თავდაცვის ყოფილ მინისტრს

„მე ზუსტად ვიცი, რომ ადამიანები, რომლებიც ჩემს დროს დაწინაურდნენ, ან სახლში გაუშვეს, ან დააქვეითეს. ბატონი იზორია მინისტრობის პირველი თვეების განმავლობაში იმით იყო დაკავებული, გაერკვია, ვის როგორი ემოციური განწყობა ჰქონდა ჩემ მიმართ. ეს თავდაცვაში ძალიან სასაცილოა, რადგან თავდაცვის სამინისტროში მუშაობენ ოფიცრები, რომლებიც ვარდიკო ნადიბაიძისა და ბატონი თევზაძის დროიდან არიან იქ და ყველანაირი მინისტრის ხელში გაიარეს. ისინი არიან კარიერული ოფიცრები და ამას არაფერი საერთო არ აქვს, ვინ არის მინისტრი. თუ დაინახავ ადამიანის შესაძლებლობებს, ის დაწინაურდება იმიტომ, რომ მას აქვს ეს შესაძლებლობები. მე ასეთი პრინციპით ვხელმძღვანელობდი. როგორც მეუბნებიან, ბატონი იზორიას პრინციპით, იმის მიხედვით წინაურდები, რაც უფრო ახლოს ხარ მის სოფელთან დაბადებული. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. ეს არის ერთ-ერთი მთავარი წუხილი, რომელიც დღეს თავდაცვის სამინისტროდან ბევრი ადამიანისგან მესმის, რომ იქ სუფევს გაუგონარი კუთხურობა და მიკერძოება სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარე. ეს პრემიერის და მისი პრობლემა არის დიდწილად. ჩვენი ამოცანაა, ეს ყველაფერი საჯაროდ გამოვიტანოთ, თუმცა შემდეგ ქართველი ხალხი აკეთებს არჩევანს“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.



ეტყობა, **ქალბატონ თინას დაავიწყდა, თვითონ როგორ ჩაასკუპეს თავდაცვის მინისტრის სავარძელში აშშ-ის ელჩის — რიჩარდ ნორლანდის ბიძინა ივანიშვილთან „ყავის დასალევად“ მისვლიდან მეორე დღეს, ისე, რომ „ქართველ ხალხს არ გაუკეთებია არჩევანი“, მინისტრის სავარძელში ჩაჯდომის შემდეგ კი რამდენი ადამიანი გაუშვა თავდაცვის უწყებიდან. ეს, რა თქმა უნდა, არ არის „კუთხურობა“, ეს „ნორლანდის პრინციპია“.**

არადა, თინა ხიდაშელი მაროკოში დაბადებული რიჩარდ ნორლანდის სოფლიდან საკმაოდ შორსაა დაბადებული.

**ლუკა მაისურაძე**



**ლურჯი მოცვის ნიადაგის გასანოყიერებლად იყენებენ აზოტოვან, ფოსფოროვან და კალიუმიან სასუქებს. ყველა ძირითადი გასანოყიერებელი ელემენტიდან მოცვის ვეგეტატიურ ზრდას საუკეთესოდ უწყობს ხელს აზოტოვანი სასუქები. აზოტის შეტანის დოზები იზრდება მცენარის განვითარებასა და მოსავლის ზრდასთან ერთად.**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# როგორ გავაშენოთ ლურჯი მოცვის პლანტაცია

**საქართველოში კენკროვანი კულტურებიდან, ძირითადად, გავრცელებულია მარწყვი, ჟოლო, მოცხარი და ხურტკმელი. მსოფლიოში ბოლო 20 წელიწადში პოპულარობა მოიპოვა ახალმა კენკროვანმა კულტურამ — ლურჯმა მოცვმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი. ლურჯი მოცვი მეტად საინტერესო კულტურაა, რომელიც თავისი კვებითი და დიეტური თვისებების გამო ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში და მომხმარებელთა დიდი ყურადღება მიიპყრო.**



ლურჯი მოცვი მიეკუთვნება Vaccinium-ის გვარს, რომელშიც ასევე აერთიანებენ შტოშს, საქართველოში გავრცელებულ შავ მოცვს და ა.შ. ჩრდილოეთ ამერიკაში წარმოშობილი ეს კენკრა კარგად ეგუება განსხვავებულ კლიმატურ პირობებს — აწარმოებენ როგორც ჩრდილოეთის ცივ, ასევე სამხრეთის ცხელ რეგიონებში. განასხვავებენ ლურჯი მოცვის რამდენიმე სახეობას: ჩრდილო მაღალბუჩქოვანი (Vaccinium corymbosum L.), სამხრეთ მაღალბუჩქოვანი, ნახევრად მაღალბუჩქოვანი, „კურდღლისთვალა“ და სხვ.

**ლურჯი მოცვი ბუჩქოვანი მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურაა, რომელიც იძლევა დამახასიათებელი ლურჯი ფერის მრგვალ ნაყოფს. კენკრას ახასიათებს ორიგინალური მომჟავო-მოტკბო გემო. ნაყოფის ზომა ჯიშების მიხედვით მერყეობს 0,8-2,0 სმ დიამეტრის ფარგლებში.**

ლურჯი მოცვის ნაყოფი შეიცავს 85-87% წყალს, ხსნად მშრალ ნივთიერებებს, შაქარს, ორგანულ მჟავებს, პექტინოვან ნივთიერებებს, ასევე — C ვიტამინს 80-90 მგ/100 გ, BB1, PP ვიტამინებსა და სხვ. ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და ფართოდ გამოიყენება დიეტურ კვებაში.

აღნიშნული კულტურის კენკრა იკრიფება მაისის დასასრულიდან აგვისტომდე. სხვა ნებისმიერ კენკროვან კულტურასთან შედარებით, იგი ხასიათდება მკვრივი და ადვილად გადასატანი ნაყოფით. გრილი სარდაფის პირობებში კარგად ინახება 1-2 კვირის განმავლობაში, ხოლო სამაცივრე საწყობებში — სამი ან მეტი კვირის განმავლობაში. კენკრა ივითარებს სანაყოფე მტევნებს, რომლებზეც ნაყოფი არათანაბარი სიმწიფით ხასიათდება. ამის გამო საჭიროებს მრავალჯერად მოკრეფას, რომელიც დაახლოებით ორი-ოთხი კვირის განმავლობაში გრძელდება. ლურჯი მოცვი, ძირითადად, ნედლად მოიხმარება, თუმცა, აგრეთვე, იყენებენ გაყინულსაც, სხვადასხვა სახის ფუნთუშეულისა თუ ნამცხვრის ინგრედიენტად. მისგან ამზადებენ გემრიელ ჯემებს, ხილფაფებსა თუ წვენებს.

**ეს კულტურა მიეკუთვნება ძვირად ღირებული კენკრების რიგს და ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა თავისი რენტაბელურობითაც. მოცვის საშუალო საბითუმო მსოფლიო ფასი — 1 კგ-ზე 3,2-3,5 აშშ დოლარია, ხოლო საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8-10 ტონას შეადგენს. კარგად მოვლილ პლანტაციებში მოსავლიანობა 12-15 ტონას აღწევს.**

**ლურჯი მოცვის წარმოება მსოფლიოში, 2011 FAO**

სულ ფართობი: 83 000 ჰა

სულ წარმოება: 368 000 ტონა;

* აშშ – 201 000
* კანადა – 112 000
* პოლონეთი – 8 500

**ეს კულტურა მიეკუთვნება ძვირად ღირებული კენკრების რიგს და ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა თავისი რენტაბელურობითაც. მოცვის საშუალო საბითუმო მსოფლიო ფასი — 1 კგ-ზე 3,2-3,5 აშშ დოლარია, ხოლო საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 8-10 ტონას შეადგენს. კარგად მოვლილ პლანტაციებში მოსავლიანობა 12-15 ტონას აღწევს**

## მოთხოვნები წარმოების ეკოლოგიური პირობების მიმართ

ლურჯი მოცვი მოითხოვს კარგი სტრუქტურის მქონე, მსუბუქ, ტენიან, მაგრამ შესაბამისი დრენაჟის სპეციფიკურ ნიადაგს — იგი კარგად ხარობს მხოლოდ მჟავე ნიადაგებზე. ნაკვეთში დამდგარი წყალი არასასურველ გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე, ამიტომ ასეთი ადგილები ნაკლებად მისაღებია. ამ კენკრისთვის ნიადაგის ოპტიმალური pH მაჩვენებელი უნდა იყოს 4.0-დან — 5.5-მდე. 4,0-4,5 საუკეთესოა მოსაყვანად. თუ ნიადაგის რეაქცია — pH 5.8-ს აღემატება, მცენარეს ემართება **ქლოროზი**, რომელსაც, ძირითადად, რკინის დეფიციტი განაპირობებს. ქლოროზი გამოიხატება ფოთლების ნაწილობრივი გაყვითლებით, ადრეული შეწითლებითა და მცენარის მნიშვნელოვანი დასუსტებით. თუ ნიადაგი არასაკმარისად მჟავეა, აუცილებელია მისი „დამჟავება“, რისთვისაც შეიძლება გამოყენებული იქნას მჟავე ტორფის ან გოგირდის შეტანა.

საქართველოს დასავლეთ რეგიონებში მსგავსი მჟავე სახის ნიადაგებზე გაშენებულია ჩაი (რომელიც ასევე მჟავე ნიადაგებს მოითხოვს). გამომდინარე აქედან, ასეთი ტიპის ნიადაგებზე შესაძლებელია განხილული იქნეს ლურჯი მოცვის მოყვანის შესაძლებლობაც.

## პლანტაციის გაშენება

ლურჯი მოცვის პლანტაციის გაშენება ხდება შემდეგი კვების არით: 3,0-3,2 მეტრი X 0,9-1,2 მეტრზე. საშუალოდ ერთი ჰექტრის გასაშენებლად საჭიროა 2800-3300 ნერგი. მოცვის დარგვა შეიძლება როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულის პერიოდში. თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიები ლურჯი მოცვის გასაშენებლად ითვალისწინებს მცენარეების დარგვას შემაღლებულ ბაზო-კვლებზე.

შემაღლებული ბაზო-კვლების უპირატესობებია: ფესვების გაუმჯობესებული უზრუნველყოფა ჰაერით; ტენის უკეთესი რეგულაცია; ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება; ჭარბი ტენის მოცილება ფესვებიდან. რეკომენდებულია შემდეგი პარამეტრების შემაღლებული ბაზო-კვლის მოწყობა: სიგანე 60-90 სმ, სიმაღლე 18-25 სმ.

დარგვის წინ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება ხდება ნიადაგის ზედა ფენაში ნახერხის, კომპოსტის ან ტორფის შერევით.

მოცვის დასარგავად აკეთებენ 20-30 სმ სიღრმის და დიამეტრის ორმოებს. დარგვისას უნდა მოხდეს ნერგის ფესვების კარგად გაშლა, განსაკუთრებით კონტეინერში მოყვანილი ნერგების, რათა ფესვთა სისტემა კარგად განვითარდეს.

**ნერგი უნდა დაირგოს ისე, რომ ფესვის ყელი ნიადაგის ქვემოთ მოექცეს — წესით, ნერგი იმ სიღრმეზე უნდა ჩაირგოს, რა სიღრმეზეც იზრდებოდა სანერგეში ან ქოთნებში. მოცვს აქვს ფესვთა მეტად ფაქიზი სისტემა, ამიტომ მისმა, როგორც ძალიან ღრმა, ასევე ზედაპირულმა დარგვამ შეიძლება ფესვთა დაზიანება გამოიწვიოს, რაც განაპირობებს ნერგის სუსტ განვითარებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას.**



ლურჯი მოცვი, ისევე, როგორც მისი მონათესავე კულტურები ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს სრულ მსხმოიარობამდე. პირველ მოსავალს იგი დარგვიდან მესამე წელს იძლევა, მაგრამ სრულ მსხმოიარობას მე-7-მე-8 წელს იწყებს. **ლურჯი მოცვის ბაღს ექსპლუატაციის შედარებით დიდი ხანგრძლივობა აქვს — ბაღის კომერციული გამოყენების პერიოდი 35-40 წელიწადია.**

ახალდარგული მცენარე აუცილებლად უნდა დაიმულჩოს ორგანული ან სხვა სახის მულჩის 25-40 სმ სიგანის 10-15 სმ სისქის ფენით. ორგანული მულჩის შეტანა ხდება რიგებში მცენარის გარშემო 30-60 სმ სიგანის ზოლებად. მულჩირების სისტემა საგრძნობლად აძლიერებს მცენარის ზრდას, მცენარის ფესვებს იცავს სარეველებისა და ტემპერატურული გადახურებისგან, ინარჩუნებს ტენიანობას და ნიადაგს ამდიდრებს ორგანული ნივთიერებებით.

მულჩად, ასევე, იყენებენ პოლიეთილენის ე.წ. ნაქსოვ მულჩს, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული თანამედროვე ტიპის პლანტაციებში.

დარგვამდე ერთი წლით ადრე რეკომენდებულია მრავალწლოვანი სარეველების — ძურწა, ჭანგა, ღიჭა და სხვა — მოსპობა, რაც შესაძლებელია მიწის დამუშავებით, ნიადაგის განმეორებითი გაფხვიერებით ან ტოტალური მოქმედების უნარჩენო ჰერბიციდებით (გლიფოსატის რიგის — რაუნდაპი, კლინი, ურაგანი, ნოკდაუნი, ვალსაგლიფი და ა.შ). ბაღის გაშენების შემდეგ თითქმის შეუძლებელია სარეველების კონტროლი, ასე რომ მნიშვნელოვანია, მის დარგვამდე განხორციელდეს მრავალწლოვანი სარეველების მოცილება.

## აგროტექნიკა

ლურჯი მოცვის დამტვერვა, ძირითადად, მწერების მეშვეობით ხდება. ზემოთ ჩამოთვლილი ჯიშებიდან უმეტესობას არ სჭირდება სპეციალური ჯვარედინი დამტვერვა, თუმცა სხვადასხვა ჯიშის ჯვარედინი დამტვერვის შემთხვევაში ნაყოფის ხარისხი და სიდიდე მნიშვნელოვნად მატულობს. ამ პერიოდში ფუტკრის სკების პლანტაციებში შეტანა ერთ-ერთი საჭირო ღონისძიებაა, რომელიც შესამჩნევად ზრდის პლანტაციის პროდუქტიულობას.

ბაღის გაშენებიდან პირველი ორი წლის მანძილზე ცდილობენ, არ დაუშვან მცენარის მოსავლიანობა, რათა არ მოხდეს ახალგაზრდა მცენარის დასუსტება, ამისათვის აცილებენ ყვავილებს ან უკვე გამონასკვულ ნაყოფებს.

**ლურჯი მოცვი მოითხოვს ყოველწლიურ გასხვლას — გასხვლის ძირითადი პრინციპია ძველი, 6-წლიანი ამონაყრების მოშორება და ახალი ამონაყრების დანორმება 2-4 ცალამდე.** მაღალი ხარისხის ნაყოფები მიიღება ორ, სამ, ოთხ და ხუთ წლიან ტოტებზე ახალი სანაყოფე კვირტებიდან. ლურჯი მოცვის გასხვლისას ტოტებს არ ამოკლებენ, მხოლოდ ამოხშირავენ. ყველა 6 წლიანი ტოტი იჭრება ძირში. კარგად ჩატარებული გასხვლა ხელს უწყობს მსხმოიარობის ადრე დაწყებას და მაღალხარისხიანი პროდუქციის მიღებას.

ლურჯი მოცვის პლანტაციის ნიადაგის გასანოყიერებლად იყენებენ აზოტოვან, ფოსფოროვან და კალიუმიან სასუქებს. ყველა ძირითადი გასანოყიერებელი ელემენტიდან, მოცვის ვეგეტატიურ ზრდას საუკეთესოდ უწყობს ხელს აზოტოვანი სასუქები. აზოტის შეტანის დოზები იზრდება მცენარის განვითარებასა და მოსავლის ზრდასთან ერთად. გასათვალისწინებელია, რომ აზოტის შეტანა უნდა მოხდეს კარბამიდის (შარდოვანას) სახით, რადგან სხვა სახის აზოტოვანი სასუქები შესაძლებელია ტოქსიკური აღმოჩნდეს მცენარისთვის. ლურჯი მოცვის განოყიერების ზოგადი სქემაა _ N-100, P-90, K-120. თუმცა განოყიერება უნდა ჩატარდეს ნიადაგისა და ფოთლის ანალიზის დასკვნის საფუძველზე.

**ლურჯი მოცვის ჯანმრთელ მცენარეს უნდა ჰქონდეს 10-15 სმ ღეროს სიგრძის ამონაყარი, თითოეულ ღეროზე 20 ფოთლით. სუსტი ზრდა ან ფოთლების გაუფერულება, სავარაუდოდ, მიანიშნებს საკვები ელემენტების ნაკლებობაზე, თუმცა იგივე სიმპტომები შეიძლება გამოწვეული იყოს განსხვავებული მიზეზებით, როგორიცაა ნიადაგის სიმძიმე, ცუდი დრენაჟი, მავნებელ-დაავადებებით დაზიანება, გვალვა ან სასუქებით დაწვა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა შეიძლება დაასუსტოს მცენარის ფესვთა სისტემა.**

ლურჯი მოცვი მოითხოვს რეგულარულ ირიგაციას. ქვიშიანი ნიადაგების ხშირ და მცირე დოზებით მორწყვას. შეწითლებული ფოთლები, ფოთლის გაყავისფერებული ძარღვები, თხელი, სუსტი ამონაყარი თუ ფოთლების ადრეული ცვენა მიუთითებს მცენარეების წყლის დეფიციტზე, ამიტომ აუცილებელია ნიადაგში ოპტიმალური ტენის შენარჩუნება. მორწყვის პერიოდი უნდა გაგრძელდეს გვიან ზაფხულამდე და (ან) ადრეულ შემოდგომამდე.

**ზვიად ბობოქაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი**



# გარდაიცვალა რეზო გაგუა

**71 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი ონკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი და საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის ყოფილი გენერალური დირექტორი რეზო გაგუა.**

მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ონკოლოგიური მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. საქართველოში ონკოლოგიური სამსახურის დაარსების 60 წლისთავზე ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობისთვის 2007 წელს დააჯილდოვეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპატიო სიგელით. მიღებული აქვს ღირსების მედალი (1998), საქართველოს სახელმწიფო და პროფესორ ანდრო ღვამიჩავას სახელობის პრემიები.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მწუხარებას გამოხატავს ამაგდარი მეცნიერის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# «ძალიან უცნაური ქართველი»

**არჩილ ადამია სოხუმში დაიბადა, გაიზარდა და ისწავლა. შემდეგ თბილისში ისწავლა და იმუშავა, შემდეგ — მოსკოვში, მერე სოხუმს დაუბრუნდა, მოგვიანებით კვლავ მოსკოვში ცხოვრობდა, მუშაობდა და... დაიღუპა.**



წელს აპრილში ათი წელი სრულდება მისი გარდაცვალებიდან.

**აჩიკო ადამია**, შესანიშნავი და მართალი სოხუმელი კაცი, სადაც უნდა ყოფილიყო, ყველგან სოხუმელად რჩებოდა. მოღვაწეობდა მშენებლობის ორგანიზაციისა და მართვის, აგრეთვე, ბიზნესის სფეროებში, ჩართული იყო სახალხო დიპლომატიაში.

უყვარდა ეკლიანი ხუმრობა და კაფიები, ბევრ რამეს ირონიულად უყურებდა და აფასებდა. დედამიწის ზურგზე არავისთვის — ოჯახის წევრებისთვისაც კი, არასოდეს უთქვამს შენი ჭირიმე და არც სხვა მოსაფერებელი სიტყვები.

60 წელი ისე იცხოვრა, ძალიან ცოტამ თუ იცოდა მისი ჭეშმარიტი ბუნება. როგორი სიყვარულითა და სითბოთი იყო განმსჭვალული მისი გული, როგორ იცოდა მოყვასისთვის მხარში ამოდგომა. არ ვიცი, ეშინოდა, არ ვიცი, ერიდებოდა თუ რცხვენოდა თავისი ბუნების გამომჟღავნებისა, მაგრამ ერთი რამ ნათელია — საბურველში გაახვია და დამალა ეს ყოველივე ყველასგან. და ასე იარა ამ დუნიაზე.

აჩიკოს ბავშვობისა და სიყრმის მეგობრები არიან (არასრული სია): **ოთარ ჩხოტუა, დათო ფილია, თამაზ კვიკვინია, ვახტანგ ალანია, სერგეი ბაღაფში, ბუთუ კვეკვეცია, ალექსანდრე ანქვაბი, კოტე ყიფიანი, ვახო და დორიკ გოგოხიები, ნუგზარ და ვახტანგ გოგოხიები, ლევან ბიბილეიშვილი, ჯონი ჯოხაძე, ლორიკ მელაძე, ნოდარ პატიაშვილი, ალექსანდრე ჭაჭია, ზურაბ ერქვანია, ზაურ მიქვაბია.**

მათთან ერთად გაატარა მთელი ცხოვრება.

დადგა განსაცდელის ჟამი — 1992 წლის აგვისტო. დაიწყო სხვა ცხოვრება სოხუმში და, საერთოდ, აფხაზეთთან დაკავშირებული ყველა ადამიანის ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა.

აჩიკო იყო პირველთაგან ერთ-ერთი, რომელმაც მშობლიური ქალაქის დასახმარებლად აუცილებელი ნაბიჯები გადადგა და მნიშვნელოვანი სახსარი გაიღო სოხუმისა და მისი მოსახლეობის დასაცავად.

აი ამ საგანგებო სიტუაციაში გამოვლინდა მისი კაცთმოყვარეობა, პატრიოტიზმი და მოყვასისადმი თანადგომა. მან პირნათლად შეასრულა ჭეშმარიტი სოხუმელის უდავოდ დიდი, უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.

1993-2007 წლებში აჩიკომ თავისი ცხოვრების წესად აქცია თანადგომა. ამ გზაზე მისწვდა არა მხოლოდ ახლობლებს, არამედ ახლობლების ახლობლებს, არა მხოლოდ მეგობრებს, არამედ მეგობრების მეგობრებს, ნათესავებსა და მათ ნათესავებს. მაგრამ ამას აკეთებდა უხმაუროდ, თბილად, ტაქტიანად, დელიკატურად, გულწრფელად და გულიანად. ყოველთვის გაურბოდა მისდამი მადლიერების გამოვლენის ნებისმიერ მცდელობას.

ამავე პერიოდში დიდი ძალისხმევა მოახმარა ქართულ-აფხაზურ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესების მცდელობას, მაგრამ ისე წავიდა იმქვეყნად, რომ პრაქტიკულად ვერაფერს მიაღწია.

„ძალიან უცნაური" ქართველი კაცი იყო აჩიკო ადამია — თავის სიცოცხლეში პრაქტიკულად არავისი სადღეგრძელო არ წარმოუთქვამს და შეუსვამს, არც თავისი სამშობლო უდღეგრძელებია ჭიქითა თუ ყანწით, მაგრამ რეალური საქმით, რაც მან გაუკეთა ადამიანებსა და სამშობლოს, სულ ცოტა, ორ თაობას ემახსოვრება.

შენი ჭირიმეთი არავისთვის მიუმართავს, მაგრამ ენაცვალა, თავს შემოევლო (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) თანაქალაქელებს, თანამემამულეებსა და სამშობლოს.

დღეს მის ტრადიციებს განაგრძობენ ქალიშვილი **ნანა** და ვაჟი **დავითი...**

**თენგიზ ახობაძე**



# ყველას რაღაც აქვს სახსოვარი

**13 აპრილს წავიდა ჩვენგან ქართველი ხალხის საყვარელი მსახიობი გივი ბერიკაშვილი.**

2010 წლის 22—23 მაისს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე) „სპორტი ყველასათვის" ჩაატარა ტურნირი შემდეგ სახეობებში:

1. ნარდი საერთაშორისო წესებით;
2. გრძელი ნარდი;
3. ქართული მოკლე ნარდი;
4. წყვილთა შეჯიბრება კონსულტაციებით;
5. შეჯიბრება ქალთა შორის.

ტურნირის კომისარი იყო ბატონი **გივი ბერიკაშვილი.** გამარჯვებულებს გადაეცათ მედლები, სიგელები, ფასიანი საჩუქრები, საუკეთესო მონარდეს კი — „ოქროს კამათლები".

ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები გაიმართა 26 მაისს „ექსპოჯორჯიას" მე-6 პავილიონში. ამ ტურნირს ვესწრებოდი, როგორც დამკვირვებელი. ბატონ გივის ვუთხარი, მე და თქვენ ისე ვგავართ ერთმანეთს, მგონი, და-ძმა ვართ-მეთქი. მოდი, ჩემო დაიკო, სურათი გადავიღოთო. ეს სურათი ჩემთვის უძვირფასესია.

შემდეგ მეც მივიღე მონაწილეობა ქალთა ტურნირში ნარდში და პირველი ადგილი დავიკავე 2010 წლის 19-20 ივნისს.

დიდი გულის ტკივილით ვეთხოვებით ჩვენს საყვარელ გივი ბერიკაშვილს. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს იმქვეყნად. ამინ!

**ნინო ხვიჩია,**
**პენსიონერი**

**ირაკლი თოდუა მწუხარებას გამოთქვამს მასწავლებლის და უფროსი მეგობრის**
**კოტე თოდუას**
**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**

# აშშ საქართველოს 41%-ით უმცირებს ფინანსურ დახმარებას

**ამერიკის შეერთებული შტატების 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მნიშვნელოვნად მცირდება საერთაშორისო ფინანსური დახმარებები. ეს ეხება ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს.**

პრეზიდენტ ტრამპის საშინაო პრობლემატიკაზე ორიენტირებული პოლიტიკის შესაბამისად, 2018 წელს საქართველოს ფინასური დახმარება 41,1%-ით უმცირდება, ანუ გამოყოფილი 47 მილიონ 512 ათასიდან საქართველო მხოლოდ 28 მილიონს მიიღებს.

ასევე, შემცირდება უკრაინის დახმარება 68%-ით და კიევი გამოყოფილი 570 მილიონის ნაცვლად, მხოლოდ 177 მილიონ დოლარს მიიღებს.

საზოგადოდ, ევრაზიის ქვეყნების 854-მილიონიანი დამხარება 57,4%-ით არის შეკვეცილი.

# გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებს 5 ქრონიკული დაავადების სამკურნალო პრეპარატები დაუფინანსდებათ

**შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მთავრობის სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროექტის ფარგლებში, 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე მოქალაქეებს 5 ქრონიკული დაავადების სამკურნალო პრეპარატები დაუფინანსდებათ.**



როგორც დავით სერგეენკომ განმარტა, ეს დაავადებებია: მაღალი არტერიული წნევა; გულის უკმარისობა; კორონალური სისხლძარღვების დაავადება; დიაბეტის მეორე ტიპი, რომელიც აბებით მკურნალობის ფორმას მოითხოვს; ფილტვების ქრონიკული დაავადებები, როგორიც არის ბრონქიალური ასთმა და ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება; ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების კომპონენტი დღეს შევიდა ძალაში, მაგრამ ხელმისაწვდომი იქნება ზაფხულიდან.

**„დღეიდან გააქტიურდება საერთაშორისო ტენდერი, რომელიც ჩვეულებრივ თვენახევარს საჭიროებს. ამის შემდეგ ვვარაუდობთ, რომ ორი კვირის განმავლობაში იქნება შემოტანა და დისტრიბუცია. ხაზი მინდა გავუსვა, რომ ამ მედიკამენტებზე ჩვენ დავაწესეთ ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხარისხის კონტროლის ნიშნული — მედიკამენტები უნდა იყოს ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული ან თუ სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, არის წარმოებული, მათ უნდა წარმოადგინონ ამ სერიაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული საერთაშორისო ხარისხის კონტროლის ლაბორატორიის სერთიფიკატი. ეს არის, ფაქტობრივად, გარანტირებული დაცვა იმისა, რომ ეს მედიკამენტები ხარისხიანი იქნება. ეს არის ხანგრძლივი პროექტი, არ არის ერთჯერადი აქცია. რაც შეეხება მედიკამენტების ღირებულებას ამ ადამიანებისთვის, ეს იქნება თვეში 1 ლარის ოდენობის გადასახადი“,** — განაცხადა დავით სერგეენკომ.


**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894